

ԵՐԵՄ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ



K 185.353  
3

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ  
ԿԱՌԱՎԵՐ  
ԽՈՎՃԱՆ  
ՀԱՅԱՍՏԱՆ



ნინო ქართველიშვილი



# სასუაზრე ყურძნის ჯიშვი კანათში



გამოგვიანებულია „საბოლოო საქართველო“  
თბილისი — 1982

guttedal sides left hand

~~634.8(C41)~~  
~~42.36(2F)~~  
634.8(~~47.922~~)  
~~4.301~~



ნაშრომში გაშეუძლებულია სასუფრე ყურძნის ჭიშების წარმოების სპეციალისტთა ვისებურებაზე კახეთში, ბუნებრივი პირობები, ჭიშების განლაგება-დახასიათება, სორტიმენტის გაუმჯობესების გზები და 18 ჭიშის მონიშვრათა.

ნაშერომი დაეხმარება როგორც შევენახ-სპეციალისტებს, აგრეთვე მკითხველთა ფართო წრეს.

რეკომენდებულია საქ. სსრ მებალეობის, მეცნიახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კულტურული ინსტიტუტის მიერ.

K 185353


ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანლიდატები:  
6. ვირვეაზი, ჭ. ჩიტავაშვილი.

40405—111

K ————— 126—82  
M 601 (08) — 82

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს 1988 წლის კულტურული დანართის მიხედვის მიზანისთვის“



## შ 0 ს ა ვ ა ლ ი

საქართველოს ბუნებრივი პირობები ხელს უწყობს სასუფრე ყურძნის ჯიშების განვითარებას. მიუხედავად ამისა, მისი სორტიმენტი ღარიბია მაღალი ღირსების ჯიშებით. ოცდაათზე მეტი ადგილობრივი სასუფრე ყურძნის ჯიშიდან მხოლოდ რამდენიმე იმსახურებს ყურადღებას ამ მხრივ.

უძველესი დროიდან ვაზის ჯიშების შერჩევა-გაუმჯობესება უმთავრესად წარმოებდა ხარისხოვანი სუფრის ღვინოების დასამზადებლად. ამიტომ მათი უმრავლესობა საღვინე მიმართულებებისა იყო. სასუფრე ყურძენზე არც იყო დიდი მოთხოვნილება, რადგან ზოგიერთი ჯიში — რქაწითელი, კრახუნა, ჩინური, წულუკიძის თეთრა, მწვანე და სხვა სასუფრე ყურძნადაც გამოიყენებოდა და არაფრით ჩამოუვარდებოდა ცნობილ ჯიშს შასლას.

პროფ. ივ. ჯავახიშვილის გადმოცემით, ყურძენს სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულება აქვს.

მართალია, საქართველოში ვაზს უმთავრესად ღვინის დასაყენებლად და სასუფრედ აშენებენ, მაგრამ მას იყენებენ — საჩამიჩედ, სამურაბედ, სამწნილედ, საჩურჩხელედ და სხვ.

სასუფრე ყურძენი ორ ჯგუფად იყოფა: ადგილობრივი მოხმარებისა და შორეული ბაზრისათვის. პირველის დიდი ხნით შენახვა არ შეიძლება და დამწიფებისთანავე მოიხმარება, ამიტომ მევენახე არჩევს ისეთ ჯიშს, რომელსაც აქვს ტკბილი გემო, ნაზი კანი და საკმაო რბილობი. ხანგრძლივ შესანახად კი ყურძენს უნდა ჰქონდეს სქელი კანი, მკვრივი რბილობი ნაკლები წვნით, მსხვილი მარცვალი და ლამაზი ფერი (ვარდისფერი, შავი, ქარვისფერი, ოქროსფერი და სხვ.). ჯიშებს არჩევენ სიმწიფების პერიოდების მიხედვითაც. საადრეო ჯიშებს აშენებდნენ მთიან, უფრო შემაღლებულ ადგილებში,

საგვიანოს — დაბლობში, მაგრამ ამ ჯიშებს ფართო სამრეწველო მნიშვნელობა არ მიუღია და გავრცელებული კურსთან რესად საკარმილი ნაკვეთებზე სათვალო ყურძნის სახელშოდებით.

მოთხოვნილება სასუფრე ყურძენზე და ვაზის გაუმჯობესებულ ჯიშებზე დღითი დღე იზრდება, 1982 წლისათვის უნდა გაშენდეს 40 ათასი ჰექტარი ახალი ვენახი, მთლიანი ფართობი 160 ათას ჰექტარამდე გაიზრდება, აქედან 125 ათასი მსხმოიარე იქნება. ყურძნის მოსავალი მიაღწევს 800 ათას ტონას. საღვიწე ვაზის ჯიშებთან ერთად გაიზრდება სასუფრე ყურძნის ჯიშების ფართობი და მოსავალი.

ამ ლონისძიების განხორციელებით საგრძნობლად გაიზრდება ყურძნის მოხმარება ერთ სულ მოსახლეზე.

სასუფრე ყურძნის სორტიმენტი უნდა გამდიდრდეს ძვირფასი ჯიშებით. ჩვენს პირობებში ივლისის ბოლოდან ნოემბრის პირველ რიცხვებამდე გახანგრძლივდება ახალმოკრეფილი ყურძნის მოხმარების პერიოდი. ამისათვის საჭიროა შეირჩეს სიმწიფის ცალკეული (მეტად საადრეო, საშუალო, საგვიანო და მეტად საგვიანო) პერიოდისათვის განსხვავებული გემოს, შეფერვისა და შეხედულების ჯიშები.

## სასუფრე ყურძნის ჭიშები უნდა აქმაყოფილებდეს შემდეგ

სასუფრე ყურძნის ჭიშები უნდა აქმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნილებებს: მტევანი უნდა იყოს თხელი, საშუალო ზომის, სიმეტრიული, ლამაზი; მარცვალი — მსხვილი, არანაკლებ 18 მმ, სხვადასხვა ფერის — მოყვითალო, ოქროსაფერი; ვარდისფერი, შავი; მუსკატის გემოსი; ნაყოფსაჭდომზე მკვიდრად მიმაგრებული, რბილობი — მკვრივი, კნატუნა, საქმიოდ ხორციანი, ტკბილი, ხალისიანი, შაქრიანობა 15—20 %, მეავიანობა 3—6 %, კანი — თხელი, მაგრამ მკვრივი, კლერტი — მაგარი, მარცვალი — დაფარული სანთლისებრი ფიფქით, წიბრი მსხვილი არ უნდა იყოს, უნდა ჰქონდეს მცირე რაოდენობით, რომ ჭამის ღროს ძლიერ არ იგრძნობოდეს, კანი რბილობს ადვილად სცილდებოდეს, ტრანსპორტს კარგად იტანდეს და ხანგრძლივად ინახებოდეს.

სასუფრე ყურძნებს დიდი კვებითი ლირებულება აქვს, რის გამოც საკვებ პროცესები პროცესითა შორის მან ფართო აღგილი უნდა დაიკავოს.

ყურძნის კვებითი და სამკურნალო თვისებები ცნობილი იყო ჯერ კიდევ ძველი ღროიდან. ყურძნითა და მისი წენით მკურნალობის მეთოდები ფართოდ არის დანერგილი საბჭოთა მედიცინაში. იგი ხელს უწყობს სისხლის ნორმალურ მიმოქცევას და საჭმლის უკეთ მონელებას, ააქტიურებს ნივთიერებათა ცელას, ორგანიზმს წმენდს ტოქსიკური ნივთიერებებისაგან, ამაგრებს გულის კუნთებს. ყურძნები გამოიყენება აგრეთვი კუჭ-ნაწილავის დაავადების შემთხვევაში, იგი ხელს უწყობს თირკმლებით, ნერვული სისტემით, რაქიტიან და სისხლნაკლულოვან დაავადებულ ადამიანებზე და სხვ.

ადამიანი ყოველდღიურად გარკვეულ სითბურ ენერგიას

ხარჯავს, მთელ რიგ საკვებ პროდუქტებთან შედარებით ყურდენს მეტი სითბური ენერგიის წარმოქმნის უნარზე და ენერგების დიდი რაოდენობით შემცველობის გამო მაღალ ული საკვები პროდუქტია, რადგან ყურძნის წევის ძირითადი შემადგენელი ნივთიერებებია გლუკოზა და ფრუქტოზა, რომელთაც ადამიანის ორგანიზმი სწრაფად ითვისებს, ვიდრე ცილებსა და ცხიმებს, რის შედეგადაც წარმოიქმნება სითბური ენერგია, რომელიც ხელს უწყობს კუნთების ნორმალურ მუშაობას, ახალი უჯრედებისა და ქსოვილების შექმნას.

პროფ. ნ. გ. პროსტისერდოვის მონაცემებით, კილოგრამი ყურძენი შეიცავს 900 კალორია სითბოს, ვაშლი — 400, კარტოფილი — 650 და სხვ.

გარდა ამ ნივთიერებებისა, ყურძენში გვხვდება სხვადასხვა ვიტამინები — A, B, C, B<sub>1</sub>, B<sub>12</sub>, P, რომლებიც აწესრიგებენ ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე პროცესებს და სხვ. ორგანული მჟავები — ლვინისა და ვაშლის; მინერალური ნივთიერებები: კალიუმი, რეინა, კალციუმი, ფოსფორი; მიკროელემენტები: მაგნიუმი, ბორი, იოდი, ბრომი და სხვა ფერმენტები და ბიოკატალიზატორები.

როგორც ალვინიშვნეთ, ადამიანისათვის ყურძენს დიდი კვებითი და დიეტური ლირებულება აქვს. ამიტომ ახალდაკრეფილი ყურძნის მოხმარების გასახანგრძლივებლად საჭიროა სხვადასხვა პერიოდის ჯიშების გამრავლება მეტად სააღრეოდან მეტად საგვიანო პერიოდის ჯიშებამდე, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობით, მაგალითად, შეტად სააღრეო ჯიშებისათვის დამახასითებელია მოკლე სავეგეტაციო პერიოდი, ე. ი. კვირტის გაშლიდან სრულ სიმწიფემდე საჭიროებს 118-დან 125 დღემდე, 2200-დან 2400°-მდე აქტიურ ტემპერატურათა ჯამს. მეტად საგვიანო ჯიშები ხასიათდება სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობით, კვირტის გაშლიდან სრულ სიმწიფემდე მოითხოვენ 155-დან 171 დღემდე, 3000—3400° და მეტ აქტიურ ტემპერატურათა ჯამს. დანარჩენი ჯგუფები კი ამ ორ ჯგუფს შორისაა მოთავსებული.

# სასუფრე ურდინის ჯიშვილის წარმომაზის საციფიკაციი თავისებურებაზი



სასუფრე ყურძნის ჯიშვილი ზრდა-განვითარებისათვის მოი-  
თხოვს განსაზღვრულ ტემპერატურულ პირობებს. აუცილე-  
ბელია ცხელი და მშრალი პერიოდი (ზაფხული, შემოდგომა).  
ცხელი თვის ტემპერატურა საშუალოდ  $23^{\circ}$ , აქტიურ ტემპერა-  
ტურათა ჯამი სავეგეტაციო პერიოდში უნდა უდრიდეს  $3800^{\circ}$ ,  
ნალექების მცირე რაოდენობა აგვისტო-სექტემბერშია, სიმწი-  
ფის პერიოდში და როვლის დროს ნალექების მნიშვნელოვა-  
ნი რაოდენობა იწვევს მარცვლის ლპობას, დაბლა სწევს ტრან-  
სპორტაბელობას და მისი შენახვის უნარს.

სუფრის ჯიშებისათვის ნიადაგი უნდა იყოს საკვები ნივთი-  
ერებებით მდიდარი და საუკეთესო მექანიური შედგენილო-  
ბის, აგროტექნიკა მიმართული უნდა იყოს იქით, რომ მივი-  
ღოთ ლამაზი მტევნები და მარცვლები მაღალი გემური თვისე-  
ბებით, მტევნები უნდა იყოს თავისუფალ მდგომარეობაში,  
რისთვისაც საჭიროა ჰორიზონტალური ან დახრილი შპალერი,  
ხოლო საშუალო ზრდის სუფრის ჯიშებისათვის უნდა მოე-  
წყოს ვერტიკალური შპალერი, რადგან ცნობილია, რომ სა-  
სუფრე ჯიშვილი საღვინე ჯიშებთან შედარებით ხასიათდებიან  
ძლიერი ზრდა-განვითარებით და მოითხოვენ მრავალსაფაიავებ-  
ლიან ფორმას, გრძელ სხვლას და დიდ კვების არეს. ამ უკა-  
ნასკნელზე ვაზი კარგად ვთიარდება, ამასთანავე, აუცილებე-  
ლია ძლიერი ფორმირება და სხვლა.

დიდი მნიშვნელობა აქვს სწორ სხვლას ძირზე მტევნების  
რეგულირებისათვის, რაც დამოკიდებულია ჯიშის ბიოლოგიურ  
თავისებურებაზე და გარემო პირობებზე, ზოგიერთ ჯიშზე,  
მაგალითად, კარაბურნუზე, ჯაუსზე და სხვა, თანაყვავილედე-  
ბის ჩასახვა ხდება შუა და მასზე ზევით ჩემდებში 5—6 კვირტის  
შემდეგ, რისთვისაც საჭიროა გრძლად სხვლა, ხოლო ზოგიერ-  
თი ჯიში თანაყვავილედებს ივითარებს ბაზისიდან 1—3 კვირ-  
ტის შემდეგ, ამიტომ ისინი მოკლედ უნდა გაისხლას.

სასუფრე ჯიშების მორწყვა წარმოებს ივლისსა და აგვის-  
ტოში. მორწყვის შემდეგ ფოთლები უფრო მეტ ასიმილაციას  
ანდენენ. მაგალითად, კარაბურნუ 25—33 პროცენტით

ზრდის მოსავლიანობას ურწყავ ნაკვეთებთან შედარებით ჭა-  
შინ როდესაც ნორმალურ ნალექებიან წელიწადში საფლავინ  
ჯიშები არ საჭიროებენ დამატებით რწყვას, როდესაც მორწყა-  
ვა ოპტიმალურ პირობებში წარმოებს, იზრდება არა მარტო  
მოსავალი, არამედ უმჯობესდება ხარისხიც. მტევანი უფრო  
მსხვილდება, ლამაზდება, დიდდება შაქრიანობა. ასეთი ყურ-  
ძენი აღვილად გადაიტანება შორ მანძილზე.

სასუფრე ჯიშებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა  
აქვს მწვანე ოპერაციებს. აუცილებელია გარკვეული რაოდე-  
ნობის უნაყოფო ყლორტების შეცლა, რითაც ხელს შევუ-  
წყობთ ვაზის ნორმალურ პირობებში ჩაყენებას აერაციის, გა-  
ნათების გზით.

მდედრობითი ჯიშებისათვის ასევე მნიშვნელოვანია ნამხ-  
რევებისა და ფოთლების შეცლა, თავების გადაჭრა ყვავილო-  
ბის დაწყებამდე.

## სასუფრე ცურდის პრეზა, დახარისხება და ცუთაგზი ჩაზურა

სასუფრე ყურძნის კრეფა წარმოებს შერჩევით, მაკრატ-  
ლით ან მცრელი დანით. მარცხენა ხელით მტევანს ვიჭერო  
ყუნწით, ხოლო მარჯვენათი ვაჭრით ფრთხილად, რათა სან-  
თლისებრი ფიფქი არ მოცილდეს და მარცვალი არ დაზიან-  
დეს, რადგან ასეთ მარცვალზე ვითარდება მავნე სოკოები.

პირველად იქრიფება ქვედა მტევნები, რადგან ნიადაგთან  
ახლოა და არ ინახება. შემდეგ ძირითად რთველს ვიწყებთ  
გადასაზიდად და შესანახად. ზოგიერთ მტევანზე შეიძლება  
მარცვლების შექრა. დარჩენილი მარცვლები თანაბრად შემო-  
დის და შესანახადაც უკეთესია.

სასუფრე ჯიშები იქრიფება სრულ სიმწიფეში, მშრალ ამინდ-  
ში — დილასა და სალამოს. ძალიან სიცხიან, წვიმიან და მო-  
ლრუბლულ ამინდში მისი მოქრეფა არ შეიძლება — ეცემა  
ტრანსპორტაბელობა და შენახვის ხარისხი.

სარწყავ პირობებში აუცილებელია შევწყვიტოთ მორწყა-  
რთვლის დაწყებამდე 3—4 კვირით აღრე, რადგან ამის შემ-

დეგ მარცვლები წყლიანდება, გადაზიდვას ვერ უძლებს და ცუდად ინახება.

შორეული ბაზრისათვის რთველი იწყება მაშინ, როდენდროვა  
მარცვლები აღწევს ერთდროულ სიმშიფეს, იძენს დამახასია-  
თებელ შეფერვას, გემოსა და არმატს. სასურველია შეირჩეს  
ისეთი ჯიშები, რომელთაც აქვთ სქელი კანი და მკვრივი რბი-  
ლობი, როგორიცაა კარაბურნუ, ვერმენტინო, ნიმრანგი, პი-  
როვანო № 83 და სხვები.

დასარისხება. დაკრეფილ ყურძენს ფრთხილად აწყობენ ფოთლებჩაფენილ კალათაში და მიაქვთ ფარდულში, სა-დაც გაშლილ ფოთლებზე ან საფენზე დაახარისხებენ. სპეცი-ალური ბლაგვერიიანი მაკრატლით ეცლება დაზიანებული, გამხმარი, განუვითარებელი და დამპალი მარცვლები. დიდ მტევანს ჭრიან ორ ნაწილად, გრძელყურწიანს კი ამოკლებენ.

პირველი ხარისხისაა ტიპური, საუკეთესო მტევანი დაუზიანებელი მარცვლებით.

შეორე ხარისხს მიეკუთვნება ნაკლებტიპური, სხვადასხვა  
სიდიდის დაზიანებული მარცვლები — არანაკლებ 5 პროცენ-  
ტისა, რომლებიც ადგილობრივი მოხმარებისათვის გამოიყე-  
ნება.

მესამე ხარისხი გადასამუშავებლად მიღის.

ყურძნის შენახვა. ყურძნის შესანახ ოთახს წინას-  
წარ უკეთდება დეზინფექცია; შელესავენ კირით და კარგად  
ანიავებენ. კარგი და ფანჯრები ნაბეღით ან ბამბით უნდა იყოს  
დაცული, ტემპერატურა 7—8° მაღლა არ უნდა ავიდეს და  
0° ქვევით არ დაეცეს. შესანახ ყურძენს თაროებზე აწყობენ  
ან კიდებენ, კვირაში ერთხელ ანიავებენ და ასუთთავებენ  
დამპალი მარცვლებისაგან.

ჰაერის მაღალი ტენიანობის დროს ოთახში იდგმება რამდენიმე ყუთი ჩაუმჯრალი კირი. მიკროორგანიზმების განვითარების შემთხვევაში კი საჭიროა გოგირდით დაბოლება.

შორ მანძილზე გასაგზავნად ყურქენი ეწყობა სტანდარტულ ყუთებში, რომლის სიგრძე 49, სიგანე 31 და სიმაღლე 14 სანტიმეტრია. ყუთები წინასწარ სუფთავდება. უკეთდება დეზინფექცია. ამოეგება ქალალდი და დახარისხებული ყურქენი ეწყობა რაც შეიძლება მჭიდროდ, ყუნწი ექცევა ქვეშ.

პირველი ფენის შემდეგ აწყობენ მეორეს, თუ მოთავსდება —  
მესამე ფენასაც, თავისუფალ ადგილებს პატარა მიწოდებულის ჩარი-  
კავსებთ, ისე რომ შუაგული ამობურცული იყოს. გადააფარე-  
ბენ ქალალდს, უკეთებენ სახურავს და ამაგრებენ ლურსმნებით.  
გვერდზე აწერენ ჭიშის სახელწოდებას, რაოდენობას, რაიონს  
და გაგზავნის თარიღს.

მანქანაზე დაწყობილ ყუთებს მზის სხივებისა და მტვრი-  
საგან დასაცავად ბრეზენტს აფარებენ.

ხანგრძლივ შესანახად არჩევენ ისეთ ჭიშებს, რომელთაც  
აქვთ სქელი კანი, მკერივი რბილობი და ნაყოფსაჭდომზე კარ-  
გად არიან მიმაგრებულნი. ასეთებია: ვერმენტინო, კარაბურნუ,  
ნიმრანგი, პირველი № 83, ტაიფი და სხვა.

არსებობს ყურძნის შენახვის რამდენიმე წესი, რომელთა  
განხილვას არ შევუდგებით.

პრიმიტიული წესით შენახული ყურძნი უარყოფითი მხა-  
რების გამო (დამჟენარი მარცვლები, გამხმარი კლერტი) მომ-  
ხმარებელს ვერ დააქმაყოფილებს, ხილისა და სხვა პროდუქ-  
ტების შესანახ მაცივრებში ისინი კარგად ინახება გაზაფხუ-  
ლამდე.

### კახეთის გურეგრივი პირობების მოპლე დახასიათება

კახეთი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ  
ნაწილში, იგი ცივ-გომბორის მთით გაყოფილია ალაზნისა და  
ივრის ველად — შიგა და გარე კახეთად.

შიგა კახეთში შედის: ახმეტის, თელავის, გურჯაანის, ყვარ-  
ლის, ლაგოდეხის, წითელი წყაროსა და სიღნაღის ადმინისტ-  
რაციული რაიონები. ამასთანავე, ცივ-გომბორის მთები კა-  
ხეთს ერთმანეთისაგან განსხვავებულ ორ აგროკლიმატურ რა-  
იონად — შიგა და გარე კახეთად ყოფს.

შიგა კახეთი კავკასიონისა და ცივ-გომბორის მთების კალ-  
თების დაქანებაა და დასერილია მრავალი ხევით.

ალაზნის ველი ორი მიმართულებით არის დაქანებული.  
პირველი მიემართება ჩრდილოეთიდან სამხრეთ-აღმოსავლე-  
თისაკენ, მეორე — მთავარი კავკასიონისა და ცივ-გომბორის  
ფერდობების დაქანების მიმართულებით აღმოსავლეთისაკენ.

შიგა კახეთის ტერიტორია შეიცავს მთიან ნაწილს აღმოჩენის  
მდელოებით, ტყის ზონას და მცირე ფერდობებს.

გარე კახეთის კლიმატი უფრო კონტინენტურია, ვაჭალებულება  
გა კახეთისა. იგი ძირითადად თბილია და ზღვის დონიდან სი-  
მაღლის ზრდის მიხედვით თანდათან იცვლება ზომიერად თბი-  
ლი ჰავით. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ( $10^{\circ}$  ზევით) საგარე-  
ჯოში საშუალოდ 3532 გრადუსია, ნალექების წლიური ჯამი  
720 მმ, ზაფხული გვალვიანია, განსაკუთრებით აგვისტო.  
გვალვა იწყება ივნისის ნახევრიდან და მთავრდება ოქტომ-  
ბერში, ე. ი. 122 დღე გრძელდება.

კლიმატი. სუფრის ყურძნისათვის მთავარ ფაქტორთა-  
ვან პირველი ადგილი უკავია კლიმატი, რომელიც გვლენას  
ახდენს არა მარტო მას ზრდა-განვითარებაზე, პროდუქციის  
ხარისხზეც.

ალაზნის ვაკის კლიმატური პირობები ა. შატსკის მიხედ-  
ვით, უახლოვდება სუბტროპიკულ ჰავას, სადაც ზამთარი ზო-  
მიერად თბილია, გაზაფხული ცივი და ზაფხული ცხელი.

კახეთის კლიმატურ პირობებზე დიდად მოქმედებს მაღალი  
მთები, რომლებიც გარს ეკვრის და სამივე მხრიდან იცავს ცი-  
ვი მასების შემოჭრისაგან. ყველაზე ცივი თვეებია იანვარი  
და თებერვალი. ჰაერის საშუალო ტემპერატურა  $0^{\circ}$  დაბლა არ  
ეცემა, საშუალო წლიური ტემპერატურა  $12,3-14^{\circ}$ -მდეა.  
ხანგრძლივი ყინვები არ იცის. ყინვები 3-12 დღეს არ აღემა-  
ტება. თოვლის საბურველი ალაზნის ველზე დიდხანს არ  
გრძელდება. გაზაფხული გვიან დგება, 10 პრილის შემდეგ  
თანდათან იზრდება სითბო, მაქსიმუმს აღწევს ივნისში, ივ-  
ლისსა და აგვისტოში. სითბო თანდათანობით მცირდება დე-  
კემბერში. განსაკუთრებით ცხელი ზაფხულია ქვემო კახეთში  
ივლისსა და აგვისტოში. სიცივეები იწყება ნოემბერში, მაგრამ  
ძალიან იშვიათად. ამავე თვეში მთავრდება სავეგეტაციო პე-  
რიოდი. აქვე მოტანილი ცხრილი ჰაერის ტემპერატურის შე-  
სახებ თვეების მიხედვით.

ცხრილიდან ჩანს, რომ ივლისსა და აგვისტოში ოპტიმალუ-  
რი პირობებია სასუფრე ყურძნის ჯიშების დამწიფებისათვის.  
მაღალი ტემპერატურა უარყოფითად მოქმედებს როგორც ვა-

საერთო საშუალო ტემპერატურა

წელი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	ავგустი	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1955	2,3	6,4	2,4	11,7	13,6	19,9	21,9	28,8	16,0	11,7	5,8	0,3
1956	2,3	0,3	5,3	10,9	16,5	20,9	23,3	25,0	17,8	14,5	7,8	3,0
1957	1,7	4,3	5,6	12,8	17,6	20,4	22,5	23,3	21,5	12,9	7,1	4,1
1959	3,8	2,1	3,2	13,0	16,3	18,3	22,9	21,3	15,8	10,0	5,5	1,9
1960	1,1	3,0	3,8	10,0	16,2	20,3	22,8	21,5	18,3	—	8,7	—
საშ.	2,2	3,0	4,1	11,8	16,0	20,0	22,6	24,1	17,8	12,2	6,5	2,7

ზის ზრდა-განვითარებაზე, ისე მის პროდუქციის ხარისხზე. მცირდება ასიმილაციის პროცესები და პლასტიკურ ნივთიერებათა დაგროვება, ძლიერდება სუნთქვის პროცესები და განვითარება ფერხდება მწვანე ნაწილების არუქვის გამო, ასევე უარყოფითად მოქმედებს დაბალი ტემპერატურაც.

ნალექების რაოდენობაზე დიდ გავლენას ახდენს მთავარი კავკასიონისა და ცივ-გომბორის ქედები, რომლებიც საკმაოდაა დაცული კონტინენტური გავლენისაგან და ხასიათდება შედარებით მაღალი ტემპერატურით. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან შედარებით ღიაა, რაც ხელს უწყობს ტენიანი ჰაერის მასების შემოჭრას ალაზნის ველზე. ამ მასების აღმავალი მოძრაობა ალაზნის ველის ირგვლივ მდებარე მთის ქედებისაკენ აძლიერებს წვიმის წარმომქმნელ პროცესებს. ყველაზე მეტი ნალექები ალაზნის მარცხენა მხარეზე მოდის, ვიდრე მარჯვენაზე. ყველაზე მცირე ნალექები ნაფარეულშია. შემდეგ თანდათან მატულობს და ყვარელში 80 მმ აჭარბებს. ნალექების ჯამი უდიდესია ლაგოდეხში — 100—120 მმ მეტია, ვიდრე ნაფარეულში, ყველაზე მცირე ნალექები სილალსა და წნორის წყალზეა, ალაზნის დინების წინააღმდეგ ნალექების რაო-

დენობა მატულობს. კარდანახში 100 მმ მეტი ნალექი მოვალე, ეიდრე წნორის წყალში. მუკუზანსა და წინანდალშიც მართვა მი მატულობს და მაქსიმუმს აღწევს თეთრ წყლებში მარჯვენა მხარის ჩრდილო-დასაცლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მცირდება ნალექების რაოდენობა. იგი ყველაზე მცირეა იანვარში. გაზაფხულზე მატულობს და მაქსიმუმს აღწევს მაისში. შემდეგ თანდათან კლებულობს და სექტემბერში ისევ მატულობს, კალავ კლებულობს და მინიმუმამდე ეცემა იანვარში. ყველაზე დიდი გვალვა კახეთში ივნისსა და აგვისტოშია, რაც გამოწვეულია ნალექების სიმცირით, ზაფხულის წვიმები კოკისპირულია, რელიეფის მთაგორიანობის გამო ნალექები მოედინება დაბლობ აღგილებში და ნიადაგში არ ქმნის წყლის მარაგს. ხანგრძლივი წვიმები ყვაეილობის პერიოდში ხელს უშლის ნორმალურ განაყოფიერებას, იწვევს ყვავილცვენას და მარცელების ნაკლებად გამონასკვას, ტექნიკურ სიმწიფეში ხშირი წვიმა ხელს უწყობს მარცელების დასკდომას, რაც იწვევს მის ლპობას, ამავე დროს ეცემა ყურძნის ტრანსპორტაბელობისა და შენახვის ხარისხი. ამის ნათელსაყოფად მოტანილია ცხრილი 2.

## ცხრილი 2

ნალექების რაოდენობა ვეგეტაციის პერიოდში

დაწყების წლები	მდგრადი	გაის	ინიცი	ივნისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	კვი
1955	32,4	113,8	70,8	73,6	122,1	79,0	58,1	539,8
1956	55,1	128,5	140,8	82,4	85,3	58,4	59,7	560,2
1957	18,8	78,1	69,3	65,8	54,1	48,1	60,5	394,7
1959	54,9	104,2	144,2	44,0	129,9	31,7	38,7	547,2
1960	88,1	110,8	110,1	60,0	65,1	47,3	—	488,3
საშე- ალო	49,9	107,2	108,2	55,2	91,3	52,9	54,2	530,9

როგორც ცხრილიდან ჩანს, ნალექების რაოდენობა ცხრილით პერიოდში ვაზის ზრდა-განვითარებისათვის უკავშირისა იყო, მაგრამ არათანაბრად არის განაწილებული. გამოკიტობად: ივლისა და აგვისტოში ნალექების თვიური ჭამი საშუალოდ 47,7 მმ-დან 63,2 მმ აღწევს, მაშინ როდესაც მაისში 110,4 მმ და ივნისში 127 მმ, ხოლო წლიური ნალექების ჭამი სავეგეტაციო პერიოდში 530,9 მილიმეტრამდეა.

ქარები. ქარების მოქმედება თავისებურ გავლენას ახდენს მცენარის ზრდა-განვითარებასა და პროდუქციის ხარისხს, სუსტი ქარები ამტკრევს ვაზის ყლორტებს და აშრობს ნიადაგს, რისთვისაც საჭიროა ქარსაცავების მოწყობა. კახეთის სინაძვილეში ქარსაცავი ზოლები აუცილებელი არ არის, მაგრამ სასუფრე ვაზის ჭიშებისათვის საჭიროა. ნარგაობას უნდა გადაეფაროს ბადე სეტკვის წინააღმდეგ.

ნიადაგები. აღმოსავლეთ საქართველოში გვხვდება სხვადასხვა ტიპის ნიადაგები, ალაზნის ველის შემაღლებულ ნაწილში გავრცელებულია ნეშომპალაკარბონატული ტყის ყავისფერი, მუქი რუხი და დელუვიური ნიადაგები; სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში — შავმიწა, მუქი წაბლისფერი. ალაზნის ქვემო ზოლში გრუნტის წყლები ახლოა ნიადაგის ზედაპირთან და ხდება მისი დაჭაობება, უფრო დაბლობებში დამარილებული და მლაშე ნიადაგებია; ალაზნის ველის ჩრდილოდასავლეთით — ტყის ყავისფერი და ტყის რუხი ნიადაგებიასეთი ნიადაგები გავრცელებულია ცივ-გომბორის ქედის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში და შეფერილია ჰუმუსის მუქი პორიზონტით. უფრო ქედა ფენა ლიოსისმაგვარი ღია ყავისფერი ან ყავისფერია. მექანიკური შედგენილობით საშუალო და მძიმე თიხნარებია. შემაღლებულ აღგილებში გვხვდება მუქი ტყის ნიადაგები რუხი შეფერვითა და გოროხოვანი სტრუქტურით. მექანიკური შედგენილობით მძიმე ქვეთიხნარი ან თიხნარია. ამავე ზონაში (ჩუმლაყის, ანაგის, ვაზისუბნის, კისისხევის, წინანდლის, ნასამხრალისა და იყალთოს) გავრცელებულია ნეშომპალაკარბონატული ნიადაგები, რომლებიც ხასიათდება მაღალი კარბონატობით, დიდი ჩონჩხიანობით, კარგი ფიზიკური თვისებებითა და დიდი ნოჟიერებით. სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გავრცელებულია ნეშომპალაკარ-

ბონატული და ტყის ყავისფერი ნიადაგები მარცვლოვან-გო-  
როხოვანი სტრუქტურით, მექანიკური შედგენილობით ქვე-  
თიხნარი და მძიმე ქვეთიხნარებია, მეტად მდიდარი განაკვე-  
ნიერებებით, წაბლისფერი შავმიწა ნიადაგები განლაგე-  
ბულია წნორის წყლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით (ზაქათა-  
ლამდე) და ხასიათდება მუქი შავი შეფერვით, მარცვლოვანი  
სტრუქტურითა და ჰუმუსის დიდი სილრმით, კირი ჩარეცხი-  
ლია ნიადაგის ქვედაფენებში. ეს ნიადაგები მეტად ნოკიერია  
და ხელსაყრელია მევენახეობისათვის. ტყის ყავისფერი არა-  
კარბონატული ნიადაგები გავრცელებულია კავკასიონის ქე-  
დის ზევით. დელუვიურ-კარბონატული ნიადაგები გვხვდება  
კავკასიონის ქედის ძირში, ხასიათდება დიდი ჩონჩხია-  
ნობითა და კარგი ფიზიკური თვისებებით. ეს ნიადაგე-  
ბი ხელსაყრელია ხარისხოვანი მევენახეობისა და მელვინეო-  
ბის გასავითარებლად. ალაზნის მარცხენა მხარეზე გვხვდება  
ალუვიურ-კარბონატული ნიადაგები — მცირე ან საშუალო  
ჩონჩხიანი, მსუბუქი მექანიკური შედგენილობის, წყლის კარ-  
გი გამტარი, დასამუშავებლადაც ადვილი, მაგრამ ჰუმუსის  
მცირე შედგენილობის გამო წვიმის შემდეგ იკეთებს ქერქს  
და ნიადაგიდან წყალი ადვილად იქარგება.

## სასული უზრდნის ჯიშების განლაგება და დარაიონება

ჩესპუბლიკაში სასული ვაზის ჭიშების სორტიმენტიდან  
პირველი აღვილი უკავია შასლა თეთრს, სუფრის კიროვაბა-  
დულს და გორულას. მცირე რაოდენობითაა გავრცელებული  
ჰამბურგის მუსკატი, ჩაუში, კარაბურნუ და სხვ. არსებული  
ჭიშების შემაღვენლობა არადამაქმაყოფილებელია სიმწიფის  
პერიოდების შესაბამისად, ამიტომ უნდა მოხდეს ძირეული  
შეცვლა შესაფერისი ჭიშების შერჩევით.

ჩენში გავრცელებულ სასული ჭიშებთან შედარებით (სა-  
აღრეო ჭიშები) შასლა და სხვა მეტად შეკვეცილია. ძირითა-  
დად გავრცელებულია საშუალო სიმწიფის პერიოდის ჭიშები,  
კიროვაბადული სუფრის, თითა შავი, წითელი ბუდეშური და

სხვ. საგვიანო ჯიშები მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი. კახეთის მევენახეობის რაიონებში სულ არ არის საჭარ-მოო სახის ნარგვები ისეთი ძვირფასი ჯიშებისა, რამაც გულა-კარაბურნუ, ჰამბურგის მუსკატი და სხვ. ნაკლებადაა მეტად საადრეო, საშუალო, საგვიანო პერიოდის ხარისხოვანი ჯიშებიც. ამიტომ რაციონალური განლაგება ცალკეული ჯიშებისა რაიონების მიხედვით უნდა უზრუნველყოფეს ბუნებრივი პირობების უფრო ეფექტურ გამოყენებას, რელიეფი, კლიმატი, ნიადაგი და სხვა ხელს უნდა უწყობდეს შრომის მაღალ ნაყოფიერებას და ხარისხოვანი პროდუქციის მიღებას.

სასუფრე ჯიშები უნდა გავრცელდეს ძირითადად საწარ-მოო ცენტრების ირგვლივ — თბილისი, რუსთავი და სხვ., რისთვისაც მათი ხევდრითი წონა უნდა გაიზარდოს კახეთის დასავლეთ ნაწილში, სადაც ქარები ნაკლებია, ქარიან აღვი-ლებში კი უნდა მოეწყოს მძლავრი ქარსაცავები.

ჯიშები უნდა განლაგდეს მისი ბუნების შესაბამისად, ავად-მყოფობის მიმართ შედარებითი გამძლეობისა და სიმწიფის პერიოდების გათვალისწინებით. სასუფრე ჯიში უნდა გაშენდეს იქ, სადაც მთლიანად გამოამულავნებს თავის ლირსებას და ეფექტური იქნება მისი გამოყენება.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ შედარებით გამძლე ჯი-შები უნდა განლაგდეს დაბლობ და ტენიან, ხოლო ნაკლებ-გამძლენი — ფერდობებზე, შემაღლებულ და ნაკლებტენიან ნიადაგებზე. სიმწიფის პერიოდების მიხედვით თითოეული რაიონებისათვის უნდა გავითვალისწინოთ ისეთი ჯიშები, რომ მოსახლეობა დიდი ხნის მანძილზე უზრუნველყოფილი იქნეს ახალი ყურძნით.

შიგა კახეთის მთავარი მასივები განლაგებულია ორ თერ-მულ ზონაში: სუბტროპიკული — შშრალი და ნახევრად ტე-ნიანი და თბილი, სახელდობრ, ალაზნის მარჯვენა მხარეზე ცივ-გომბორის ჩრდილო-აღმოსავლეთით და აღმოსავლეთით მარცხენა ნაპირზე, კავკასიონის ქედის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე.

ამ ზონაში აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ( $10^{\circ}$  ზევით) მერ-ყეობს 4092 გრადუსიდან (ახალსოფელ-ლაგოდეხის ქვეზონა) 3014 გრადუსამდე (ვანკისის ქვეზონა.) კულტურულ მცენარე-

თა გაერცელების სიმაღლე დიდი არაა — 130-დან 1400 მეტრამდე რი ზღვის დონიდან, რაც იმით აიხსნება, რომ მთავარი ქადაგი სიონის ქედის ფერდობები აქ მეტად ციცაბოა, თბილის ზონაში გამოიყოფა ქვეზონები:

შესწავლილი ჯიშები რაიონებისა და ზონების მიხედვით შემდეგნაირადაა განლაგებული:

1. ახალსოფელ-ლაგოდეხის ქვეზონა მდებარეობს ზღვის ონიდან 500 მეტრზე, კლიმატი სუბტროპიკული მშრალი და ზანევრად ტენიანია, ლაგოდეხში ნალექების წლიური ჯამი 993 მილიმეტრია, სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში თანდათან გადადის მშრალ სუბტროპიკულში, ქვეზონის მთისწინა ზოლი ჭაბუტენიანია, რაც ხელს უშლის ყურძნის კარგად დამწიფებასა და მაღალი ხარისხის პროდუქციის მიღებას.

ნიადაგები მონაცრისფრო-ყავისფერია სუსტი გოროხოვანი სტრუქტურით. ამ ზონის დაბლობ ადგილებში უნდა გაშენდეს შემდეგი ჯიშები: შასლა თეთრი, ქართული საადრეო და მუსკატი ჰამბურგის; ფერდობებზე — შასლა თეთრი, ლედი და უნს სიდლინგი, მატიაშ იანოში, კარაბურნუ და ჭურა უზუმი; შემაღლებულ ადგილებში — ირშაი ოლივერი, ხალილი თეთრი, კარალევა ვინოგრადნიკოვ, ბუდეშური წითელი და რანი „ვირ“.

2. ყვარლის ქვეზონა მდებარეობს მთის ფერდობებზე და მათ ახლომდებარე ვაკეზე. ამ ზონის კლიმატი თბილია, აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 3842 გრადუსია. სექტემბერი ზომიერად ტენიანია, რაც ხელს უწყობს ყურძნის კარგად დამწიფებას.

ნიადაგები ალუვიურ-კარბონატულია, ამ ზონის დაბლობ ადგილებში უნდა გაშენდეს შემდეგი ჯიშები: შასლა თეთრი, ქართული საადრეო, ხალილი თეთრი, ჰამბურგის მუსკატი და საადრეო „ვირ“.

ფერდობებზე: შასლა თეთრი, ხალილი თეთრი, ლედი და უნს სიდლინგი, პიროვანო № 83, ბუდეშური წითელი და ცხენისძუძუ კახური.

შემაღლებულ ადგილებზე: ირშაი ოლფერი, საბას მარგალიტი, კიროვაბადული სუფრის და ვერმენტინო.

3. ნაფარეულის ქვეზონა მდებარეობს ვაკეზე კავკასიონის  
2. 6. ქარუხიშეილი

4. ჩარჩის სახ. სახ. 17

არ სახელმისამართი

სისპუბლიკური

დიდ დიან მარკ



მთავარი ქედის განშტოებით. ამ ქვეზონაში ტემპურატურული ინვერსირების გამო ძლიერი ყინვები იცის, რაც ასეთი მუშაობა შეიძლება ზოგი მინიჭრების და ერთწლოვან ნაზარდს. ჰაერის ტემპერატურის მინიმუმი 18 გრადუსია, გვალვიანი პერიოდის საშუალო ხანგრძლივობა 114 დღეა, კლიმატი თბილი, აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 3965 გრადუსია.

ნიადაგები ოლუვიურ-არაფარბონატულია, საშუალო ჩონჩხიანი, სუსტი თიხნარი. ამ ზონის დაბლობ ადგილებში უნდა გაშენდეს: ირშაი ოლივერი, ხალილი თეთრი, მალიენგრის საადრეო და ლედი დაუნს სიდლინგი.

ფერდობებშე: გლორია, ბუდეშური წითელი, ქართული კა-ადრეო, შასლა თეთრი, ჰამბურგის მუსკატი და ცხენისძუძუ კახური.

შემალლებულ ადგილებში: კიროვაბადული სუფრის, კარაბურნუ, ვერმენტინო, პობედა.

4. გურჯაან-მუქუზნის ქვეზონა მდებარეობს მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირზე და მოიცავს გურჯაანის რაიონის დაბლობ ურწყავ ნაწილს, სადაც ჰავა თბილია, უფრო ზემოთ კი — ზომიერად თბილი. ნალექების რაოდენობა ნაკლებია, წლიური საშუალო ნალექების ჯამი 683 მმ. სავეგეტაციო პერიოდში მეტი ნალექებია, მაგრამ რეპროდუქციის პერიოდში უმეტესად შშრალი ამინდია, რაც კარგ პირობას ქმნის ყურნის დამწიფებისა და მოსავლის აღებისათვის. გურჯაანში გვალვიანი პერიოდი საშუალოდ 146 დღეა, მაგრამ სიმაღლის ზრდასთან ერთად გვალვის საშუალო ხანგრძლივობა მცირდება.

ნიადაგი მუქი ყავისფერია, სუსტი კარბონატული, მცირე ჩონჩხიანი. დაბლობ ადგილებში უნდა გაშენდეს: შასლა თეთრი, ქართული საადრეო, საბას მარგალიტი, ლედი დაუნს სიდლინგი, გორულა, პიროვანო № 83.

ფერდობებშე: ბუდეშური წითელი, მატიაშ იანოში, კარალევა ვინოგრადნიკოვ, კარაბურნუ და ჰამბურგის მუსკატი.

შემალლებულ ადგილებში: შასლა თეთრი, კიროვაბადული სუფრის, ცხენისძუძუ კახური, ბუდეშური წითელი და მატიაშ იანოში.

5. შრომა-წინანდლის ქვეზონა მოიცავს მთის ფერდობთა ზოლს და ახლომდებარე დაბლობს. ჰავა თბილი და ზომეტებული გვალვიანია. ტემპერატურათა ჯამი ( $10^{\circ}$ -ზეეთ) 382 კ ფუნდუმენტისა ისია. თბილი და ზომიერად მშრალი. ალაზნის ვაკეს ახასიათებს მაღალი ტემპერატურა და ხანგრძლივი საცემების პერიოდი.

ნიადაგები ტყის მუქი ყავისფერია, სუსტი კარბონატული, მძიმე თიხნარი. ამ ზონის დაბლობ ადგილებში უნდა გაშენდეს თეთრი შასლა, თეთრი ხალილი, კარალევა ვინოგრადნიკოვ, ქართული საადრეო, ბუდეშური წითელი და რანი „ვირ“.

ფერდობებზე: ქართული საადრეო, შასლა თეთრი, ჰამბურგის მუსკატი, ჯურა უზუმი, პობედა, კარაბურნუ და ლედი დაუნს სიდლინგი.

მაღლობებზე: შასლა თეთრი, ქართული საადრეო, ბუდეშური წითელი, მატიაშ იანოში, გლორია და რანი „ვირ“.

6. თელავ-ახმეტის ქვეზონა მდებარეობს მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, მოიცავს თელავ-ახმეტის რაიონების დაბლობ ნაწილს და მახლობელ ფერდობებს. ზღვის დონიდან დაახლოებით 700 მეტრამდე, ნალექების წლიური ჯამი 730 მმ, იქტიურ ტემპერატურათა ჯამი 3500 გრადუსია.

ნიადაგები ყავისფერ-მონაცრისფროა, სუსტი კარბონატული, საშუალო ჩონჩხიანი, თიხნარი. ამ ზონის დაბლობ ადგილებში უნდა გაშენდეს: შასლა თეთრი, ხალილი თეთრი, ქართული საადრეო, კარალევა ვინოგრადნიკოვ, კარაბურნუ და ჯურა უზუმი.

ფერდობებზე: ხალილი თეთრი, ბუდეშური წითელი, ლედი დაუნს სიდლინგი, პობედა, კიროვაბადული სუფრის, ჰამბურგის მუსკატი და რანი „ვირ“.

შემაღლებულ ადგილებზე: ქართული საადრეო, ბუდეშური წითელი, გორულა, ჯურა უზუმი, პობედა, შასლა თეთრი.

7. შირაქის ველის, წითელი წყაროსა და სიღნაღის ქვეზონა. შირაქის ველს გარს ორტყია 800 მ სიმაღლის მთაგრეხილი, რაც ჰავას განსაზღვრულ სპეციფიკურობას აძლევს. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი საშუალოდ 3297 გრადუსია, ჰავა ზომიერად თბილია, ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა 493 მილიმეტრია. შირაქში ნალექების უმეტესი ნაწილი

მოდის მაისსა და ივნისშე. ტენის სიმცირეს ერთგვარი / ავ-  
სებს ივლისისა და აგვისტოს უნვი ნამი.

გარე კახეთის კლიმატი უფრო კონტინენტური ჰამატიტურ  
შიგა კახეთისა, ძირითადად თბილია და ზღვის ზონიდან სი-  
მაღლის ზრდის მიხედვით თანდათან იცვლება ზომიერად თბი-  
ლი ჰავით. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი ( $10^{\circ}$  ზეეით) საგარე-  
ჯოში საშუალოდ 3532 გრადუსია. ნალექების წლიური ჯამი  
720 მილიმეტრია. ზაფხული გვალვიანია, განსაკუთრებით აგ-  
ვისტო. გვალვა იწყება ივლისის ნახევრიდან და მთავრდება  
ოქტომბერში. გვალვის ხანგრძლივობა 122 დღეა.

ვენახები გარე კახეთში ნაწილობრივ სარწყავია. მანავში,  
თოხლიაურში აქტიურ ტემპერატურათა ჯამი 3532 გრადუსია,  
ნალექების წლიური ჯამი 720 მმ.

ნიადაგები ალუვიურ-კარბონატულია. ცივ-გომბორის მთის  
ძირში დელუვიურ-კარბონატული, სუსტჩონჩიანი, თიხნარი  
ნიადაგებია.

კაჭრეთ-კაკაბეთში (ლიანდაგის ზემოთ) შავმიწისებრი კარ-  
ბონატული მძიმე თიხნარი ნიადაგებია. ამ ზონის დაბლობ აღ-  
გილებში უნდა გაშენდეს: შასლა თეთრი, ირშაი ოლივერი,  
ქართული სააღრეო, კარალევა ვინოგრადნიკოვ, პიროვანო  
№ 83.

ფერდობ აღგილებში: ბუდეშური წითელი, კიროვაბადული  
სუფრის, მატიაშ იანოში, ლედი დაუნს სიდლინგი, ჯურა უზუ-  
მი, პობედა.

შემალებულ აღგილებში: ქართული სააღრეო, საბას მარ-  
გალიტი, გლორია, ხალილი თეთრი, შასლა თეთრი და რანი  
„ვირ“.

## სასუფრე ჩურდნის ჯიჯების სორტივენტის გაუმჯობესების გზები

სასუფრე ჯიშების სორტიმენტი არ შეესაბამება ჩვენი ჩეს-  
პუბლიკის მდიდარ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს. ამიტომ  
აუცილებელია ძირეულად გავაუმჯობესოთ ჯიშური შედგენი-  
ლობა. სუფრის ჯიშების სორტიმენტის გაუმჯობესება უპირ-  
ველეს ყოვლისა უნდა მოხდეს მთელი რიგი ღონისძიებებით.

ამასთან ერთად უნდა გამოვცადოთ და დავნერგოთ შეტაც  
ძვირფასი ჯიშები კავშირის ვაზის მდიდარი ფონდიდან, განსაუღია  
კუთრებით ახალი სელექციური ჯიშები.

დარაიონებული ჯიშების დასანერგად და არსებულის გასა-  
უმჯობესებლად საჭიროა ჩატარდეს შემდეგი ორგანიზაციული  
ღონისძიებანი:

1. რეპეტიციაში დაარსდეს სასუფრე ყურძნის ჯიშების  
სელექციური სადედე ნაკვეთები.

2. მოეწყოს იშვიათად გავრცელებული ხარისხოვანი ჯიშე-  
ბის სარეპროდუქციო ნაკვეთი.

3. დარაიონებული ჯიშები გაუმჯობესდეს მასობრივი სე-  
ლექციის გზით.

საცდელი ნაკვეთები უნდა მოეწყოს საბჭოთა და კოლექ-  
ტიურ მეურნეობებში რაიონის ზონის შესაბამისად სორტი-  
მენტის გათვალისწინებით. ცალკეული ჯიშის სადედეს უნდა  
ჰქონდეს საწარმოო დანიშნულება. პირველ რიგში უნდა გა-  
შენდეს დეფიციტური ჯიშები. შერჩეული ჯიშების ნარგაობი-  
დან გამოიყოს სუფთა მასივები, ამოიძირკვოს დაავადებული  
და მცირებოსავლიანი ძირები, ამით მათ მიეცემა ნამდვილი  
ნაკვეთების სახე.

საწარმოო ნარგავებში უნდა შეიჩინეს ყველა ის ჯიში, რო-  
მელიც გვესაჭიროება მოსამრავლებლად, შემდეგში მათგან  
დამზადდეს გასამრავლებელი რქა.

დარაიონებული ჯიშების გასაუმჯობესებლად საჭიროა ჩა-  
ტარდეს კლონური სელექცია.

როგორც ცნობილია, ცალკეული სასუფრე ვაზის ჯიშები,  
შეტაცრე უძველესი, შედგება სხვადასხვა სამეურნეო ღირე-  
ბულების კლონებისაგან, რომელთაგან უნდა შეიჩინეს მოსავ-  
ლიანი და ხარისხოვანი კლონები. ასეთი კლონებიდან უნდა  
მოეწყოს სადედე ნაკვეთები. მაგალითად, ჰამბურგის მუსკატი  
ხასიათდება მარცვლების არაერთდროული სიმწიფითა და არა-  
თანაბარი განვითარებით.

ჯიშის ანალიზური შესწავლა უნდა ხდებოდეს იმ მიმართუ-  
ლებით, რომ შეგვეძლოს შევარჩიოთ მაღალმოსავლიანი ძირე-  
ბი — მარცვლების ერთდროული მწიფობით, არ ახასიათებ-  
დეს კოკრების დაცვენა, მარცვლების დაკნინება და ა. შ.

ჭიშის სორტიმენტის გასაუმჯობესებლად საჭიროა ზოგად ზონაში მოწყვოს ჭიშთაგამოცდის ნაკვეთები, მრავალი ჭიშის ჩართვით. ამით მივაღწევთ ცალკეული ზონის სამუშავებულების ასორტიმენტის დაზუსტებას.

სასუფრე ვაზის ჭიშების სორტიმენტის გადიდება-გაუმჯობესება ხდება ახალი ჭიშების გამოყვანის გზითაც. უკვე შექმნილია ქართული საადრეო, ხალილი თეთრი, ქართული მუსკატი (პროფ. დ. ტაბიძე), მუსკატური რქაწითელი, თბილისური (პროფ. ვ. ქანთარია და ლოც. ნ. ჩახნაშვილი).

სასუფრე ჭიშების მოსავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად საჭიროა ჩატარდეს ისეთი ღონისძიებები როგორიცაა: ახალგაზრდა ნაზარდის წვეროების წაწყვეტა მტევანზე მარცვლების გამოხშირვით, მდედრობითი ჭიშების ხელოვნური დამტკერვა, ვაზის ფორმირება და სხვა.

ქვემოთ მოხსენებული ჭიშების შესწავლა ჩატარებულია მებალეობის, მევენახეობისა და მელვინეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თელავის საცდელი სადგურის საკოლექციო ვენახში, რომელიც გაშენებულია 1961 წელს. ნაკვეთი მდებარეობს ცივ-გომბორის მთის ჩრდილო-აღმოსავლეთის სუსტად დაქანებულ ფერდობზე, რომელიც ზღვის დონიდან 560 მეტრზეა.

ნიაღაგი მორუხო-მოყავისფროა, ნაკლებჩონჩხიანი და მცირე კირიანი.

საკოლექციო ნაკვეთში ვაზი გაშენებულია  $2,0 \times 1,5$  მეტრ კვების არეზე. საძირედ გამოიყენება ბერლანდიერი რიპარი კობერი 5 ბბ. ფორმა ორმხრივი შპალერია. ნაკვეთი ურწყავია.

კოლექციაში 1200-მდე ჭიშია. თითოეული ჭიში წარმოდგენილია ათი ძირით.

ნაკვეთში ჭიშები განლაგებულია სიმწიფის პერიოდების მოხდვით.

კოლექციაში თავმოყრილია როგორც ადგილობრივი, ისე ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთის, მოძმე რესპუბლიკების მოლდავეთის, უკრაინის, სომხეთის, შუა აზიისა და სხვ ქვეყნების ყურძნის ჭიშები, რომელთა შესახებაც ქვემოთ მოვათხოვთ.



მეტად საადრეო სიმწიფის პერიოდის თეორი სასუფრავის დროულობის გამოყვანილია პროფ. დ. ტაბიძის მიერ მაღალი უნივერსიტეტის ანექვინის და აკადემიური შეჯვარებით.



### ჭართული საალრეო.

გავრცელებულია მებალეობის, მევენახეობისა და მელვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თელავის საცდელი სადგურის საკოლეჯით ნაკვეთში, თბილისის გარეუბნებში, სამგორის საბჭოთა მეურნეობაში, მარნეულსა და ხირსაში.

### ბოტანიკური ალწერა

ჭართული საადრეოს ბოტანიკური ალწერა ჩატარებულია მებალეობის, მევენახეობისა და მელვინეობის სამეცნიერო-

კვლევითი ინსტიტუტის თელავის საცდელი სადგურის საკუთრებულებული ნაკვეთში.

ახალგაზრდა ყლორტის წვერო (15-25 სმ) გურჯაევის შემოსულია საშუალო სისქის აბლაბუდისებრი ბეჭედით და შეფერილია მონაცრისფროდ, გვირგვინს შემოვლებული აქვს ვარდისფერი არშია. პირველი იარუსის ფოთლები ორივე მხრიდან შებუსულია საშუალო სისქის აბლაბუდით, მოყვითალოა და გადაპერავს მოწითალო იერი, ირგვლივ ვარდისფერი არშიით მეორე იარუსის ფოთლებზე შებუსვა მცირდება, მხოლოდ ძარღვების გასწვრივ კვლავ აქვს. მწვანე-მოყვითალო ფერისა და გადაპერავს ვარდისფერი იერი. მესამე იარუსის ფოთლების ზედა მხრიდან შებუსვა ქრება და ხდება მწვანე-მოყვითალო, ხოლო ქვედა მხრიდან ისევ შებუსულია. ნაცრისფერია და გადაპერავს მერთალი ვარდისფერი იერი, მომდევნო ფოთლები ღია მწვანეა, ღერო — მწვანე წითელი ზოლებით.

ერთწლიანი რქა. ქართული საადრეოს ერთწლიანი რქები შეფერილია ღია ყავისფრად, მთლიანად შემოსულია და გახევებული ხდება ზამთრის ყინვებს.

ფოთოლი. ზრდადამთავრებული ფოთლები საშუალო ზომისა, 15-20 სმ, ფოთლის ფირფიტა მომრგვალოა, ხუთნაკვათიანი, იშვიათად სამნაკვთიანიც. ფოთლის ზედაპირი წვრილბუშტოვანია, ყუნწის ამონაკვთი ღიაა და ლარისებრი.

ზედა ამონაკვთები დახურულია, კვერცხისებრი ან ვიწრო ელიფსურია.

ქვედა ამონაკვთები ჩვეულებრივ უფრო პატარებია, ჩანგი-სებრი ფორმის პარალელური გვერდებით.

ფოთლის მთავარი ძარღვები ბოლოვდება სამკუთხედისებრ ორმხრივ გამობურცული კბილებით, გვერდითი კბილები კი გუმბათისებრი ფორმისაა, ფოთლის ქვედა მხარე შეუბუსავია. ფოთლის ყუნწი მთავარ ძარღვზე გრძელია და მწვანე, ცალ მხარეზე წითელი ზოლები გასდევს.

ყველი არსებიანია, მტვრიანა ხუთია, იშვიათად ოთხი. მტვრიანათა ძაფის სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან უდრის 1,1-1, 25.

მტევანი საშუალო ზომისაა (15—8 სმ). ცილინდრულ-

კონუსისებრი ფორმის, საშუალო სიმკვრივის, მტევნის უზარესის სიგრძე 3-4 სმ და ბალახისებრია.

მარცვალი საშუალო ზომისაა (16-15 მმ), მომრგვალოვანი მწვანე მოყვითალო, გამჭვირვალე. ღერუკა მოკლე — 0,5 მმ, მეჭვიანი, საჭდომი ბალიში კონუსისებრი და მეჭვეჭებიანია. კანი საშუალო სისქის, მკერივი, მცირედ დაფარული სანთლი-სებრი ფიფქით, რბილობი საკმაოდ წენიანია. გემო სასიამოვნო, შაქრიანობა და მეავიანობა ჰარმონიულად შეთანწყობილი, მარცვალში 1-3-მდე წიპტაა.

წიპტა მსხვილია, სიგრძე 7 მმ, სიგანე 4 მმ, მსხლისებრი ფორმის, ყავისფერი შეფერვის, ქალაძა მომრგვალო და ჩაზნექილია, ნისკარტი წაგრძელებული აქვს მომრგვალებული წვერით.

### აგრობიოლოგიური დახასიათება

დაკვირვებანი სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობაზე წარმოებდა მებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თელავის საცდელი სადგურის საკოლექციო ნაკვეთში.

სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა კვირტის გაშლიდან სრულ სიმწიფემდე საშუალოდ 126 დღეა 2436,2 აქტიურ ტე-მერატურათა ჯამით, ამის ნათელსაყოფად მოტანილია ცხრ. 3.

### ცხრილი 3

#### სავეგეტაციო ფაზების მსვლელობა

დაკვეთი- კვების წლები	კვირტის გაშლის დასაწყისი	ყეველო- ბის დასა- წყისი	სიმწიფეის დასაწყისი	სრული სიმწიფე	დღეთა რიცხვი	აქტიურ ტემპერა- ტურათა ჯამი
1955	16/IV	2/VI	15/VII	2/VIII	127	2500,5
1956	26/IV	16/VI	31/VII	5/IX	138	2582,4
1957	18/IV	29/V	10/VII	23/VIII	128	2455,3
1959	15/IV	10/VI	15/VII	16/VIII	124	2366,0
1960	20/IV	15/VI	18/VII	17/VIII	120	2378,9
საშუალო	19/IV	9/VI	18/VII	22/VIII	126	2436,2

როგორც ცხრილიდან ჩანს, კვირტის გაშლას იშვებს /საშუალოდ 19/IV, ყველილობას 10/VI, სიმწიფეს ივლისის, ზორცილ ნახევარში და სრულ სიმწიფეში შედის აგვისტოში შემთხვევაში გარში.

მოსავლი ან ბა. თელავის საცდელი სადგურის პირობებში ქართული სააღრეო დარგვიდან მეორე-მესამე წელს იძლევა მოსავლის პირველ ნიშნებს. სრულ მოსავლიანობაში შედის მეოთხე-მეხუთე წელს. ჯიში კარგი მოსავლიანია, მოსავლიანობის კოეფიციენტი მერყეობს 0,75 — 0,91-მდე. მტევნის საშუალო წონა 130-170 გრამამდეა.

უალკეული კარგად განვითარებული მტევანი 250 გრამიანია ძირის მოსავალი — 1500-2500 გრამს იწონის, რაც ჰექტარზე გაანგარიშებით 50,3 შეადგენს.

ნაყოფიანი რქები 76%, მტევნის საშუალო რიცხვი ერთ რქაზე 0,76, მტევნების რაოდენობა ერთ ნაყოფიან რქაზე 1,1, მტევნის საშუალო წონა 151 გ, ერთი რქის ნაყოფიანობა გრამობით 164 გ.

კვავილცვენა და წვრილმარცვლი ან ცვლიანობა თელავის საცდელი სადგურის პირობებში ქართულ სააღრეოს ახასიათებს მცირე ყვავილცვენა. ნაცრის მიმართ კარგ გამძლეობას იჩენს. ჭრაქის მიმართ საშუალოა, ხოლო აბლაბუდიანი ტიპის მიმართ სუსტი.

აგროტექნიკის თავისებურება. ჯიში ხასიათდება საშუალოზე ძლიერი ზრდა-განვითარებით. საკავებელზე ყლორტების მოსავლიანობა მეტი აქვს — ბაზალურ ნაწილთან ახლოს, რისთვისაც ჯიში უნდა გაისხლას მოკლედ 5-6 კვირტის დატოვებით.

ჯიშის საშეურნეო ტექნილოგიური დახასიათება. მტევნებისა და მარცვლების გარეგნობა მათი მექანიკური და წვნის ქიმიური შედგენილობა, ყურძნის გემო, ჰარმონიულად შეხამებული შაქტიანობა და მეუვანობა მიგვითითებს ჯიშის სასუფრე ყურძნის ტიპურობაზე.

მოგვყავს ქართული სააღრეო ყურძნის მექანიკური ანალიზის შედეგების ხუთი წლის საშუალო. მტევნის საშუალო წონა 165 გ. მარცვლების საშუალო რიცხვი მტევანში 68, კლერტი

2,61, კანი 7,01, წვენი და რბილობი 87,20, ჭიპშა 2,98, 100 გვ/ რცვლის წონა 219 გ, 100 ჭიპშის 3,29 გ.

მარცვლის მექანიკური თვისებები ბაზიზულია წინააღმდეგობა მოწყვეტისა და გატყლეტის მიმართ საშუალოა. ჩვენი დაკვირვებით მარცვლის წინააღმდეგობა გატყლეტის მიმართ საშუალოდ 600, მოწყვეტის მიმართ 180 გრამია. რაც მიუთითებს მის დფგილობრივ მოხმარებაზე.

წვნის ქიმიური შედგენილობა ქართული საადრეო ხასიათდება საკმაოდ მაღალი შაქტიანობით. ყველაზე საადრეო ჯიშ ხალილ თეთრთან შედარებით 2-3 პროცენტით მეტ შაქარს აგროვებს. თელავის საცდელი სადგურის პირობებში მისი შაქტიანობა მრავალწლიური მონაცემებით - 18,80 პროცენტია, ხოლო მეავიანობა 4,0 პრომილე, მაშინ როდესაც ხალილი თეთრის შაქტიანობა 15,1 პროცენტია, ხოლო ვეავიანობა 4,6 პრომილე.

ჯიშის საერთო შეფასება ქართული საადრეო ნაკლებად გავრცელებული მეტად საადრეო სიმწიფის თეთრყურძნიანი სასუფრე ჯიშია. იძლევა საუკეთესო ღირსების ყურდებს.

გარეგნულად ლამაზი მტევნები და გამჭვირვალე, მოყვითალო ფერის თანაბარი სიდიდის მარცვლები ერთდროულად მწიფდება.

მისი უარყოფითი მხარეა აბლაბუდიანი ტკიპას მიმართ სუსტი გამძლეობა.

ქართული საადრეო რეკომენდებულია გავრცელდეს კახეთის მევენახეობის რაიონებში, კერძოდ, ახალსოფელ-ლაგოდეხისა და ყვარლის ქვეზონის დაბლობ აღვილებში, ნაფარეულის ზონის ფერდობებზე; გურჯაან-მუკუზნის დაბლობ აღვილებში, შრომა-წინაანდლის ზონის დაბლობ ფერდობებზე და შემალლებულ აღვილებში, თელავ-ახმეტის დაბლობ და შემალლებულ აღვილებში. გარე კახეთში — კაჭრეთ-კაკაბეთის დაბლობ და შემალლებულ აღვილებში.

#### საბას შარგალიზი

საბას მარგალიტი მეტად საადრეო სიმწიფის მუსკატის გემოს ჯიშია. ცნობილია სხვადასხვა სინონიმით: უკრაინაში —

უემჩუგ ქსაბა, მუსკატ ქსაბა, პერლ დე ჩაბა; უნგრეთში ჩაბა გენგი, მუსკატ პერლ ჩაბა, პერლ დე საბლ დაქახვაცავული

ჭიში გამოყვანილია სელექციონერ შტარკის შემსრულებელი თესლის წარმოშობით, არის ასეთი აზრიც, რომ საბას მარგალიტი მიღებულია უნგრული მუსკატის საადრეო ჭიშთან შეჯვარებით.

მცირე რაოდენობით გვხვდება სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საკოლექციო ნაკვეთში, მებალეობის, მევენახეობისა და მელვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თელავის საცდელი სადგურის საკოლექციო ვენახში, უკრაინაში, მოლდავეთში, მოსკოვში, უნგრეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში და სხვ.

### ბოტანიკური აღწერა

ბოტანიკური აღწერა ჩატარებულია მებალეობის, მევენახეობისა და მელვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თელავის საცდელი სადგურის საკოლექციო ნაკვეთში.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა ყ ლ ო რ ტ ი. ახალგაზრდა ყლორტის წვერო, ანუ გვირგვინი (15-20 სმ) შებუსულია სუსტი აბლაბუდით, მომწვანო-მონაცრისფრო იერითა და ირგვლივ წითელ-ლუინისფერი აღშიით.

პირველი იარუსის ფოთლები ორივე მხრიდან შებუსულია სუსტი აბლაბუდით, მოყვითალოა და გადაჰქრავს წითელ-ლვინისფერი, მეორე იარუსზე შებუსვა ქრება, მხოლოდ ძარღვების გასწვრივ კვლავ აქვს მწვანე-მოყვითალო, მოწითალო იერი. ქვედა მხარე უფრო ინტენსიურადაა შებუსული, მომდევნო ფოთლები ზედა მხრიდან შეუბუსავია, ხოლო ქვემოდან შებუსულია აბლაბუდით და ჯაგარიც აქვს. ღერო დაფარულია სუსტი აბლაბუდისებრი ბეწვებით, მზის მხარეზე წითელ-ლვინისფერი შეფერვით.

ერთწლიანი რქა ღია ყავისფრად, ხოლო მუხლები უფრო ინტენსიურადაა შეფერილი.

ფ ო თ ო ლ ი. ზრდადადმთავრებული ფოთოლი საშუალო ზომისაა, სიგრძე 16, სიგანე 15 სმ, მომრგვალო, სამი ან ხუთ-

ნაკვთიანი, ფოთლის ზედაპირი წვრილბუშტოვანი სებრ დანაოჭებულია.

ყუნწის ამონაკვთი ღია ან დახურულია.

მთავარი ნაკვთები ბოლოვდება სამკუთხედისებრი ცალ მხარეზე ამობურცული წაწვეტებული კბილებით. გვერდითი კბილები ხერხისებრია.

ფოთლის ქვედა მხარე ძარღვების გასწვრივ შებუსულია. ფოთლის ყუნწი მთავარი ძარღვის ტოლი ან ოდნავ მოკლეა.

ყვავილი ორსქესიანია, მტვრიანა ხუთი ან ოთხი, იშვიათად ექვსი აქვს. მტვრიანათა ძაფის სიგრძის შეფარდება ბურჯოს სიმაღლესთან 1-1,25, ნაკვე კონუსისებრი, სვეტი სუსტად განვითარებული, დინგი დისკოსებრი ფორმისაა.

მტევანი საშუალო ზომისაა, სიგრძე 14-15, სიგანე 8-9 სმ. ცილინდრულ-კონუსისებრი ფორმის, გვხვდება მხრიანაც, საშუალო სიმკვრივის, მტევნის ყუნწი 3 სმ სიგრძის. მიმაგრების ადგილს ყუნწი ღია ყავისფერია.

მარცვალი საშუალო ზომისაა, სიგრძე 16, სიგანე 15 მმ. მრგვალი ან მომრგვალოა, მწვანე-მოყვითალო ფერის — დაწინწელული შავი წერტილებით; მზის მხარეზე სრულ სიმწიფეში ვარდისფერია. ყუნწი ბალახისებრია, საჭდომი ბალიში განიერ კონუსისებრი ფორმის, კანი თხელი, საშუალო სიმკვრივის, საქმაოდ წვნიანი, სასიამოვნო მუსკატური არომატით, მარცვალში 2-4-მდე წიპტაა.

წიპტა წვრილია, სიგრძე 4, სიგანე 3 მმ. ყავისფერი, მონაცრისფრო იერით, ქალაძა მოთავსებულია წიპტის ზემო ნაწილში, ჩაჭყლეტილია ან გაბრტყელებული, ღარები კარგადაა გამოხატული, ნისკარტი ცილინდრულ-კონუსისებრია.

სავაეგეტაციო პერიოდი პერიოდი და და დ. დაკვირვებები წარმოებდა მებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თელავის საცდელი საღვურის საკოლექციო კვენახში.

საეეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა კვირტის გაშლიდან სრულ სიმწიფემდე შეადგენს 127 დღეს 2595,7° აქტიური ტემპერატურის ჯამით. აქვე მოგვყავს ჩვენი დაკვირვებების მონაცემები (იხ. ცხრილი 4).



უკინონების ფაზების მხვდლები

გროვნები

დაკვირვების წლები	კვირტის გამოსის დასაწყისი	ყვავილობის დასაწყისი	სიმშიცის დასაწყისი	სრული სიმშიცე	ძელი ტემპერა- ტურათა ჯამი	მომზადების დღების რიცხვი
1955	22/IV	2/VI	15 VII	18 VIII	2861,2	119
1956	24/IV	9/VI	23/VII	20/VIII	2658,8	119
1957	15/IV	10/VI	18/VIII	22/VIII	251,2	133
1959	11/IV	15/VI	18/VII	20/VIII	2462,3	145
1960	6/IV	2/VI	10/VII	7/VIII	2370,0	124
საშუალო	15/IV	3/VI	17/VII	17/VIII	2595,7	127

ზრდის სიძლიერე. თელავის პირობებში საბას მარგალიტი ხასიათდება საშუალო ზრდა-განვითარებით.

მოსავლიანობაში შედის დარგად დან მესამე წელს, სრულ მოსავლიანობაში — მეოთხე-მეხუთე წელს. ხასიათდება საშუალო მოსავლიანობით. მსხმოიარობის კოეფიციენტი მერყეობს 0,72-1-მდე, მტევნის საშუალო წონა 130-დან 170 გრამამდეა. ძირის მოსავალი 1000-დან 2500 გრამამდე, რაც ჰექტარზე გადაანგარიშებით 49-83 ცენტნერია. მისი ნაყოფიანობა უდრის 92, მტევნის საშუალო რიცხვი ერთ რქაზე 0,64, მტევნების რაოდენობა ერთ მსხმოიარე რქაზე 1,08, მტევნის საშუალო წონა 129 გრამია, ერთი რქის ნაყოფიანობა 134 გრამი.

ყვავილცვენა და წვრილშარცვლიანობა ახასიათებს. თელავის საცდელი სადგურის პირობებში მცირე ყვავილცვენა ახასიათებს.

მგრძნობიარეა ჭრაქისაღმი. უფრო კარგად უძლებს ნაცარს. წვიმიან ამინდებში მარცვალი სკდება და ლპება.

სამეურნეო-ტექნიკოლოგიური დახასიათება. საბას მარგალიტი მექანიური შედგენილობით მიეკუთვნება. ადგილობრივი მოხმარების სასუფრე ყურძნის ჭიშებს. მრავალწლიური მონაცემებით, მტევნის საშუალო წონა 133 გრამია, მარცვლების საშუალო რაოდენობა მტევანში 71, კლერტი 2,53, კანი 7,4, წვენი და ჩბილობი 87,60, წიპტა—3,10, 100 მარცვლის წონა 210 გ. 100 წიპტის წონა 3,10, მარცვლის მექა-

ნიური თვისებების მიხედვით წინააღმდეგობა გაჭყლების მართ 390-დან 840 გრამს შორის მერყეობს, ხოლო მოწყვეტილი გამართ — 150-დან 450-მდე.

საბას მარგალიტს შაქრის დაგროვების კარგი უნარი აქვს. მისი შაქრიანობა საშუალოდ 16-20 პროცენტამდე მერყეობს, რაც დამაქმაყოფილებელია სასუფრე ყურძნის ჯიშისათვის.

კიშის საერთო შეფასება. საბას მარგალიტი ნაკლებად გავრცელებული მეტად სააღრეო სასუფრე ჯიშია. ხასიათდება მტევნებისა და მარცვლების ლამაზი აგებულებით. სასიამოენო სუსტი მუსკატური გემოთი, ასევე სასიამოენო სიმეავით. გამოიყენება ადგილობრივი მოხმარებისათვის, სელექციური თვალსაზრისით — ახალი ჯიშების მისაღებად. მისი უარყოფითი თვისებებია: ჭრაქისადმი სუსტი გამძლეობა, წვიმიან ამინ-დებში მარცვლის დასკდომა და დაბალი ტრანსპორტაჟელობა.

მიზანშეწონილია მისი გავრცელება მევენახეობის შემდეგ რაიონებში: ყვარლის ქვეზონის შემაღლებულ, ნაფარეულის ქვეზონის დაბლობ, გურჯაან-მუკუზნის ქვეზონის დაბლობ ადგილებში.

გარე კახეთში კაჭრეთ-კაკაბეთის შემაღლებულ ადგილებში.


## ხალილი თეთრი

ხალილი თეთრი მეტად სააღრეო სიმწიფის სტანდარტული სასუფრე ყურძნის ჯიშია.

სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია შემდეგი სახელწოდებით: საქართველოში — ხალილი თეთრი, ზინოშვილისეული, აღრეულა; ორჯონიქიძის მხარეში — ილინსკი; დალესტანში — იაი იზიუმ; სომხეთში — ნოვრასტი თეთრი; ნახიჩევანში — ხალილი თეთრი; ასტრახანში — ცარსკი; თურქმენეთში — აკ-ხალილი. „აკ“ თურქმენულ ენაზე ნიშნავს თეთრს, თვით სიტყვა ხალილი აკადემიკოს ივ. ჭავახიშვილის ცნობით, არაბული წარმოშობისაა და ნიშნავს გულითად მეგობარს. იხმარება საკუთარ სახელადაც.

საქართველოში ნაკლებადაა გავრცელებული, კერძოდ თბილისის გარეუბნებში, გურჯაანის რაიონში, მუკუზნის აგროუბანში, ჩუმლაყში, სამეცნიერო-კალევითი ინსტიტუტების

საკოლექციო ნაკვეთებში, აზერბაიჯანში, დალესტანში, თურქე-  
ნეთში, სომხეთში და სხვ.



ხალილი თეთრი.

### ბოტანიკური აღწერა

მოზარდი ყლორტის (15—20 სმ) წვერო, ანუ გვირგვინი, აგრეთვე გაუშლელი ფოთოლაკები შებუსულია თხელი აბლა-  
ბუდით. პირველი და მეორე იარუსის ფოთლები შეუბუსა-

ვია, პრიალაა და ლია მწვანე, დანარჩენი მომდევნო ფოთლები მწვანეა და შეუბუსავი.

ერთწლიანი რქა. ხალილი თეთრის ერთწლიანი რქები შემოღვომის ბოლოს მოყვითალოა, მუხლები უფრო ინტენსიურადაა შეფერილი.

ფოთოლი. ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო ზომისაა, სიგრძე — 15—17 სმ, სიგანე — 14—16 სმ. ფოთლის ფირფიტა მომრგვალოა, ხუთნაკვთიანი, იშვიათად სამნაკვთიანიც. ფოთლის ფირფიტის ნაკვთის ბოლოები წამოწეულია, რის გამოც ძაბრისებრი მოყვანილობა აქვს. ფოთლის ზედაპირი ჩევეულებრივ სწორი ან ოდნავ დანაოჭებულია და ლია მწვანეა.

ყუნწის ამონაკვთის ფუძის ფორმა ბუნებრივ პირობებში დახურულია, გასწორების შემდეგ კი ლია ჩანგისებრია, მახვილფუძიანი და შევიწროებული ან განიერყელიანია.

ზედა ამონაკვთები საშუალო სილრმისაა, იშვიათად ზეზეური ან მეტად ღრმაა, ლიაა, მომრგვალო ან კვერცხისებრი, იშვიათად ჩანგისებრი, შევიწროებული ყელითა და მახვილი მომრგვალო ფუძით.

ქვედა ამონაკვთები სუსტადაა გამოსახული, ჩევეულებრივ ზეზეურია, იშვიათად საშუალო სილრმისა, ლია ჩანგისებრი, ხშირად პარალელურ გვერდებიანი და მახვილფუძიანია.

ფოთლის მთავარი ნაკვთები ბოლოვდება წაგრძელებული სამკუთხედისებრი კბილებით. გვერდით კბილები კი ხერხისებრია.

ფოთლის ქვედა მხარეზე სუსტი ჯაგრისებრი შებუსვა აქვს. ფოთლის ყუნწი მთავარი ძარღვის ტოლი ან ოდნავ გრძელია.

კვავილი. ყვავილი ორსქესიანია. მტვრიანა სწორმდგომი და ხუთია, გვხვდება ექვსი, იშვიათად შვიდიც. მტვრიანათა ძაფის სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან უდრის 1,0—1,25. ბუტკო ვიწრო კონუსისებრი ფორმისაა.

მტევანი საშუალო ზომისაა; სიგრძე 15—17, ხოლო სიგანე 10—14 სანტიმეტრია. კონუსისებრი ან ცილინდრულ-კონუსისებრი, საშუალო სიმკვრივის, ძლიერ იშვიათად გვხვდება მეჩხერი მტევნებიც.

მარცვალი საშუალოზე დიდია. მისი სრულმატური მბს 16—18, სიგანე 12—14 მილიმეტრამდე, ოვალური ფორმის, ხშირად ასიმეტრიულია, შუაში ოდნავ ჩამონჯებული მიზანო-მოყვითალო ქარვისფერია, სრულ სიმწიფეში — ყველი-ქარვისფერი.

მარცვლის კანი თხელი, გამჭვირვალე და მაგარია, მარცვალი წენიანი აქვს, ოდნავ მკვრივი რბილობი და სასიამოენ გემო.

წიპწა წვრილია — 5—6 მმ, მომრგვალო ან ოვალურია დღია წაბლისფერი — მოყვითალო ელფერით. ქალაძა მომრგვალებულია და წიპწის ზედა ნაწილში მოთავსებულია. შუაში ჩაზნექილია.

### აგრობიოლოგიური დახასიათება

დაკვეირვებანი სავეგეტაციო პერიოდსა და მის ცალკეულ ფაზებზე წარმოებდა მებალეობის, მევენახეობისა და მეღვანეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თელავის საცდელი სადგურის საკოლექციო ნაკვეთში.

მოგვყავს ხალილი თეთრის სავეგეტაციო პერიოდი და მისი ცალკეული ფაზები.

ცხრილი:

### ფენოლოგიური ფაზების მსვლელობა

საკვეირვებელის წლები	კვირის გასწყვის დღესასწაული	კვერცხის გასასწაული	სიმწიფესის გასასწაული	სრული სისწაული	დღეთი რიცხვი	მსვლელობის კლიმატური კუნძული
1955	12/IV	5/IV	10/VII	15/VIII	127	2462,9
1956	23/IV	4/VI	27/VII	27/VIII	127	2500,7
1957	17/IV	3/VI	10/VII	15/VIII	121	2339,8
1959	15/IV	12/VI	18/VII	16/VIII	124	2317,1
1960	23/IV	16/VI	18/VII	18,VIII	118	2380,3
საშუალო	18/IV	8/VI	16/VII	18/VIII	123	2410,1

როგორც ცხრილიდან ჩანს, ხალილი თეთრი კვირტის გაშალას იწყებს აპრილის მეორე ნახევრიდან, ხოლო ტიქნიკური სიმწიფეს — საშუალოდ 18 აგვისტოდან, საჭიროებული დღეს 2410,1 აქტიურ ტემპერატურათა ჯამით.

ხალილი თეთრის ერთწლიანი რქები სრული სიმწიფის დადგომისას მომწიფებულია 80 პროცენტამდე.

ზრდის სიძლიერე ცვალებადია პავისა და ნიადაგის პირობების მიხედვით. ჩვენთან ხასიათდება საშუალოზე მაღალი ზრდა-განვითარებით, თავის სამშობლოში კი ძლიერი ზრდისაა.

მოსავლიანობა. თელავის საცდელი სადგურის პირობებში დარგვიდან მეორე-მესამე წელს იძლევა მოსავლის პირველ ნიშნებს, მეოთხე-მეხუთე წლიდან სრულ მოსავლიანობაში შედის. ჩვენს პირობებში საშუალო მოსავლის მომცემი ჯიშია, ხოლო თურქმენეთში მაღალმოსავლიანია. ერთი ძირის მოსავალი 6—8 კილოგრამია, სომხეთში, აზერბაიჯანსა და დაღვისტანში კი 4—5 კილოგრამი.

ხალილი თეთრის ნაყოფიერება მრავალწლიური დაკვირვებების მიხედვით უდრის 65,5, მტევნების რაოდენობა ერთ მოსავლიან რქაზე — 1,26, ერთ რქაზე — 0,87, მტევნის საშუალო წონა 160 გრამია. ერთი რქის ნაყოფიერება — 202.

შედარებისათვის მოგვყავს ე. ივანოვას მრავალწლიური მონაცემები. ნაყოფიერი ყლორტები 89,5 პროცენტია, მტევნების რიცხვი ერთ ნაყოფიან რქაზე — 1,30, მტევნების საშუალო რაოდენობა ერთ რქაზე — 1,16, მტევნის საშუალო წონა 166 გრამია. ერთი რქის ნაყოფიერება 205 გრამია.

ყვავილ ცვენა და წვრილმარცვლიანობა. ჩვენს პირობებში ხალილი თეთრი ხასიათდება საშუალო ყვავილცვენით.

სოკოვან ავადშუოფობათა მიმართ გამძლეობა. ხალილი თეთრი სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ საქმიანო გამძლეა, თელავის პირობებში ნაცარს შედარებით უკეთ უძლებს, ჭრაქის მიმართ უფრო მგრძნობიარეა.

სამეურნეო ოტექნიკოლოგიური დაზარათა  
ბ. მტევნებისა და მარცვლების გარეგნული მუშაობის  
მისი მექანიკური შედგენილობა და წვნის ქიმიური თვისებე-  
ბი მიგვითითებს სასუფრე ყურძნის ჯიშის ერთ-ერთ ნიმუშს.

მოგვყავს მისი მექანიკური ანალიზის ხუთი წლის საშუა-  
ლო, მტევნის საშუალო წონა 204 გრამია. მარცვლების საშუ-  
ალო რაოდენობა მტევანში — 78; კლერტი — 1,79, კანი —  
6,84, წევნი და რბილობი — 89,00, წიპტა, — 1,82, 100 მარც-  
ვლის წონა 234 გრამია, ხოლო 100 წიპტისა — 2,2.

მარცვლის მექანიკური თვისებები. მარ-  
ცვლის მიმაგრებას ნაყოფსაჭდომზე დიდი მნიშვნელობა აქვ-  
თ გადაზიდვის საქმეში, ეს დამოკიდებულია კანის სისქეზე, მარც-  
ვლის მიმაგრების ნაყოფსადარაჯოზე, მარცვლის სიღიდუ-  
ფორმაზე, რბილობის კონსისტენციაზე და მის ანატომიურ  
აგებულებაზე, ჩვენი დაკვირვებებით ხალილი თეთრი ხასია-  
დება დაბალი ტრანსპორტაბელობით, რაც მიგვითითებს მის  
ადგილობრივ მოხმარებაზე. მისი მარცვლის წინააღმდეგობა  
მოწყვეტაზე 147 გრამია, გაჭყლეტაზე — 448 გრამი, მაშინ  
როცა ქართული სააღრეოს წინააღმდეგობა მოწყვეტაზე 180  
გრამია, ხოლო გაჭყლეტაზე — 600 გრამი; კარალევა ვინოგ-  
რადნიკოვის წინააღმდეგობა მოწყვეტაზე 190 გრამია, გაჭ-  
ლეტაზე — 825 გრამი, შასლა თეთრის მოწყვეტაზე — 203 გ  
გაჭყლეტაზე 818 გრამი.

წვნის ქიმიური შედგენილობა. ხალილი  
თეთრის წვნის ქიმიური შედგენილობა წლების მიხედვით ცვა-  
ლებადობს. ჯიში ხასიათდება დაბალი შაქრიანობით. მის  
შაქრიანობა საშუალოდ 14—16 პროცენტამდე მერყეობს 3—  
4 პროცენტების მეავიანობის დროს.

### ჯიშის საერთო შეფასება

ხალილი თეთრი მეტად სააღრეო სტანდარტული სასუფ-  
რე ჯიშია. იძლევა მაღალი ლირსების სასუფრე ყურძნებს.

ხასიათდება საშუალო სიღიდის, ლამაზი აგებულება

# მტევნებითა და ქარვისფერი ოვალური ფორმის მარცვლები

ჯიშის დადებითი თვისებებია: გვალვისა და ყინვეჭისა უკუკია  
მათდ კარგი გამძლეობა, ამავე დროს სხვა ჯიშებთან შედა-  
რებით ნაცარსაც კარგად უძლებს.

უარყოფითი თვისებებია: ჭრაქისაღმი მგრძნობიარება და  
ტრანსპორტის სუსტი ამტანობა, მაგრამ ეს ნაკლი თანამედ-  
როვე პირობებში ტრანსპორტის გაუმჯობესებისა და საავია-  
ციო მიმოსვლის გაფართოებასთან დაკავშირებით თავიდანაა  
აცილებული.

როგორც მეტად საადრეო ჯიში, საინტერესოა სელექციუ-  
რი თვალსაზრისითაც. რეკომენდებულია მისი გავრცელება კა-  
ხეთის მევენახეობის რაონებში: ახალსოფელ-ლაგოდეხის  
ქვეზონის შემაღლებულ ადგილებში; ყვარლის ქვეზონის  
დაბლობ, შემაღლებულ და ფერდობ ადგილებზე; ნაფარეუ-  
ლის ქვეზონის დაბლობ ადგილებში; თელავ-ახმეტის ქვეზო-  
ნის დაბლობ და ფერდობ ადგილებში.

## კარალევა ვინოგრაზიკოვ

კარალევა ვინოგრადნიკოვ მცირედაა გავრცელებული,  
საადრეო სიმწიფის პერიოდის მუსკატური გემოს მსხვილ-  
მარცვლიანი სასუფრე ყურძნის ჯიშია.

სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია სხვადასხვა სა-  
ხელწოდებით: უკრაინაში — კარალევა ვინიცა; ბულგარეთში —  
იზმაილის ოლქში საადრეო კარაბურნუ, ქარვისფერი; უნ-  
გრეთში — ბელუსკერტეკ კარალინიო და სხვ.

გამოყვანილია სელექციონერ მატიაშ იანოშის მიერ კა-  
რალევა ელიზავეტის საბას მარგალიტთან შეჯვარებით.

საქართველოში გავრცელებულია მცირე რაოდენობით  
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საკოლეჯებით ნაკვე-  
თებში; იმიერ კარპატის, იზმაილის, მოლდავეთის, უკრაინის,  
ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთისა და ავსტრიის მე-  
ცენახეობის რაიონებში. შეტანილია სტანდარტულ ასორტი-  
მენტში უკრაინასა და მოლდავეთის რესპუბლიკებში.



კარალევა კინოგრაფიული

### ბოტანიკური აღწერა

ბოტანიკური აღწერა ჩატარებულია მებალეობის, მევენანეობისა და მელვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერების სადგურის საკოლეჯით ნაკვეთში.

ახალგაზრდა ყლორტის (15—20 სმ) წვერო, ანუ გვირგვინი შებუსულია ძლიერ თხელი აბლაბულით და მწვანე-მოყვითალოა, შემდეგ მომდევნო ფოთლებზე შებუსვა ქრება და იღებს ბზვინგარებას. *ახ.*

ლერო მწვანეა და შეუბუსავი.

ერთწლიანი რქები. შემოდგომის დასასრული-

სათეის შეფერილია მუქ ყავისფრად, მუხლებში უფრო გა-  
რემისიურად და დაფარულია სუსტი სანთლისებრი ფიფქებზე რეული  
ფოთოლი. ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო სამუშავებრივები  
ზომისაა, სიგრძე 16, სიგანე 17 სმ, ფოთლის ფირფიტა მომრ-  
გვალოა, ხუთნაკვთიანი, ზედაპირი სწორი ან ოდნავ ამოზ-  
ნექილია და მუქი მწვანე.

ყუნწის ამონაკვთი ღიაა, თაღისებრი და ღრმა.

ზედა ამონაკვთები საშუალო სიღრმისაა, ღია ან ღახუ-  
რულია. ღია გარდამავალი კუთხის ფორმისაა; ღახურულს  
ეფერო ელიფსისებრი ხერელი აქვს.

ქვედა ამონაკვთები ჩვეულებრივ უფრო პატარაა, ხში-  
რად ზეზეური და ნაპრალისებრი ფორმა აქვს. ფოთლის მთა-  
ვარი ნაკვთები ბოლოვდება სამკუთხედისებრი წამახვილებუ-  
ლი ქბილებით, გვერდითი ქბილები ხერხისებრია.

ფოთლის ქვედა მხარე დაფარულია ჭაგრისებრი ბუსუსით.

ყუნწი მთავარ ძარღვშე გრძელია, რქასთან მიმაგრების  
ადგილს გახევებულია და მწვანეა.

კვავილი ორ სქესიანია, მტვრიანები სწორმდ-  
გომი, ხუთი ან ექვსია. მტვრიანათა ძაფის სიგრძის შეფარდე-  
ბა ბუტკოს სიმაღლესთან 1,5—2-მდეა. ბუტკო მომრგვა-  
ლოა.

მტევანი საშუალო და საშუალოშე დიდია. სიგრძე 17,  
სიგანე 10 სმ. ცილინდრულ-კონუსისებრი ან კონუსისებრი  
ფორმის, საშუალო სიმკვრივის, მტევნის ყუნწი ბალახისებ-  
რია.

მარცვალი მსხვილია —  $23 \times 13$  მმ, ოვალური ფორ-  
მისა და ქარვისფერია. კანი მკვიდრია და აღვილად შორდება  
რბილობს; კანი დაფარულია საშუალო სისქის სანთლისებრი  
ფიფქით. რბილობი მკვრივია და კნატუნა. საკმაოდ წვინიანი,  
სასიამოვნო სუსტი მუსკატისებრი არომატით. წიპწები მარ-  
ცვალში 1—2-მდეა.

წიპწება საშუალო ზომისაა, სიგრძე 5, სიგანე 3 მმ, ნის-  
კარტი ცილინდრული ან გაბრტყელებულია, მოყვითალო,  
ქალაძა ოვალური და ოდნავ ჩაშულებტილია.

აგრობიოლოგიური დახასიათება

სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა ცალკეულია წლის მეტეოროლოგიური პირობების შესაბამისად აშენებულ 126—137 დღემდე, 2589,5° აქტიურ ტემპერატურათა გამო შესაბამისად იცვლება ფენოლოგიური ფაზებიც.

ცხრილი

ცენოლოგიური ფაზების მხვდლობა

სავეგეტაციო წლები	კვირის დასაწყისი	ცენოლოგიური დასაწყისი	სეზონის დასაწყისი	საულის ინდიკატორი	დღეთის რიცხვი	ცენტრულ ტემპერატურულ ავაზი
1955	15 IV	5 VI	8 VII	29 VIII	137	2578,9
1956	22 IV	13 VI	5 VII	5 IX	137	2649,1
1957	16 IV	23 VI	17 VII	22 VIII	129	2651,5
1959	24 IV	2 VI	25 VII	27 VIII	125	2491,5
1960	20 IV	10 VI	27 VII	28 VIII	132	2589,5
საშუალო	19 IV	10 VI	27,VII	29 VIII	132	2589,5

როგორც მოტანილი ცხრილიდან ჩანს, კვირტის გაშლა იგი საშუალოდ იწყებს 19 აპრილიდან და სრულ სიმწიფეში შედის აგვისტოს მესამე დეკადაში.

ოდესის მეცნიერება-მედვინეობის ინსტიტუტის მონაცემების მიხედვით იგი შასლაზე რამდენიმე დღით ადრე მწიფდება. მაგალითად: კარალევა ვინოგრადნიკოვ კვირტის გშლას იწყებს 21/IV, შასლა თეთრი 24/IV, ხოლო ტექნიკურ სიმწიფეს 29/VIII.

რეის სიმწიფის ხარისხი თელავის პირობებში ამ ჭიშის ერთწლიანი რეჟები ყურძნის სრულ სიმწიფეში თავისუფლად ასწრებს მომწიფებას (85 პროცენტი). ვ. კამაროვას მონაცემებით, უკრაინის პირობებში 80 პროცენტთაა მომწიფებული.

ზრდის სიძლიერე. კარალევა ვინოგრადნიკოვ ხასიათდება საკმაოდ ძლიერი ზრდა-განვითარებით, მისი ერთ-

წლიანი რქები თელავის პირობებში აღწევს ორი მეტრი სიგრძის ნაზარდს.

მოსაკლევა ვინოგრადნიკოვის გრძელება ვინოგრადნიკოვის პირობებში დარგვიდან მეორე-მესამე წელს იძლევა მოსავლის პირველ ნიშნებს. სრულ მოსავლიანობაში შედის მეოთხე-მეხუთე წლიდან. ჯიში ხასიათდება მაღალი მოსავლიანობით. ძირის მოსავალი 2170-დან 3500 გრამამდე მერყეობს, რაც ჰექტარზე გადაანგარიშებით 72,33—116,65 კენტერია. მტევნის საშუალო წონა 190 გრამამდეა. კარგად განვითარებული მტევნები 290 გრამს აღწევს. მსხმოიარობის კოეფიციენტი მერყეობს 0,65—1,7-მდე. იმიერკარპატის ოლქში იძლევა 7—10 ტონას, მოლდავეთში — 5—7 ტონას, უკრაინის პირობებში მსხმოიარობის კოეფიციენტი უდრის 1,4, მტევნის საშუალო წონა 160—170 გრამია. თელავის საცდელი სადგურის პირობებში ნაყოფიანი რქები 89 პროცენტია, მტევნების რაოდენობა ერთ ნაყოფიან რქაზე — 1,45, მტევნების საშუალო რაოდენობა ერთ რქაზე — 0,92, მტევნის საშუალო წონა 217 გრამია. ერთი რქის ნაყოფიერება 274 გრამია.

კარალევა ვინოგრადნიკოვ ნამხრევებზე მეორე მოსავალს იძლევა, რომელიც რქაწითელთან ერთად მჭიდრება. რქაწითლისა და საფერავის ჯიშებთან სრული სიმჭიდვის დროს მისი შაქრიანობა 17,93, პროცენტს უდრიდა 6,5 პრომილე მევიანობის დროს. ბულგარეთის, იზმაილისა და იმიერკარპატის ოლქებში ნამხარზე იძლევა მთლიანი მოსავლის 30 პროცენტს.

უვავილცვენი და წვრილმარცვლიანობა თელავის საცდელი სადგურის პირობებში ახასიათებს მცირე ყვავილცვენა.

სოკოვან ავადმყოფობათა და მავნებლების მიმართ სხვა ჯიშები შედარებით სუსტ გამძლეობას იჩენს. წვიმიან წლებში მარცვალი ლპება.

### სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება

მტევნის გარეგნული შეხედულებით, მარცვლის მექანიკური მაჩვენებლებისა და წვნის ქიმიური შედგენილობის მიხედვით კარალევა ვინოგრადნიკოვ მიეკუთვნება ტიპურ სა-

სუფრე ყურძნის ჭიშებს. მრავალწლიური მონაცემების მთხელვით, მტევნის საშუალო წონა 260 გრამს აღმოჩეულია ლების საშუალო რაოდენობა მტევანში 79, კლეიტონში წონა 2,44, კანი 7,28, წიპტა 2,2, წვენი და რბილობი 84,50, 100 მარცვლის წონა 439 გრამია, 100 წიპტის წონა 4,0 გრამი.

მარცვლის მექანიკური თვისე ბეჭი. კარალევა ვინოგრადნიქოვ თელავის პირობებში ხასიათდება საშუალო ტრანსპორტაბელობით, მარცვლის წინააღმდეგობის გატყულეტის მიმართ საშუალოდ 825 გრამია, ხოლო მოწვეტის მიმართ 190 გრამი.

ყურძნის წვნის ქიმიური შედგენილობა. ჯიში ხასიათდება საკმაო შაქრის დაგროვების უნარით. ცალკეული მეტეოროლოგიური პირობების შესაბამისად იყვლება მისი შაქრიანობა და მეავიანობა. თელავის პირობებში პირველი მათგანი საშუალოდ 17 პროცენტია, ხოლო მეორე 4,1 პრომილე.

### ჭიშის ხაერთო შეფასება და დარაიონება

კარალევა ვინოგრადნიქოვ საადრეო პერიოდის მაღალხარისხოვანი სასუფრე ყურძნის ჭიშია. ხასიათდება ლამაზიავებულების მსხვილი ქარვისფერი მარცვლებითა და სუსტი მუსკატური არომატით.

იძლევა მეორე მოსავალს. ჯიში მეტად საინტერესოა, ბოლოგიურ თავისებურებათა გამო საჭიროა ფართოდ დანერგოს კახეთის მევენახეობის შემდეგ რაიონებში:

ახალსოფელ-ლაგოდეხის შემაღლებულ, შრომა-წინანდლის დაბლობ, თელავ-ახმეტის დაბლობ და გარე კახეთის კაჭრეთ კაკაბეთის დაბლობ აღგილებში.

### შასლა თათრი

ფართოდ ცნობილი მაღალხარისხოვანი სტანდარტული საღრეო სიმწიფის პერიოდის სასუფრე ჭიშია.

სინონიმები: უკრაინასა და ყირიმის ოლქებში — შასლა დორე, შასლა, შასლა სამკურნალო; ზაპოროევის ოლ-

ქვეში ბეროსკა; ზაფარპატის ღლქში — ღინკა თეთრი; მოლდო  
ეკეთში — შასლა ოქროსფერი, ბერიოზკა, შასლა აურულუსკა;  
შასლა დე აურ; საფრანგეთში — შასლა ღორე, შასლა დანიელი



შასლა თეთრი.

ფონტუნბლო; გერმანიასა და ავსტრიაში — გუტედელ ჭრისკენ  
შეეიცარიაში — ფონდან თეთრი და სხვ.

გვხვდება ბევრ ვარიაციებში — ვარდისფერობის რშესტერ  
და სხვ., რომლებიც ბიოლოგიური და მორფოლოგიური ნიშ-  
ნებით მეტად ახლოს დგანან შასლასთან.

ა. ნეგრულის გამოკვლევით, შასლა თეთრის სამშობლ  
ეგვიპტეა, საიდანაც გავრცელდა მცირე აზიაში და სხვაგან.

ცნობილია ისიც, რომ ძველად თურქეთში ყოფილა კურ-  
ტივირებული (სტამბოლის რაიონში), რომელიც ჩაუშის აღ-  
მოჩენამდე საუკეთესო სუფრის ჯიშად ითვლებოდა.

მაღალი ღირსების გამო ეს ჯიში მეტად ფართოდ არის  
გავრცელებული საბჭოთა კავშირის მეცნიერების რაიონებში:  
უკრაინაში, მოლდავეთში, ყაზახეთში, ყირგიზეთსა და  
სხვა რესპუბლიკებში. განსაკუთრებით გავრცელებულია საფ-  
რანგეთში, უნგრეთში, ბელგიაში, ლუქსემბურგსა და ალ-  
ეირში. შეტანილია სტანდარტულ ასორტიმენტში საქართვე-  
ლოს, უკრაინის, როსტოვის, ყირგიზეთისა და მოლდავეთის  
რესპუბლიკებში.

### ბოტანიკური აღწერა

ჯიშის ბოტანიკური აღწერა შესრულებულია მებალეო-  
ბის, მეცნიერებისა და მელეინების სამეცნიერო-კვლევითი  
ინსტიტუტის თელავის საცდელი სადგურის საკოლექციო ნაკ-  
ვეთში.

ა ხალგაზრდა ყლორტი. ახალგაზრდა ნაზარდის  
(15—25 სმ) გვირგვინი და ჯერ კიდევ გაუშლელი ფოთოლეი  
შებუსულია საშუალო სისქის, მონაცრისფრო აბლაბუდისებ-  
რი ბეწვებით. პირველ და მეორე ფოთოლზე შებუსვა მცირ-  
დება, მოწითალოა და ბზინავს, მესამე და მეოთხე ფოთოლ-  
ზე მხოლოდ ძარღვების გასწერივ აქვს სუსტი აბლაბუდა, მო-  
ყვითალო ფერის მოწითალო იერით.

ლერო შეუბუსავი და მწვანეა.

ერთწლიანი ჩქა. შემოდგომის დასასრულისათვის  
ერთწლიანი ჩქები მოყავისფრო შეფერვას იღებს.

ფოთოლი. ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო

ზომისაა (16—15 სმ), მომრგვალო, ხუთნაკვთიანი. ფოთლის  
ზედაპირი დანაოჭებულია და ტალღისებრი.  
ყუნწის ამონაკვთები ღია და დახურულია. ღია გრძელებულია  
ტარისებრი ფორმისაა, დახურული — ვიწრო ელიფსისებრი  
ნასვრეტით.

ზედა ამონაკვთები საშუალო სიღრმის ან ღრმაა, გვხვდება ღია და დახურული. ღია ჩანგისებრი ფორმისაა, წამახვილებული ძირითა და პარალელური გვერდებით, დახურული — ვიწრო ელიფსისებრი ნასვრეტით.

ქვედა ამონაკვთები ღიაა, საშუალო სიღრმის, ძლიერ იშვიათად გვხვდება დახურული ფორმაც.

ღია ჩანგისებრია, მომრგვალებული ძირითა და პარალელური გვერდებით.

ფოთლის მთავარი ნაკვთები ბოლოვდება სამკუთხედისებრი მსხვილი ამობურცული ქბილებით. გვერდითი ქბილები ცალგვერდ გამობერილი ან გუმბათისებრი ფორმისაა.

ფოთლის ქვედა მხარეს ძარღვების გასწვრივ აქვს ჭავრისებრი ბუსუსი.

ფოთლის ყუნწი მთავარი ძარღვის ტოლია, ან მასზე გრძელი და მწვანე-მოწითალო იერი დაპკრავს.

ყვავილი თრსექსიანია, მტკრიანა ოთხი ან ხუთია. მტკრიანათა ძაფის სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან 1,0—1,25. ბუტკო კონუსისებრი ფორმისაა შუაზე გაყიფილი დინგით.

მტევანი. მტევანი საშუალო ზომისაა — სიგრძე 12—16 სმ, სიგანე 7—11 სმ. კონუსისებრი ან ცილინდრული კონუსისებრი ფორმის, იშვიათად მხრიანი, საშუალო სიმკვრივის, იშვიათად თხელი შენების, გვხვდება მკვრივი შენებისაც. მტევანის ყუნწი 3—4 სმ სიგრძისაა, ბალახისებრი, რქასთან. მიმაგრების ადგილას გახევებულია.

მარცვალი. მარცვალი საშუალო ან საშუალოზე დიდია (15—17 მმ), მრგვალი, მზის მხარეზე ოქროს ფერს იღებს და უჩნდება ყავისფერი ლაქები, ვაზზე დიდხანს გაჩერებით მტევანი ყოველი მხრიდან იღებს ოქროს ფერს. კანი თხელია და მკვრივი. რბილობი კნატუნა, გეო სასიამოვნო, შაქრიანო-

ბა და მუავიანობა ჰარმონიულად შეხამებული, გრაფიკულ/ში  
2—3-მდე წიპწა.

წიპწა საშუალო ზომისაა, სიგრძე 5—6, სტრუქტურული  
მმ, მომრგვალო ან ოვალური ფორმის; ყავისფერი, ქალად  
მომრგვალებული, ამობურცული ფორმის, ნისკარტი ცილინდ-  
რული.

### აგრობიოლოგიური დანასიათება

დაკვირვებანი სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკე-  
ული ფაზების მსვლელობაზე წარმოებდა მებალეობის, მევე-  
ნახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტი-  
ტუტის თელავის საცდელი საღგურის. საკოლექციო ნაკ-  
ვეთში.

თელავის პირობებში კვირტის გაშლას იწყებს საშუალოდ  
24 აპრილს, ყვავილობას — 2 ივნისს, სიმწიფეს — 10 ივ-  
ლისს, ხოლო ტექნიკურ სიმწიფეს — 3 სექტემბერს. კვირ-  
ტის გაშლიდან სრულ სიმწიფემდე შეადგენს  $2755,9^{\circ}$  აქტი-  
ურ ტემპერატურათა ჯამს 134 სავეგეტაციო დღის ხანგ-  
რძლივობით (ცხრილი 7).

### ცხრილი 7

#### უენოლოგიური ფაზების მსვლელობა

დაკვირვების დაწლები	მკირზე დაწლების დაწლების	მკირზე დაწლების დაწლების	მკირზე დაწლების დაწლების	მკირზე დაწლების დაწლების	აგრესი ასეზონი	მკირზე ტემ- პერატურის საყვა- ჭილი დაწლების დაწლების
1955	22/IV	9/VI	10/VII	3/IX	135	2713,9
1956	27/IV	17/VI	21/VII	5/IX	147	2893,7
1957	19/IV	1/VI	30/VII	25/VIII	129	2683,7
1959	24/IV	2/VI	1/VII	5/IX	135	2939,8
1960	27/IV	14/VI	/VII	28/VIII	124	2488,5
საშუალო	24/IV	9/VI	10/VII	3/IX	134	2755,9

რქის მომწიფების ხარისხი. შასლა დეთანი  
ერთწლიანი რქები შემოღვომის დასასრულისათვის 89-92  
პროცენტამდე მომწიფებულია.

ზრდის სიძლიერე. თელავის პირობებში შასლა  
თეთრი ხასიათდება საშუალო ზრდა-განვითარებით.

მოსავლიანობა. შასლა თეთრი დარგვიდან მეორე-  
მესამე წელს იძლევა მოსავლის პირველ ნიშნებს. მეოთხე-  
მესუთე წლიდან კი სრულ მოსავლიანობაში შედის. ჯიში ხა-  
სიათდება რეგულარული მოსავლიანობით.

ძირის მოსავალი 2000-დან 3000 გრამამდე მერყეობს,  
მტევნის საშუალო წონა 130-დან 200 გრამამდე. ერთ მოსავ-  
ლიან რქაზე 1,5 მტევანია. მტევნების საშუალო რაოდენობა  
ერთ რქაზე 1,32, ერთი რქის ნაყოფიანობა 192 გრამია. ნა-  
ყოფიანი რქები 78,7 პროცენტია.

ყვავილი და წვრილმარცვლიანობა.  
შასლა თეთრი ხასიათდება მცირე ყვავილურებით.

სოკოვან ავადმყოფობათა და მავნებე-  
ლთა მიმართ გამძლეობა. თელავის პირობებში  
შასლა თეთრი ჭრაქის მიმართ მგრძნობიარეა. ნაცარს კარგად  
უძლებს, აბლაბუდიან ტკიპას საშუალოდ.

### აგროტექნიკის თავისებურებანი

შასლა თეთრი სანაყოფე ყლორტებს იყითარებს ბაზისთან  
ახლოს, რისთვისაც იგი მოკლედ უნდა გაისხლას.

კორდონისებრი ფორმა კარგ შედეგს იძლევა ორმხრივი  
ქართული წესით ფორმირებისა და კედლის კულტურის  
შპალერის დროს.

შასლა თეთრი სითბოსადმი მომთხოვნია, მშრალი ზაფხუ-  
ლის პირობებში დოოლების თავის დროზე შეცალით ივითა-  
რებს მეტად ლამაზი შეფერვის ოქროსფერ მარცვლებს.

### სამეურნეო-ტექნილოგიური დახასიათება

ყურძნის მექანიკური და წვნის ქიმიური შედგენილობის  
მიხედვით ტკიპური სასუფრე ყურძნის ჯიშია. მრავალწლიური

ანალიზების მიხედვით მისი მტევნის საშუალო წონა /160  
გრამია. მარცველების საშუალო რაოდენობა მტევნის წონა 79  
მტევნის შემადგენელი ნაწილებიდან: კლერტი 242,57, ეჭნი —  
6,42, წევნი და რბილობი — 88,08, წიპტა — 2,91, 100 მარ-  
ცვლის წონა 265 გრამია. 100 წიპტის წონა 3,4 გრამი.

მარცვლის მექანიკური თვის ებები. შას-  
ლა თეთრი ხასიათდება საშუალო ტრანსპორტაბელობით. ფე-  
ლავის პირობებში მისი მარცვლის წინააღმდეგობა მოწყვეტის  
მიმართ საშუალოდ 200 გრამია, ხოლო გატყულეტის მიმართ  
818 გრამი. შედარებისათვის მოგვყავს სხვადასხვა სამეცნიე-  
რო ინსტიტუტის დაკვირვების მონაცემები. მაგალითად, ოდე-  
სის ინსტიტუტის მონაცემებით შასლა თეთრის მარცვლის წი-  
ნააღმდეგობა მოწყვეტაზე 197, ხოლო გატყულეტვაზე 850 გრა-  
მია, იალტა „მაგარაჩი“ — წინააღმდეგობა მოწყვეტაზე 140  
გრამია, გატყულეტაზე — 756 გრამი. კრასნოდარის ინსტიტუ-  
ტის ცნობით წინააღმდეგობა მოწყვეტაზე 154 და გატყულეტა-  
ზე 695 გრამია და სხვ.

წვნის ქიმიური შედეგენილობა. შასლა თეთ-  
რი არ ხასიათდება შაქრის დაგროვების მაღალი უნარით, მაგ-  
რამ შაქრიანობა და მეავიანობა ისე პარმონიულადაა შეთანაწ-  
ყობილი, რომ მეავიანობა მკეთრად არ იგრძნობა, რაც სა-  
სურველია სუფრის ყურძნისათვის. საშუალოდ მისი შაქრია-  
ნობა 15,23 პროცენტია, ხოლო მეავიანობა 4,0 პრომილე.

### ჯიშის საერთო შეფასება

შასლა თეთრი მეტად გავრცელებული მაღალხარისხოვანი  
სტანდარტული საადრეო სიმწიფის სასუფრე ყურძნის ჯიშია,  
გავრცელებულია მევენახეობის ყველა რაიონში. ხასიათდება  
ლამაზი ავებულების საშუალო სიღიდის მტევნებით, მრგვალი  
ოქროსფერი მარცვლებითა და მაღალმოსავლიანობით.

ითვლება საუკეთესო სამკურნალო ყურძნის ჯიშად ვიტა-  
მინების დიდი რაოდენობით შემცველობის გამო.

ჭრაქით საქმაოდ ზიანდება, ნაცარს კარგად უძლებს, ჯი-  
ში მეტად საინტერესოა და მისი გავრცელება რეკომენდებუ-  
ლია მევენახეობის ყველა რაიონში. სახელდობრი: ახალსოფელ-

ლავოდების ქვეზონის დაბლობსა და ფერდობებზე; ყვარლის  
ქვეზონის — დაბლობსა და ფერდობებზე; ნაფარეულის ქვე-  
ზონის — ფერდობებზე; გურჯან-მუკუზანის ქვეზონის შემალლებულ  
ლობ და შემალლებულ ადგილებში; შრომა-წინანდლის ქვე-  
ზონის დაბლობ, ფერდობ და მაღლობ ადგილებში; თელავ-  
ახმეტის ქვეზონის შემალლებულ ადგილებზე და კაჭრეთ-  
კაჯაბეთის შემალლებულ ადგილებში.

## ჩაუბი

ჩაუში საადრეო სიმწიფის მსხეილმარცვლოვანი სასუფრე  
ყურძნის ჯიშია. წარმოშობით იგი თურქეთიდან არის, საი-  
დანაც შეტანილ იქნა ყირიმში, იქიდან კი გავრცელდა სამეც-  
ნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საკოლექციო ნაკვეთებში.  
მცირე რაოდენობით არის გავრცელებული მებაღეობის, მე-  
ვენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტი-  
ტუტის თელავის საცდელი სადგურის საკოლექციო ნაკვეთ-  
ში, შეტანილია კოლგოგრადისა და გროზნის ოლქებში, ყაბარ-  
დოს ავტონომიურ, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხა-  
რეში, ყირგიზეთში, მოლდავეთისა და უკრაინის სსრ-ში,  
ბულგარეთში, რუმინეთში, თურქეთში, საბერძნეთსა და  
ალჟირში.

## ბოტანიკური აღწერა

ბოტანიკური აღწერა შესრულებულია მებაღეობის, მევე-  
ნახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუ-  
ტის თელავის საცდელი სადგურის საკოლექციო ნაკვეთში.

ახალგაზრდა ყლორტის (15—20 სმ) წვერო მოთეთროა და  
შებუსულია სქელი აბლაბუდით. პირეველი და მეორე იარუსის  
ფოთლები შებუსულია ქეჩისებურად და მოთეთრო ფერისაა. მესამე და მეოთხე ფოთლის ზედა მხარეზე შებუსვა კლებუ-  
ლობს, ირგვლივ ვარდისფერი არშია აქვს შემოვლებული,  
მომდევნო ფოთლებზე თანდათან ქრება შებუსვა და იღებს  
ღია მწვანე ფერს, ბრინჯაოსფერი იერით.

ლერო მწვანეა და აბლაბუდისებრი ბეწვებითაა შებუსული.

ერთწლიანი რქა. ერთწლიანი რქები — შეფერხლო  
მუქ ყავისფრად — გრძელი მუხლოშორისებით, მუხლების ფრაზ  
რო ინტენსიურადა შეფერილი, სიგრძეზე ზოლებით წერტილებია.

ფოთოლი ძალიან მსხვილია, სიგრძე 28, სიგანე 29 ს.  
მრგვალია, ხუთნაკვთიანი, ღრმად დანაკვთული, ფოთლის ფიზ  
ფიტა ტალღისებრია, დანაოჭებული ან მსხვილბუშტოვანია.

ყუნწის ამონაკვთი დახურულია ან ლია ლირისებრი ფორ  
მისაა.

ზედა ამონაკვთები ძლიერ ღრმაა, დახურულია და  
ბრტყელფუძიანი.

ქვედა ამონაკვთები უფრო ნაკლები სილრმისაა, დახურუ  
ლი ან ლია, ლირისებრი ფორმის და პარალელურგერდებიანი.  
მთავარი ნაკვთები ბოლოვდება მსხვილი სამკუთხედისებრი  
წაწვეტებული ან მომრგვალებული წვეროებით.

გვერდითი კბილები მსხვილია, სამკუთხედისებრი ან ხერ  
ხისებრი ვიწრო წაწვეტებული წვეროებით.

ფოთლის ქვედა მხარე დაფარულია სქელი თექისებრი ბუ  
სუსით.

ფოთლის ყუნწი მთავარ ძარღვზე მოკლეა და შეფერილია  
წითელ-ღვინისფრად.

ყვავილი ფუნქციონალურად მდედრობითი აქვს. მტვრიანია  
ხუთია, მტვრიანათა ძაფის სიგრძის შეფარდება ბუტკოს სი-  
მაღლესთან უდრის 0,75, ნასკეი კონუსისებრია, დინგი ბრტყე-  
ლი და გაყოფილი.

მტევანი საშუალოზე მსხვილი ან საშუალო ზომისაა, სიგ-  
რძე 15—25, სიგანე 8—12 სმ. ცილინდრულ-კონუსისებრი  
ფორმის ან დატოტვილი, საშუალო სიმკვრივის, მტევნის ყუნ-  
წი გრძელი აქვს — 5—6 სმ. მიმაგრების ადგილას განევებუ-  
ლი. მარცვლის საჯდომი ბალიში კონუსისებრი და ბორცვია-  
ნია.

მარცვალი მსხვილია — სიგრძე 23—26, სიგანე 17—23 სმ.  
ოვალური ან კვერცხისებრი ფორმის, მოთეთრო-მომწვანო,  
მოყვითალო ელფერით, მზის მხარეზე მუქი წერტილებით. კა-  
ნი თხელი, რბილობს ძნელად სცილდება, რბილობი წვნიანი,  
სასიამოვნო გემოთი. მარცვალში 1—2-მდე წიმწაა, რომელიც  
ადვილად სცილდება რბილობს.

წიგნი ა საშუალო ან საშუალოშე დიდი ზომისაა, სიგრძე 6, სიგანე 4 მმ. ოვალური, მუქი ყავისფერი შეფერიშვილის კალაბა მდებარეობს წელის შუა ნაწილში, შებრუნებული კვარცხისმაგვარი ფორმის და ჩატყლებითია.

### აგრობიოლოგიური დახასიათება

სავეგეტაციო პერიოდი სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა კვირტის გაშლიდან სრულ სიმწიფემდე შეადგენს 134 დღეს 2614,8° აქტიურ ტემპერატურათა ჯამით. ამის შესაბამისად იცვლება ფენოლოგიური ფაზების მსვლელობაც (ცხრილი 8).

ცხრილი 8

### ჩაუშის ფენოლოგიური ფაზების მსვლელობა

დაკავშირება ფაზები	კვირტის გაშლის დღე	კვერცხის დღე	სამუშავებელი დღე	სამუშავებელი დღე/თვე	ლილობის დღე	ტემპერატურის გაცემის დღე
1965	26/IV	5/VI	24/VII	31/VIII	123	2567,4
1966	24/IV	31/V	5/VII	5/IX	135	3000,1
1967	25/IV	9/VI	14/VII	3/IX	132	2585,3
1968	18/IV	8/VI	6/VII	3/IX	139	2957,2
1969	26/IV	12/VI	21/VII	2/IX	130	2614,8
	24/IV	8/VI	14/VII	4/IX	133	2740,9

როგორც ცხრილიდან ჩანს, თელავის პირობებში ჩაუში კვირტის გაშლას იწყებს საშუალოდ 24/IV, ყვავილობას — ივნისის პირველ, ხოლო ტექნიკურ სიმწიფეს — სექტემბრის პირველ რიცხვებში.

რქის მომწიფების ხარისხი. თელავის საცდელი სადგურის პირობებში მისი ერთწლიანი რქები მომწიფებულია 90 პროცენტამდე.

ზრდის სიძლიერე რე. ჯიში ხასიათდება ძლიერი ზრდა-

განვითარებით. მისი ერთწლიანი რქები 3 მეტრს, ზომიდან /მეტ  
საც აღწევს.

მოსაცლიანობა. ჩაუში მოსავლის პროცესუალური შენება  
იძლევა დარგვიდან მეორე-მესამე წელს. სრულ მოსავლიანო-  
ბაში შედის მეოთხე-მეხუთე წელს. ჯიში ხასიათდება საშუა-  
ლოზე მაღალი მოსავლიანობით. მტევნის საშუალო წონა 160-  
დან 293 გრამამდე მერყეობს. მსხმოიარობის კოეფიციენტი  
0,85—1,35-მდეა, ძირის მოსავალი 2400-დან 3360 გრამამდეა  
რაც ჰექტარზე გადაანგარიშებით 79,99 ცენტნერიდან 128,65  
ცენტნერამდე მერყეობს. ნაყოფიანი რქების პროცენტი 54,2,  
მტევნების რაოდენობა ერთ მოსავლიან რქაზე 1,38, ერთ  
რქის ნაყოფიანობა 328 გრამი, მტევნების საშუალო რიცხვი  
ერთ რქაზე 0,75, მტევნის საშუალო წონა გრამობით 266.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ გამ-  
ძლეობა. ჩაუში სოკოვან ავადმყოფობის მიმართ მგრძნო-  
ბიარეა. ჭრაქით და ნაცრით ძლიერ ავადდება.

ჯიშის აგროტექნიკური თავისებურება  
ნი. ჩაუში ძლიერ მომთხოვნია სითბო-სინათლისა, ყინვებს  
ნაკლებად უძლებს, როგორც ფუნქციონალურად მდედრობითი  
ჯიში, აუცილებელია სხვა ჯიშებთან ერთად შერეულად და-  
ირგას.

### ტექნოლოგიური დახასიათება

მტევნების გარეგნული შესახედაობა, ჰარმონიულად განწ-  
ყობილი შაქრიანობა-მეუკიანობა მეტყველებს მის სასუფრა-  
მიმართულებაზე. ოელავის პირობებში მექანიური ანალიზე-  
ბის მრავალწლიური დაკვირვებების მიხედვით მტევნის საშუ-  
ალო წონა 278 გრამია, მარცვლების საშუალო რაოდენობა  
მტევნაში — 90. მტევნის შემადგენელი ნაწილებიდან კლერტი  
2,2 პროცენტია, კანი — 6,86, წვენი და რბილობი — 88,69,  
წიპტა — 2,25, 100 მარცვლის წონა — 332 გრამი, 100 წიპტის  
წონა 4,3 გრამია.

მარცვლის მექანიკური თვისებები. მარ-  
ცვლის წინააღმდეგობა გაჭილეტის მიმართ საშუალოდ 1250  
გრამია, წინააღმდეგობა მოწყვეტის მიმართ — 275 გრამი.

ჩაუში ხასიათდება შაქრის დაგროვების დაბალი უნარით.  
მისი შაქრიანობა წლების მიხედვით მერყეობს 16—18 წელს და  
ცენტრამდე, რაც სრულიად დამაკმაყოფილებელია სასუფლა  
ყურძნისათვის.

### ჭიშის საერთო შეფასება

ჩაუში საადრეო სიმწიფის პერიოდის თეთრი მსხვილმარ-  
ცელიანი ჯიშია. მცირე რაოდენობით არის გავრცელებული  
საცდელი სადგურის საკოლექციო ვენახში. წმინდა ნარგაობის  
სახით გვხვდება: უკრაინაში, მოლდავეთში, რუმინეთში და  
სხვ. სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტების საკოლექციო ნაკ-  
ეთებში ხასიათდება ძლიერი ზრდა-განვითარებით, მეტად  
ლამაზი აგებულების მტევნებითა და მსხვილი მარცვლებით.

მისი უარყოფითი თვისებებია: ფუნქციონალურად მდედ-  
რობითი ყვავილის ტიპი, რისთვისაც საჭიროებს შერეულად  
დარგვას სხვა ჯიშებთან ან ხელოვნურ დამტკერიანებას.

ძლიერ აღვილად ზიანდება სოკოვანი დაავადებით, ზამთრი-  
სა და შემოდგომის ყინვებისაგან. მიუხედავად ამისა, ჯიში მე-  
ტად საინტერესოა სელექციის თვალსაზრისით. გარდა ახალ-  
სახეში მოხმარებისა, მისგან ამზადებენ მაღალხარისხოვან კომ-  
პოტებს და ქიშმიშს. რეკომენდებულია მისი გავრცელება კ-  
ხეთის მეცნიერების რაიონებში, სახელდობრი: ახალსოფელ-  
ლაგოდების ქვეზონის შემაღლებულ ადგილებში; ყვარლის  
ქვეზონის ფერდობებზე და შემაღლებულ ადგილებში, ნაფა-  
რეულის ქვეზონის ფერდობებზე; გურჯაან-მუკუზნის ქვეზო-  
ნის დაბლობ და შემაღლებულ ადგილებში, შრომა-წინანდლის  
ქვეზონის დაბლობ და თელავ-ახმეტის ქვეზონის შემაღლებულ  
ადგილებში.

### გუდავარი ფითოლი

ბუდეშური წითელი ადგილობრივი მცირედ გავრცელებუ-  
ლი ჯიშია. ლიტერატურაში სხვა სახელშოდებით არ არის  
ცნობილი. გავრცელებულია: თელავის, გურჯაანისა და




თბილის მუნიციპალიტეტი  
ნებში, სამეცნიერო  
კვლევითი ინსტიტუ  
ტების საკოლეჯი  
ნაკვეთებში.

### ბოტანიკური აღწერა

ბოტანიკური აღწერა შესრულებულია მე  
ბალეობის, მეცნიერე  
ობისა და მეღვინეო  
ბის სამეცნიერო-კვლე  
ვითი ინსტიტუტის  
თელავის საცდელ  
სადგურის საკოლე  
ჯით ვენახში.

ახალგაზრდა  
ყლორტი, მოზარ  
დი ყლორტის (15—  
20 სმ) წვერი, გვირჩ  
ვინი და გაუშლე  
ორი ფოთოლაკი შე  
ბუსულია სქელი ას



ბუსური წითელი.

ლაბუდისებრი ბეჭვებით, ფოთოლაკებს ირგვლივ მკვეთრი  
ვარდისფერი არშია გასდევს, პირველი და მეორე ფოთლი  
ზედა მხარეზე შებუსვა კლებულობს, ხოლო შემდეგ მომ  
დევნო ფოთლებზე მთლიანად ქრება და მოყვითალო-მწვანე  
ფერისაა, ოდნავ გადაპყრავს ვარდისფერი იერი; ფოთლი  
ქვედა მხარე უფრო ინტენსიურადაა შებუსული და მოთეთ  
რო-მონაცრისფროა.

ლერო მწვანეა წითელი ზოლების გაყოლებით.

ერთწლიანი ჩქა. ბუსური წითლის ერთწლია  
ანი ჩქები მოყვითალო-წითელია. მუხლები უფრო ინტენსი  
ურად აქვს შეფერილი.

ფოთოლი. ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალოზე  
დიდია, სიგრძე 21, სიგანე 20 სმ. ფოთლის ფირფიტა მეტყველებული  
ვალო ან მოვალო ფორმისაა, სამი ან ხუთნაკვთიანია მაგრამ შესავარა  
თად გვხვდება მთლიანიც. ფოთლის ზედაპირი გლუვია და  
მუქი მწვანე.

ყუნწის ამონაკვთი თაღისებურია ან კვადრატული ფორ-  
მის. ზედა ამონაკვთები საშუალო სიღრმისაა ან ზეზეურებია,  
გვხვდება ღია და დახურული.

ღია ამონაკვთების ფუძის ფორმა მომრგვალებულია და  
კვერცხისებრფორმიანი.

დახურული — ვიწრო ელიფსისებური ნასკრეტით, გვხვდე-  
ბა ამონაკვთები ცალი კბილით.

ქვედა ამონაკვთები ჩეეულებრივ უფრო პატარებია და  
ძლიერ სუსტად გამოსახული, მომრგვალებული ფუძით ან  
შეჭრილ კუთხისებურია.

მთავარი ნაკვთები ბოლოვდება სამკუთხედისებრი კბილე-  
ბით, მომრგვალებული ან წაწვეტებული წვეროთი. გვერდითი  
კბილები ხერხისებრია და ცალ მხარეზე ამობურცული.

ფოთლის ქვედა მხარე შებუსულია სუსტი აბლაბულისებ-  
რი ბეწვებითა და ჯაგრითა. ძარღვები განშტოების ადგილას  
წითელ-ლვინისფერია, შემდეგ ეს შეფერვა ქრება და იღებს  
მწვანე ფერს.

ფოთლის ყუნწი მთავარი ძარღვის ტოლია და შეფერი-  
ლია წითელ-ლვინისფრად.

ყველი თრსექესიანია, მტერიანა ხუთი ან ექვსია, იშ-  
ვიათად ოთხი, მტერიანათა ძაფის. სიგრძის შეფარდება ბუტ-  
კოს სიმაღლესთან 1,25—1,5-მდეა. ბუტკო კონუსისებრი ფორ-  
მისაა.

მტევანი. მტევანი საშუალოზე ღიდია, მისი სიგრძე  
მეტყველობს 15—25, სიგანე 8—12 სანტიმეტრამდე. მტევნის  
ძირითადი ფორმა კონუსისებრია, მხრიანი. საშუალო სიმკვრი-  
ვის ან თხელი შენების. მტევნის ყუნწი ბალაზისებრია, მიმაგ-  
რების ადგილას გახევებულია. სიგრძე 4—6 სმ. მარცვლის  
საჭდომი ბალიში ვიწრო კონუსისებრი ფორმისაა და მეჭე-  
ჭიანი.

მარცვალი. მარცვალი საშუალო ზომის ან საშუალოზე

მსხვილია, სიგრძე 16—24 მმ, სიგანე 14—16 მმ-მდე, ზვალური, იშვიათად გვხვდება მოგრძო ფორმის, მუქი ფორმის ფერია, კანი — თხელი და მტკიცე, უხვად დაშარული სანთლისებრი ფიფქით, რბილობი მკვრივი, კნატუნა, საკმაოდ წვნიანი, წვენი უფერული, გემო სასიამოვნო, მარცვალში 1—4-მდე წიპტა. წიპტა ოვალურია, სიგანე 4, სიგრძე 6 მმ. მუქი ყავისფერი, ქალაძა ოვალური ფორმისაა და შუაში ჩაზნებილია. ნისკარტი ვიწრო კონუსისებრი ფორმის.

### აგრობიოლოგიური დახასიათება

სავეგეტაციო პერიოდი. სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა ცალკეული წლების მეტეოროლოგიური პირობების შესაბამისად 138-დან 169 დღემდე მერყეობს. ამის შესაბამისად ცვალებადობს აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც 2799,9-დან 3997,3 გრადუსამდე. საილუსტრაციოდ მოგვყავს წვენი დაკვირვების მონაცემები (ცხრილი 9).

ცხრილი 9

#### ბუდეშური წითელის უენოლოგიური ფაზები

წარმოდგენილების დღე	კვირის კვერცხის დასახი	კვირის მიმდევარის დასახი	სიმინდის დასახი	სრული სიმინდი	დღეთის დასახი	ეტაპის კვერცხი	ეტაპის კვერცხის ჯამი
1955	24/IV	10/VI	18/VIII	15/IX	145		2799,9
1956	10/IV	4/VI	20/VIII	20/IX	135		3003,7
1957	15/IV	26/V	4/VIII	31/VIII	138		2796,7
1959	26/IV	3 VI	10/VIII	10/IX	38		2831,2
1960	28/IV	10/VI	11/VIII	17/IX	142		2850,3
საშუალო	20/IV	4/VI	13/VIII	12/IX	145		2856,3

ცხრილიდან ჩანს, რომ კვირტის გაშლას იგი იწყებს საშუალოდ აპრილის მეორე დეკადაში, ხოლო ტექნიკურ სიმინდეს — სექტემბრის პირველ დეკადაში.

რეის მომწიფების ხარისხი. წითელი ბუდე  
შურის ერთწლიანი რქები ყურძნის სრული სიმწიფის დარღვეული  
ისათვის თავისუფლად ასწრებს მომწიფებას და ზამთრის უჩნძელე  
ვებს საქმიანდ გახევებული ხვდება.

ზრდის სიძლიერე. წითელი ბუდეშური ხასიათდე-  
ბა საშუალოზე ძლიერი ზრდა-განვითარებით. მისი ერთწლიანი  
რქები თელავის პირობებში 3 მეტრამდე აღწევს.

მოსავლიანობა. წითელი ბუდეშური თელავის  
პირობებში დარგვიდან მეორე-მესამე წელს იძლევა მოსავ-  
ლის პირველ ნიშნებს. მეოთხე-მეხუთე წლიდან კი სრულმო-  
სავლიანია. ხასიათდება რეგულარული მაღალმოსავლიანობით,  
მსხმიარობის კოეფიციენტი 0,78—1,5-მდეა, მტევნის საშუა-  
ლო წონა — 120—186 გრამამდე, ძირის მოსავალი 2771-დან  
3561 გრამამდეა, რაც ჰექტარზე გადაასგარიშებით 92,36 ცენ-  
ტნერიდან 118,68 ცენტნერამდე მერყეობს. ხეივნის სახით გა-  
ფორმებული ვაზებიდან ქ. თელავში მცხოვრები გ. კასრელი-  
შეილი და გ. ფირანიშეილი თითოეული ძირიდან 500—600 კგ  
ყურძენს იღებენ. ჩვენი მონაცემების მიხედვით, ნაყოფიანი  
რქების პროცენტი უდრის 81,6. მტევნების რაოდენობა ერთ მო-  
სავლიან რქაზე 1,1, მტევნის საშუალო რაოდენობა ერთ რქა-  
ზე 0,86, მტევნის საშუალო წონა 194 გრამია, ხოლო ერთი  
რქის პროდუქტიულობა — 219 გრამი.

კვავილცვენა და წვრილმარცვლიანობა.  
წითელი ბუდეშური ხასიათდება მცირე ცვალიანობა  
და წერილმარცვლიანობით.

სოკოვან ავადმყოფობათა და მავნებელ-  
თა მიმართ გამძლეობა. ბუდეშური წითელი შე-  
დარებით სხვა ჭიშებთან ხასიათდება სოკოვან ავადმყოფობის  
კარგი გამძლეობით. აბლაბუდიანი ტკიპის მიმართ საშუალო  
გაძლევა.

### სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება

ბუდეშური წითელი მტევნებისა და მარცვლების გარეგ-  
ნული შეხედულების, მათი მექანიკური, წვნის ქიმიური შედ-  
გებნილობისა და გემური შეფასების საფუძველზე ტიპური

სასუფრე ყურძნის ჯიშია. მრავალწლიური მექანიკური ან-  
ლიზების მიხედვით მტევნის საშუალო წონა 219, გრამულებაზე  
ცვლების საშუალო რაოდენობა მტევანში 78%, მუსკულურშე  
მაღვენელი ნაწილებიდან კლერტი 3,1 პროცენტია, კანი —  
9,29, წვენი და რბილობი — 85,19, წიპში — 2,44, 100 მარ-  
ცვლის წონა 264 და 100 წიპშის წონა 3,2.

მარცვლის მექანიკური თვისებები. მარც-  
ვლის მიმაგრებას ნაყოფსაჭდომზე დიდი მნიშვნელობა აქვ-  
გადაზიდვის საქმეში. ეს კი დამოკიდებულია მარცვლის ფორ-  
მასა და სიდიდეზე, კანის სისქეზე, რბილობის კონსისტენციაზე  
და მარცვლის ანატომიურ აგებულებაზე. ჩვენი მონაცემებით,  
საშუალო ტრანსპორტულებური ჯიშია. შორეულ ტრანს-  
პორტს ვერ იტანს, კარგია ადგილობრივი მოხმარებისათვის.

ჩვენ მიერ ჩატარებული ცდებით, ბუდეშური წითლის წი-  
ნააღმდეგობა მარცვლის გაჭილებაზე წლების მიხედვით მეტ-  
ყეობს 560-დან 915 გრამამდე, ხოლო წინააღმდეგობა მოწყვე-  
ტის მიმართ 190-დან 250 გრამამდე.

ყურძხის წვნის ჭიშიური შედგებილობა ბუდეშური წითლის  
ბუდეშური წითელი ხასიათდება შაქრის დაგროვების საქმაო  
უნარით, წლების განმიერლობაში მოსავლის აღების დროისათ-  
ვის მისი შაქრიანობა ხშირად 20 პროცენტს აღწევს 4,5 პრო-  
მილე მეტანობის დროს, საშუალოდ 18,50 პროცენტია.

### ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება

ბუდეშური წითელი ადგილობრივი მცირედ გავრცელებუ-  
ლი სტანდარტული მაღალხარისხოვანი სასუფრე ყურძნის ჯი-  
შია. იძლევა საუკეთესო ღირსების სადესერტო ყურძენს.

ჯიშის დადებითი თვისებებია: ადრე მომწიფება და სოკოვის  
ავაღმყოფობათა მიმართ კარგი გამძლეობა, რისთვისაც საჭი-  
როა მისი გავრცელება კახეთის მევენახეობის ყველა რაიონში,  
სახელდობრი; ახალსოფელ-ლაგოდეხის შემაღლებულ, ყვარლის  
ქვეზონის ფერდობებზე; ნაფარეულის ზონის ფერდობებზე,  
გურჯაან-მუკუზნის ფერდობებზე და შემაღლებულ ადგილებ-  
ში; შრომა-წინანდლის დაბლობ და მაღლობ ადგილებში, თე-  
ლავ-ახმეტის ქვეზონის ფერდობებზე და შემაღლებულ ადგი-  
ლებში, გარე კახეთის კაჭრეთ-კაკაბეთის ფერდობ ადგილებში



იგი მაღალხარისხოვანი მცირედ გავრცელებული ჟარტობულობების შემთხვევაში პერიოდის მუსკატური სასუფრე ყურძნის ჭიშია.

სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია შემდეგი სახელწოდებით. ოდესისა და ხერსონის მხარეში — მატიაშ, ზაკარპატიის მხარეში — მატიას, მატიაშ ივანოვა, მუსკატ იაგან მატიას, ფრაუ იაგონ მატიას და სხვ.



მატიაშ იანოზი.

ჭიში მიღებულია შასლა იისფერისა და მუსკატი ღორის  
შეჯვარებით.

გავრცელებულია საქართველოში სამეცნიერო დაწესებულებების საკოლეჯით ვენახებში, ფართოდ არის გავრცელებული რუმინეთში, გერმანიაში, ჩეხოსლოვაკიაში, უნგრეთში, უკრაინაში და სხვაგან.

### ბოტანიკური აღწერა

მატიაშ იანოშის ბოტანიკური აღწერა შესრულებულია მებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თელავის საცდელი სადგურის საკოლეჯით ნაკვეთში.

ახალგაზრდა ყლორტი. მოზარდი ყლორტის წვერო გვირგვინით და ორი გაუშლელი ფოთოლაკით შებუსულია საშუალო სისქის მოთეთრო-მონაცრისფრო აბლაბუდისებრი ბეწვებით. პირველი და მეორე იარუსის ფოთლებზე შებუსვა მცირდება და იღებს წითელ-ღვინისფერს, მომდევნო ფოთლები შებუსულია სუსტი აბლაბუდით და წითელ-ღვინისფერია. მესუთე ფოთოლი მუქი მწვანეა და გადაჰქრავს მოწითალო იერი, ლეროც წითელ-ღვინისფერია.

ერთწლიანი რქა. შემოდგომის დასასრულისათვის მისი ერთწლიანი რქები შეფერილია მოყავისფროდ, იისფერი იერით და დაფარულია ძლიერი სანთლისებრი ფიფქით.

ფოთოლი. ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო ზომისაა. სიგრძე 17, სიგანე 18 სმ. ფოთლის ფირფიტა მომრგვალოა, სამი ან ხუთნაკვთიანი. ფოთლის ზედაპირი ბადისებრ დანაოჭებულია, ძარღვები წითელ-ღვინისფერია.

ყუნწის ამონაკვთი დახურული და თითისტარისებრია.

ზედა ამონაკვთები ლიაა, გვხვდება დახურულიც. ლია ჩანგისებრი ფორმისაა, მომრგვალებული ძირითა და პარალელური გვერდებით. დახურული კვერცხისებრი ან თითისტარისებრი ფორმისაა.

ქვედა ამონაკვთები უფრო მცირეა და ლია — გარდამავალი კუთხით ან ჩანგისებრი პარალელური გვერდებით.

ფოთლის მთავარი ნაკვთები ბოლოვდება სამკუთხედისებრი

რი ამობურცული გვერდებით ან ვიწრო სამკუთხედისებრი კაბ-  
ლებით, გვერდითი კბილები გუმბათისებრია ან სამკუთხედზე გა-  
სებრი — ამობურცული გვერდებით.

ფოთლის ქვედა მხარეს, ძარღვების გასწვრივ, მოკლე ჭაგ-  
რისებრი ბეწვები აქვს.

ფოთლის ყუნწი მთავარ ძარღვზე გრძელია და წითელ-  
ღვინისფერია.

უვავილი ორსქესიანია, მტვრიანა ექვსია, იშვიათად  
ოთხი, მტვრიანათა ძაფის სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმაღ-  
ლესთან შეადგენს 1,25, ბუტკო განიერკონუსისებრი ფორმი-  
საა. დინგი მომრგვალებული და პატარაა.

მტევანი საშუალოზე დიდია, სიგრძე 15—20, სიგანე  
8—12 სმ, ცილინდრულ-კონუსისებრი ან კონუსისებრი ფორ-  
მის, საშუალო სიმქერივის, ან თხელი შენების, მხრიანი, ყუნწი  
4—6 სმ და გახევებულია. კლერტი წითელ-ღვინისფერია.

მარცვალი საშუალო ზომისაა — 17—16 მმ, მომრგვა-  
ლო ან მრგვალი და მუქი ვარდისფერია. უხვადაა დაფარული  
სანთლისებრი ფიფქით, აღსანიშნავია, რომ გამონასკვისთანავე  
წითელ-ღვინისფერია და სიმწიფის დაწყებამდე იღებს მწვანე  
ფერს, სიმწიფეში შესვლისას ისევ წითელს, რაც გამოწვეულია  
ჯიშის ბიოლოგიური თავისებურებით. კანი თხელია, რბილობს  
ადვილად შორდება. რბილობი მკვრივია და კნატუნა, სასიამოვ-  
ნო მუსკატის არომატით, წვენი უფერული და ტკბილია. მარ-  
ცვალში 1—2 წიპტაა, იშვიათად სამი.

წიპტა საშუალო სიდიდისაა, სიგრძე 6, სიგანე 5 მმ.  
მსხლისებრი ფორმის, მოწითალო-მოყავისფროა, ნისკარტი მოკ-  
ლე, წაწვეტებული. ქალაძა მომრგვალოა და წიპტის ზედა ნა-  
წილში მდებარეობს.

### აგრობიოლოგიური დახასიათება

სავეგეტაციო პერიოდი, ე. ი. ქვირტის გაშლის დასაწყისი-  
დან სრულ სიმწიფემდე, ცალკეული წლების მეტეოროლოგიუ-  
რი პირობების შესაბამისად, მერყეობს 136-დან 155 დღემდე,  
შესაბამისად ცვალებადია აქტიურ ტემპერატურათა ჭამიც —  
2717,5 გრადუსიდან 306,07 გრადუსამდე, საშუალოდ იგი 145

დღეს საჭიროებს 2885,5 გრადუს აქტიურ ტემპერატურათა  
ჯამით. აქვე მოგვყავს ჩვენი დაკვირვების შედეგზე ჩრდილოების  
განვითარების 10

მატიაშ იანოშის ფენოლოგური ფაზები

ფაზის დასახურების დღე	კერძო ტემპერატურა დღე	ცალის ცალის დღე	სეზონის ცალის დღე	სეზონის სიგრძე	დღე დასახურების დღე	ტემპერატურის განვითარების ჯამი
1965	22/IV	8/VI	9/VII	15/IX	147	2928,1
1955	26/IV	15/VI	15/VII	12/IX	140	2717,5
1957	10/IV	1/VI	6/VII	2/IX	136	2747,4
1959	24/IV	2.VI	25/VII	18/IX	148	2975,5
1960	27/IV	18/VI	19/VIII	18/IX	155	3030,7
საშუალო	24/VI	8/VI	3/VIII	15.IX	145	2885,8

რქის მომწიფების ხარისხი, თელავის პირობებში მატიაშ იანოშის ერთწლიანი რქები თავისუფლად ასწრებს მომწიფებას 85 პროცენტით.

ზრდის სიძლიერე. მატიაშ იანოში საშუალოზე ძლიერი ზრდისაა. მისი ერთწლიანი რქები 2,5—3 მეტრადან აღწევს.

მოსავლიანობა. დარგებიდან მეორე-მესამე წელს იძლევა მოსავლის პირველ ნიშნებს, მეოთხე-მეხუთე წელს სრულ მოსავლიანობაში შედის. ხასიათდება კარგი მოსავლიანობით—ჰექტარზე გაანგარიშებით 52,19 ცენტნერიდან 73,92 ცენტნერამდე აღწევს. მსხმოიარობის კოეფიციენტი 0,74—1,28-მდეა. მტევნის საშუალო წონა 180—236 გრამია, ძირის მოსავალი — 1266—2500 გრამი.

უკრაინის პირობებში ძირის საშუალო მოსავალი 1,5—2 კგ აღწევს, რაც ჰექტარზე გადაანგარიშებით 10—12 ტონას შეადგენს.

ჩვენი დაკვირვების მიხედვით ნაყოფიანი რქები 65,4 პროცენტია, მტევნების რაოდენობა ერთ რქაზე 1,0, მტევნების

რაოდენობა ერთ მსხმიარე რქაზე 1,27, მტევნის საშუალო  
წონა 174 გრამია. ერთი რქის პროდუქტის კულობა — 223 გრამის უკავშირის

უკავილ ცვენა და წვრილ მარცვლი იჭირება კულობის დროს ჩაჩის ცუდად მოცილებით. ჩვენი დაკვირვებით ბუნებრივ პირობებში მარცვალთა გამონასკვა მერყეობს 25—40 პროცენტამდე.

სოკოვან ავაღ შეცვლით მარცვლი და მავნებელთა მიმართ გამძლეობა. ჩვენს პირობებში მატიაშ იანში მილდიუმს საშუალოდ უძლებს, ნაცრის წინააღმდეგ უფრო მგრძნობიარეა, აბლაბუდიანი ტკიპას მიმართ საშუალო.

აგრიბიოლოგიური თავისებურება დანი მარცვლის უკეთ გამონასკვისათვის საჭიროებს დამატებით დამტკიცვას და უკავილობის წინ წვეროების წაწყვეტას.

### სამეურნეო-ტექნოლოგიური დანასიათება

მტევნებისა და მარცვლების გარევნული შეხედულება და წევნის ქიმიური შედეგების მიუთითებს მის სასუფრე ყურძნის ტიპურობაზე. ამის ნათელსაყოფად მოგვყავს მექანიკური ანალიზის შედეგები. მტევნის საშუალო წონა 174 გ, მარცვლების საშუალო რაოდენობა 87,3, მტევნის შემაღებელი ნაწილებიდან — კლერტი 3,28, კანი 8,23, წიპჭა 3,12, წვენი და რბილობი 85,30, 100 მარცვლის წონა 237 გრამი, 100 წიპნის წონა 3,2 გ.

მარცვლის მექანიკური თვისებები. მატიაშ იანში ხასიათდება საშუალო ტრანსპორტაბელობით, თელავის პირობებში წარმოებული ცდების მიხედვით მარცვლის წინააღმდეგობა მოწყვეტის მიმართ 194 გრამია, გაჭულების მიმართ 900 გრამი.

უკრძნის წვნის ქიმიური შედეგები ლობა. ამ ჯიშს შაქრის დაგროვების დიდი უნარი აქვს. წლების მიხედვით მისი შაქრიანობა მერყეობს 16-დან 22,0 პროცენტამდე, მუავიანობა 4,6 პრომილე.

ვ. ა. კამაროვას ცნობით, ოდესის პირობებში შაქრიანობა მერყეობს 18,0—19,2 პროცენტამდე, ხოლო მუავიანობა 4,2—5,5 პრომილემდე.

საერთო შეფასება. მატიაშ იანოში ნაკლებიდგურცელებული მაღალხარისხოვანი მუსკატის გემოს ფარდის ფერი სასუფრე ყურძნის ჯიშია. მისი გარეგნული შეზედულება, მეტად ლამაზი ვარდისფერი შეფერვა ძლიერ მიმზიდველს ხდის, რისთვისაც საჭიროდ მიგვაჩნია მისი გავრცელება კახეთის მეექნახეობის ყველა რაიონში, სახელდობრ: ახალსოფელ-ლაგოდეხის ფერდობებზე, ყვარლის ქვეზონის დაბლობ ადგილებში, ნაფარეულის ქვეზონის ფერდობებზე, გურჯაან-მუკუზნისა და შრომა-წინანდლის ქვეზონის ფერდობებზე და შემაღლებულ ადგილებში, თელავ-ახმეტის ქვეზონის ფერდობებზე, კაჭრეთ-კაკაბეთის დაბლობ და ფერდობ ადგილებში.

### პიროვაჟადული ცეცრის

იგი აზერბაიჯანის სტანდარტული მაღალხარისხოვანი სასუფრე ჯიშია.

ლიტერატურაში ცნობილია შემდეგი სინონიმებით: საქართველოში — განჯური, თავრიზული, განჯური თითა, შირაზული თითა, აზერბაიჯანში — თავრიზ, განჯური თეთრი, ელიზავეტოპოლის, შახის, შირაზული, სომხეთში — განჯური, თავრიზენი, განძაკი, განჯუ ასკერი და სხვ.

როგორც ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, ჯიში თავისი წარმოშობით არ შეიძლება ირანული იყოს, ამიტომ არ შეიძლება მას შირაზული ვუწოდოთ. სიტყვის დაბოლოება „ული“ და „ური“ მიგვითითებს მის ქართულ წარმოშობაზე. აქედან გამომდინარე, ივ. ჯავახიშვილი გამოთქვამს აზრს, რომ ირანიდან საქართველოში შემოტანილი ჯიში იმდენად შეიცვალა ადგილობრივი პირობების მიხედვით, რომ შემდეგში — საქართველოდან ირანში გადატანისას — ქართული ჯიში შირაზული სახელწოდებით იქნა შეტანილი. თავრიზის სახელი (სწორად თებრიზი) წარმოიშვა იმიტომ, რომ ეს მაღალხარისხოვანი ჯიში ვაჟრობის ფართო ურთიერთობის დროს (აზერბაიჯანსა და ირანს შორის) ღიდი რაოდენობით გადიოდა ირანში (თებრიზში).

ჯიშის ღიდი გავრცელება კიროვაბადსა და მის შეზობელ-რაიონებში (აზერბაიჯანში) მიგვანიშნებს, რომ მისი სამშობ-

ლოა კიროვაბადის მიღამოები (ყოფილი განჯა), რაც დასტურება სინონიმებით. ა. ნეგრულის მიერ შესწავლილი აზერბაზენი ქანის ჭიშის ბაიან-შირეის და ოვით კიროვაბადულის შესტაცია



კიროვაბადული სეფრის

ნერგების შედარებისას გამოიჩევა მათი ურთიერთმსგავსება. ამასთანავე, კიროვაბადის ვენახებში შემჩნეულ იქნა ჭიშის სა-ხესხვაობანი, საიდანაც დასტურდება, რომ ჭიში კიროვაბადის მიღამოებშია წარმოშობილი.

თავისი მაღალი ღირსების გამო გავრცელებულია სატრონო კავშირის მევენახეობის თითქმის ყველა რაიონში, ჯიში შეტანილია ვაზის სტანდარტულ სორტიმენტში — სტანდარტული, სომხეთის, როსტოკის, ყირიმის, ქრასნოდარისა და სევასტოპოლის მხარეში.

## ბოტანიკური აღწერა

კიროვაბადული სუფრის პიტანიკური აღწერა ჩატარებულია მებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტრუმენტის თელავის საცდელი სადგურის საკოლეჯციო ვენახში.

ასალგაზრდა ყლორტი. მოზარდი ყლორტის (15-25 სმ) წვერო გვირგვინით და ჭერ გაუშლელი ორი ფოთოლაკით შებუსულია ორივე მხრიდან მორუხო-მომწვანო სუსტი აბლაბუდისებრი ბეწვებით, მეორე იარუსის ფოთლები თითქმის შიშველია, მომწვანო-მოყვითალოა და მოწითალო იერი და ჰერავს. ყლორტი ლია მწვანეა, რომელიც სუსტი აბლაბუდისებრი ბუსუსითაა დაფარული.

ერთწლიანი რქა. შემოდგომის დასასრულისათვის  
მისი ერთწლიანი რქები მოწითალოა და დაფარულია სუსტი  
სანთლისებრი ფიფქით.

ფოთოლი საშუალოზე დიდია. სიგრძე 16—18, სიგანგ  
16—17 სმ. ფოთლის ფირფიტა მომრგვალო ან ოდნავ ოვალუ-  
რია, ხუთნაკვთიანია, გვხედება სამნაკვთიანიც. ფოთლის ზედა  
პირი გლუვია და მუქი მწვანე, ხშირად სწორი ან ძაბრისებრია  
და ბაღისებრ დანაოჭებული.

ყუნწის ამონაკვთი ლიაა და ჩანგისებრი.

ზედა ამონაკვთები დახურულია, განიერ ან ვიწრო ელიფსისებრი ნასკრეტით.

ქვედა ამონაკუთები ზეზეურია და ნაპრალისებრი, იშვია-  
თად გვხვდება ვიწროყელიანი და მრგვალფურიანი, ჩანგისებრი  
და მშვილდისმაგვარი ფორმის ამონაკუთები, იშვიათად თაღი-  
მაგვარია ერთი ან ორი დეზით.

ფოთლის მთავარი ძარღვები ბოლოვდება გამოზნექილგვერდებიანი და მახვილშვერიანი სამკუთხედისმაგვარი კბილებით იშვიათად ხერხისცებრივი, ცალმხრივ გამოზნექილი სამკუთხე-

დის ფორმის, მახვილწვერიანი ან ხერხისებრი ორმხრივ გამო-  
ზნექილი გვერდებით და მახვილი წვეროთი. გვერდითუ ტრაფიკი  
ზი სამკუთხედისმაგვარია და გუმბათისებრი, ხერხისგრძლისხელმა-  
რია, გამოზნექილი გვერდებითა და წამახვილებული წვეროე-  
ბით.

ფოთლის ქვედა მხარე შიშველია.

ფოთლის ყუნწი მთავარ ძარღვზე მოქლეა და შეფერილია  
წითელ-ღვინისფრად.

ყვავილი ორსქესიანია, მტვრიანები სწორმდგომია, ხუთი  
ან ექვსი მტვრიანა აქვს. იშვიათად შვიდი, მტვრიანათა ძაფის  
სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან 1,1—1,25.

ბუტკო მომრგვალო, ვიწროყელიანი ან ოდნავ წახნავო-  
ვანია, დინგი — მსხვილი ბურთისმაგვარი.

მტევანი საშუალო და საშუალოზე დიდი ზომისაა —  
სიგრძე 13—20, სიგანე 9—12 მმ. კონუსისებრი ან ცილინდ-  
რულ კონუსისებრი.

მარცვალი. საშუალო და საშუალოზე მსხვილია. სიგრ-  
ძე 14—25, სიგანე 13—18 მმ. ოვალური ან ოდნავ წაგრძელე-  
ბული, მარცვლები სრული სიმწიფის პერიოდში ყვითელია.  
კანი მკვრივია, აღვილად სცილდება რბილობს, მარცვალი და-  
ფარულია სანთლისებრი ფიტქით, რბილობი ოდნავ მკვრივია,  
მღნარი და წვნიანი, შაქრიანობა და მეავიანობა ჰარმონიულად  
შეხამებული, წიპწა მარცვალში 1—4-მდეა.

წიპწა მსხვილია, მოგრძო, სიგრძე 7, სიგანე 5 მმ. თანდათან  
ვიწროვდება ნისკარტისკენ, რომლის სიგრძე 2 მმ, მორუხო,  
ნისკარტთან მონარინჯისფროა. ქალაძა ოვალური, შუაში შე-  
ზნექილი, ღარტაფი ქარგად გამოსახული, ღარები მუცლის  
მხარეს ღრმაა და განშტოებული.

### აგრობიოლოგიური დახასიათება

სავეგეტაციო პერიოდი. ცალკეული წლების  
მეტეოროლოგიური პირობების მიხედვით ცვალებადობს სავე-  
გეტაციო ფაზები და აქტიურ ტემპერატურათა ჯამი.

ქვემოთ მოყვანილია ცნობები კიროვაბადული სუფრის სა-  
ვეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლე-  
ლობის შესახებ.

ଲୋକପରିବହନ କ୍ଷେତ୍ର	କ୍ଷେତ୍ରକୁ ଦେଇଥିବା ଦିନ	ମୁଖ୍ୟ ଉପରେତ୍ତିକା ଦିନ	ମୁଖ୍ୟ ଉପରେତ୍ତିକା ତାରିଖ	ମୁଖ୍ୟ ଉପରେତ୍ତିକା ତାରିଖ	ମୁଖ୍ୟ ଉପରେତ୍ତିକା ତାରିଖ	ମୁଖ୍ୟ ଉପରେତ୍ତିକା ତାରିଖ
1955	22/IV	10/VI	18/VIII	18/IX	160	3179,2
1956	23/IV	13/VI	20/VIII	16/IX	151	3181,6
1957	18/IV	1/VI	11/VIII	20/IX	161	3289,0
1959	26/IV	3/VI	15/VIII	23/IX	156	3125,3
1960	25/IV	10/VI	2/IX	20/IX	156	3140,2
ସାମ୍ରାଜ୍ୟ	22/IV	3/VI	19/VIII	19/IX	153	8183,6

როგორც ჩანს, ცვალებადობს საწყისი ფაზა და მის შესაბამისად იცვლება სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობაც კვირტის გაშლას იწყებს საშუალოდ 22 აპრილიდან, ხოლო სრულ სიმწიფეს — სექტემბრის მეორე ნახევარში.

რქის მომწიფების ხარისხი თელავის პირობებში კიროვაბადულის ერთწლიანი რქები ყურძნის სრულ სიმწიფის დროისათვის თავისუფლად ასწრებს მომწიფებას უკეთესად მწიფდება ყვარელში, ხირსაში, გურჯაანში, სიღნაღმი, საქართველო — გარე კახეთშიც.

ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ კი  
როვაბადული სუფრის რქების მომწიფება ხელს არ უშლის  
ჯიშის ჩრდილო მაღალმთიან რაიონებში გაერცელებას.

ზრდის სიძლიერე. ჯიში ხასიათდება ძლიერი ზრდა  
განვითარებით, თელავის პირობებში მისი ერთწლიანი რებ  
ალტენს 3 მეტრსა და მეტსაც. ძლიერ იზრდება აზერბაიჯანში  
სადაც ერთწლიანი ნაზარდის სიგრძე ხშირ შემთხვევაში 4,5  
მეტრია.

მოსაკლიანობა. ჯიში თელავის პირობებში დარგვი  
დან მეორე-მესამე წლიდან იძლევა მოსავლის პირველ ნიშანს  
მეოთხე-მეხუთე წლიდან სრულ მოსავალს გვაძლევს. ხასიათ

დება საშუალო მოსავლიანობით — ჰექტარზე 50—60 ცენტერი. მსხმოიარობის კოეფიციენტი 0,5—0,85-მდეა, მტევნის საშუალო წონა 200 გრამი, ძირის მოსავალი 2500 გრამია და გრავირულია უბნის (გურჯაანის რაიონი) საკოლექციო ნაკვეთზე, მრავალ-წლიანი დაკვირვებით, მსხმოიარობის კოეფიციენტი თელავთას შედარებით მაღალია — საშუალოდ 0,83—1,3-მდე, მოსავალი 70—100 ცენტერს აღწევს. აზერბაიჯანში კიროვაბადის საცდელ სადგურში ორმხრივი ფორმირების შემთხვევაში ორი საკავებლით საშუალოდ შვიდი წლის მანძილზე ერთ ჰექტარზე მოგვარა 9,3 ტონა. მოსავლიანი რქების პროცენტია 53,8, მოსავლიანობის კოეფიციენტი — 0,77, მტევნის საშუალო წონა — 171 გრამი.

სომხეთის მევენახეობისა და მეღვინეობის საშეცნიერო-კალევითი ინსტიტუტის ცნობით ნიადაგებზე ერთ ჰექტარზე ჭიში იძლევა 10—16 ტონას.

მევენახეობის საკავშირო ინსტიტუტის შუა აზიის საცდელი სადგურის მონაცემებით, მოსავლიანობის კოეფიციენტი მარაოსებრი ფორმირების ვერტიკალურ შპალერზე იძლევა 15 ტონას ერთ ჰექტარზე.

თელავის პირობებში ნაყოფიანი რქების პროცენტი 64,3, მტევნების რაოდენობა ერთ ნაყოფიან რქაზე 1,24, მტევნების საშუალო რაოდენობა ერთ რქაზე 0,74, მტევნის საშუალო წონა 210 გრამია. ერთი რქის ნაყოფიანობა — 260 გრამი.

ყვავილ ცენტრი და წვრილ მარცვლიანობა კიროვაბადული სუფრისას ახასიათებს მცირე ყვავილუვენა და წვრილმარცვლოვნობა. ჩვენი დაკვირვებით, ბუნებრივ პირობებში მარცვლის გამონასკვა მერყეობს 37—70 პროცენტამდე.

სოკოვან ავადმყოფობათა გამძლეობით ჭიში ჭრაქს საშუალოდ უძლებს, ფოთლები უფრო მგრძნობიარეა, ვიდრე მტევნები. უკანასკნელი ჩვეულებრივ წამლობის პირობებში სუსტად ზიანდება. ნაცრის მიმართ შედარებით მეტ გამძლეობას იჩენს. ძლიერ ზიანდება ყურძნის ჭიით, მეტად საშიშია სიმწიფის პერიოდში, რადგან იგი იწვევს შეთვალებული ყურძნის ძლიერ ლპობას.



ჯიში მძლავრი ზრდის გამო თხოულობს დიდადამიზოფას  
და უნაყოფო ყლორტების შეცლას. ახალგაზრდა ნაზარდები  
წვეროების წაწყვეტა არ იძლევა ეფექტს.

საკავებელზე ყლორტების მოსავლიანობა უფრო მეტია  
რქის კვირტების ბაზალური ნაწილიდან დაშორებით, ამიტომ  
ჯიში უნდა ისხვლებოდეს გრძლად.

### ჯიშის გამძლეობა სხვა ფაქტორების შიმართ

ზამთრის ყინვებს კირვაბადის სასუფრე სუსტად უძლებს,  
1953 წლის ყინვიან ზამთარში, როცა ტემპერატურის აბსოლუ-  
ტური მინიმუმი დაეცა 16 გრადუსზე დაბლა, ვაზის შეჭირევ-  
ლის პირობებში იგი კახეთის საწარმოო ჯიშებთან შედარებით  
უფრო მეტად დაზიანდა, დაღუპული კვირტების რაოდენობა  
6 პროცენტს აჭარბებდა, მაშინ როდესაც კახეთის საწარმოო  
ვაზის ჯიშების კვირტების დაზიანების პროცენტი 2—4 არ  
ასცილებია, ასევე სუსტად უძლებს ყინვებს აზერბაიჯანშიც.

### სამეურნეო-ტექნიკოლოგიური დახასიათება

მტევნების გარეგნული შეხედულებისა და ყურძნის გემუ-  
რი თვისებების მიხედვით, იგი ტიპური სასუფრე ყურძნის ჯიშ-  
თა ჯგუფს მიეკუთვნება. მრავალწლიური მონაცემებით თელა-  
ვის პირობებში მტევნის საშუალო წონა 300 გრამს აღწევს.  
მარცვლების საშუალო რაოდენობა მტევნიში 87,5, მტევნის  
შემადგენელი ნაწილებიდან კლერტი — 2,62, კანი — 8,10,  
წიპწა — 2,91, წვენი და რბილობი — 84,30, 100 მარცვლის  
წონა — 364 გრამი, 100 წიპნის წონა — 4,1 გრამი.

მარცვლის მექანიკური თვისებები. თელა-  
ვის პირობებში ჯიში ხასიათდება კარგი ტრანსპორტაბელობით.  
მარცვლის წინააღმდეგობა მოწყვეტაზე 226 გრამია, გა-  
ჰყლეტვაზე — 1914 გრამი. კირვაბადის საცდელ საღვურში  
შესაბამისად 253 და 1700 გრამი. ტაშქენტში შესაბამისად 415  
და 1590 გრამი. ოდესის ინსტიტუტში შესაბამისად 147 და  
164 გრამი.

როგორც ჩანს, მიუხედავად ჯიშის ზრდის სხვადასხვა პი-  
რობებისა, მტევნებისა და მარცვლების მექანიკური თვისებები  
ზე უკელვან კარგია.

კიროვაბადის სასუფრე ხასიათდება შაქრის დაგროვების  
მაღალი უნარით. თელავის პირობებში მისი შაქრიანობა საშუა-  
ლოდ 18,75 პროცენტია. კიროვაბადის საცდელი საღვურის  
პირობებში 18,2, ოდესის ინსტიტუტში შაქრიანობა 18,5 პრო-  
ცენტია, ხოლო მევიანობა 6,7 პრომილე.

### ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება

ეს ჯიში აზერბაიჯანის ადგილობრივი ფართოდ გავრცელე-  
ბული მაღალხარისხოვანი სასუფრე ყურძნის ჯიშია, საქართვე-  
ლოში გვხვდება მევენახეობის ყველა რაიონში, როგორც სა-  
წარმოო ვენახებში, ისე ხეივნების სახით.

ჯიშის დადგებითი თვისებებია: გარეგნული სილამაზე, ჰარ-  
მონიულად შეხამებული გემო, თანაბარი სიღიდის მოქარეის-  
ფრი მსხვილი მარცვლები და მათი ერთდროული მომწიფება.

ჯიშის უარყოფითი თვისებებია: მკვრივი მტევნები და ნეს-  
ტიანი ჰავის პირობებში მარცვლების სიღამპლისკენ მიღრეკი-  
ლება.

კახეთის პირობებში კიროვაბადის სასუფრე, როგორც სამ-  
რეწველო ჯიში, უნდა გავრცელდეს მევენახეობის ყველა  
რაიონში. სახელდობრი: ახალსოფელ-ლაგოდეხის დაბლობ ად-  
გილებში. ყვარლის ქვეზონის შემაღლებულ ადგილებში; ნა-  
ფარეულის ქვეზონის შემაღლებულ ადგილებში; გურჯაან-მუ-  
კუზნის შემაღლებულ ადგილებში; ახმეტის ქვეზონის ფერდო-  
ბებშე და გარე კახეთში — კაკაბეთის ფერდობებშე.

### კახშრი ცხადისშემცველი

ცხენისძუძუ ადგილობრივი მცირედ გავრცელებული სა-  
შუალო სიმწიფის პერიოდის თეთრი სასუფრე ყურძნის ჯიშია.

სკეციალურ ლიტერატურაში სხვა სახელშოდებით არ არის  
ცნობილი.

აყადემიკოს ივ. ჭავახიშვილის გადმოცემით, ცხენისძუძე  
ორნაირი ყოფილა — მწვანე და ყვითელი. ცრუცული  
გათურქებული ქართველი მაპმადიანები ჰქონდათ გად  
ჯიშს თურქული თარგმნით „ატმემისის“ ეძახიან. მისივე გად



კაზური ცხენისძუძე

მოცემით ამ ჯიშს მეორე სახელსაც უწოდებენ — „ხანუმ ბარ-  
მალს“, რაც თურქულად ქალბატონის თითს ნიშნავს.

6. მარის ცნობით ჯიშს ფარმან ხანუმს (ასევე ქალბატონის თითო ნიშნავს), ადგილობრივი მევენახეები კი ცხენისძუძუს უწოდებენ.

გავრცელებულია მცირე რაოდენობით მინარევების სახით, თელავის, გურჯაანისა და სიღნალის რაიონებში ერთეულ ძირებად და მევენახეობის სამეცნიერო დაწესებულებების საკოლეჯით ნაკვეთებში.

### ბოტანიკური აღწერა

ცხენისძუძუს ბოტანიკური აღწერა შესრულებულია შებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევოთი ინსტიტუტის თელავის საცდელი სადგურის საკოლეჯით ნაკვეთში.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა ყ ლ თ რ ტ ი. ახალგაზრდა ყლორტის წევრო, გვირგვინი და ჭერ კიდევ გაუშლელი ორი ფოთოლაკი შებუსულია თექის მსგავსად, ფოთოლაკების ირგვლივ მკვეთრი ვარდისფერი არშია აქვს შემოვლებული.

პირველი და მეორე იარუსის ფოთლებზე შებუსვა კლებულობს, ფოთლის ქვედა მხარე უფრო ინტენსიურადაა შებუსული. მესამე და მეოთხე ფოთლებზე შებუსვა ქრება და იღებს მოყვითალო ოქროსფერს, ქვედა მხრიდან კი თხელი აბლაბულისებრი ბუსუსითაა დაფარული.

ღრეობა შებუსულია სუსტი აბლაბულისებრი ბეწვებით და მწვანეა.

ე რ თ წ ლ ი ა ნ ი რ ქ ა. მისი ერთწლიანი რქები შემოდგომის დასასრულისათვის იღებს მოყვითალო ფერს, რომელსაც გადაჰქრავს მოწითალო იერი.

ფ ი თ თ ლ ი. ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო ზომისაა, სიგრძე 17 სმ, სიგანე 16 სმ. მომრგვალო, გვხვდება მოოვალო ფორმაც. ფოთოლი სამნაკვთიანია, გვხვდება ხუთნაკვთიანიც. ფოთლის ზედაპირი ბალისებრ დანაოჭებულია.

ყუნწის ამონაკვთის ფუძის ფორმა ლია და დახურულია. ლია ჩანგისებრია, მომრგვალებული ან წამახვილებულფუძიანი, დახურული ვიწროა ელიფსისებრი ნასვრეტით.

ზედა ამონაკვთები საშუალო სიღრმისაა, ლია და ჩანგი-

սցընա, Թռմրցալեպուլո գյումօտ և Տարալելուրո ջայրելո-  
նոտ. ովուատագ Արալո յինուոտ ան հանցիսմացարո Շամեաքուուշե-  
լո գյումօտ.

შვედა ამონაკვთები ჩვეულებრივ უფრო ჰქონის სტატუსში გადასცემის შემთხვევაში მაგრავია ან ოდნავ შესამჩნევია.

ფოთლის მთავარი ძარღვები ბოლოვდება მახვილწვერიანი ან გამობერილგვერდებიანი სამკუთხედისებრი ან გუმბათისებრი კბილებით, გვერდითი კბილები კი ხერხისებრია, ცალგვერდ გამობერილი და წამახვილებული წვეროებით.

ფოთლის ქვედა მხარე შებუსულია საშუალო სისქის აბლა-  
ბულისებრი ბეწვებით და ჯავრისებრი ბუსუსით.

ფოთლის ყუნწი მთავარი ძარღვის ტოლი ან ცოტა გრძელია, მწვანეა, წითელ-ღვინისფერი იერით.

ყვავილი ორსქესიანია, მტვრიანა ხუთია, იშვიათად ექვსი და ოთხი. მტვრიანათა ძაფის სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან 1,5—2-მდე აქვს. ბუტკო მომრგვალოა, კარგად გამოხატული შუაზე გაყოფილი დინგით.

მტევანი საშუალო ზომისაა, სიგრძე 17, სიგანე 8 სმ.  
კონუსისებრი ფორმის, საშუალო სიმკვრივის, ან თხელი შეხე-  
ბის, მტევნის ყუნწევი 4-5 სმ სიგრძისაა, ბალახისებრი, მწვარე  
მოწითალო იერით.

მარცვალი საშუალოზე დიდია, სიგრძე 18, სიგანე 14 მმ, ოვალური ან მოგრძო ფორმის, შუაში განიერი, ბოლო მომრგვალებული; მწვანე-მოყვითალო, მზის მხარეზე ყავისფერი ლაქები აქვს. მარცვალი დაფარულია საშუალო სისქის ცვილი-სებრი ფიფქით. თხელი კანი რბილობს ადვილად სცილდება. რბილობი წვნიანია და კნატუნა. გემო სასიამოვნო, მარცვალში 1—3-მდე წიპრაა.

წი 3 წ. საშუალოზე დიდია, სიგრძე 7—8, სიგანე 4—5  
მმ, მსხლისებრი ფორმის, მოყვითალო, მოწითალო იერით, ნის-  
კარტი 1—2 მმ და წაკვეთილი, ქალაძა ოვალურია.

აგრობიოლოგიური დახასიათება

სავეგეტაციო პერიოდის სანგრძლივობა ცალკეული წლების მიხედვით 139-დან 154

ღლემდე მერყეობს, ხოლო აქტიურ ტემპერატურათა 2819,5 გრადუსიდან 3335,4 გრადუსამდე ცვალებადობს.

საილუსტრაციოდ მოყვანილია ჩვენი დაკვირვების მიზნით განვითარებული გადამდებარების შემთხვევა.

ც ს რ ი ლ ი 12

ცხენისძუძუს ფენოლოგიური ფაზები

დაკვირვების დღე	დაკვირვების დღის დასრულებულ თარიღი					
1955	24/IV	5/VI	17/VIII	24/IX	154	3106,8
1956	20/IV	10/VI	15/VIII	20/IX	154	2987,0
1957	18/IV	15/VI	13/VIII	16/IX	152	3080,3
1959	22/IV	8/VI	15/VIII	18/IX	153	2819,5
1960	21/IV	12/VI	18/VIII	20/IX	150	2858,7
საშუალო	21/IV	10/VI	15/VIII	20/IX	152	2596,4

თელავის პირობებში კეირტი გაშლას იწყებს 21 აპრილს, ხოლო სრულ სიმწიფეს — 20 სექტემბერს.

რეის მომწიფების ხარისხის კახური ცხენისძუძუს ერთწლიანი რქები ყურძნის სრული სიმწიფის დროისათვის მთლიანად მომწიფებულია.

ზრდის სიახლიერე. კახური ცხენისძუძუ ჩვენს პირობებში საშუალო ზრდა-განვითარებისაა.

მოსავლიანობა. თელავის საცდელი სადგურის პირობებში ცხენისძუძუ დარგვიდან მეორე-მესამე წელს გვაძლევს მოსავლის პირველ ნიშნებს. სრულ მოსავლიანობაში შედის მეოთხე-მეხუთე წლიდან. ხასიათდება საშუალო მოსავლიანობით. მისი მოსავალი ჰექტარზე გადაანგარიშებით 40,00—92,79 ცენტრერამდე მერყეობს, მსხმოიარობის კოეფიციენტი 0,59—1,25-მდეა, მტევნის საშუალო წონა 140-დან 225 გრამამდე. ძირის მოსავალი 1100-დან 2734 გრამამდე იღწევს. ნაყოფიანი რქები 69,7 პროცენტია. მტევნის საშუალო რაოდენობა ერთ

რქაზე 1,2, მტევნის რაოდენობა ერთ მოსავლიან რქაზე 0,91,  
ერთი რქის ნაყოფიანობა 190 გრამია.

სოკოვან ავადშე ყობათა და მავრეზე სულაზა  
წინააღმდეგ გამძლეობა. კახური ცხენისძუძუ კრა-  
ქისა და ნაცრის მიმართ ხასიათდება საშუალო გამძლეობით,  
აბლაბულიანი ტკიპას მიმართ უკეთეს გამძლეობას იჩენს.

### საშეურნეო-ტექნიკური დახასიათება

მტევნებისა და მარცვლების ლამაზი გარეგნობის, წვნის  
ქიმიური შედეგებისა და ყურძნის გემოს მიხედვით, კახუ-  
რი ცხენისძუძუ მიეკუთვნება ტიპურ სასუფრე ყურძნის ჯიშთა  
ჯგუფს.

თელავის პირობებში მრავალწლიური მონაცემებით მტევ-  
ნის საშუალო წონა 190 გრამია. მტევნაში მარცვლების რაო-  
დენობა 73, მტევნის შემადგენელი ნაწილებიდან კლერტი —  
2,80, კანი — 9,27, წვენი და რბილობი — 85,45, წიპნა — 2,50,  
100 მარცვლის წონა 264 გრამი, ხოლო 100 წიპწის წონა —  
3,8.

შარცვლის მექანიკური თვისებები. ცხენის-  
ძუძუ ხასიათდება კარგი ტრანსპორტაბელობით. ჩვენი მონა-  
ცემებით მარცვლის წინააღმდეგობა გაჭყლების მიმართ სა-  
შუალოდ 820—1000 გრამამდე მეტყეობს, მარცვლის წინააღ-  
მდეგობა მოწყვეტაზე 180—250 გრამამდე.

ყურძნის წვენის ქიმიური შედეგები. კახური ცხენისძუძუ  
ხასიათდება შაქრის დაგროვების მაღალი უნარით. ჩვენს პირობებში მისი შაქრიანობა წლების განმავ-  
ლობაში საშუალოდ 22,74 პროცენტს აღწევს 7,5 პრომილუ-  
მეავიანობის დროს.

### ჯიშის ხაერთო შეფასება და დარაიონება

კახური ცხენისძუძუ სიმწიფის საშუალო პერიოდის მაღალ-  
ხარისხოვანი თეთრი სასუფრე ყურძნის ჯიშია. იძლევა კარგი  
ღირსების სადესერტო ყურძენს.

ჯიში ძირითადად გავრცელებულია აღმოსავლეთ საქარ-

თველოში თელავის, გურჯანისა და სიღნალის რაიონებში/  
ერთეული ძირების სახით, საწარმოო და კოლმეურნეფის/ სიცარის  
მიდამო ვენახებში.

ჯიშის დადებითი თვისებებია: სოფოვან ავადმყოფობათა  
მიმართ შედარებით კარგი გამძლეობა, ლამაზი გარევნობა,  
თანაბარი სიღიღის მწვანე-მოყვითალო მოგრძო მარცვლები  
და საშუალო სიმკვრივის ან თხელი შენების, ჯიში პერსპექტიუ-  
ლია და საჭიროდ მიგვაჩნია მისი გავრცელება კახეთის მევენა-  
ხეობის რაიონებში, სახელდობრ: ყვარლის ქვეზონის ფერ-  
ღობებზე, ნაფარეულის ქვეზონის ფერღობებზე, გურჯან-  
მუკუზნის ქვეზონის შემაღლებულ აღგილებში და თელავ-ახმე-  
ტის დაბლობ აღგილებში.

### ჰაშჩარის მუსამი


იგი უცხოური მაღალხარისხოვანი საშუალო სიმწიფის  
ჯიშია.

ლიტერატურაში ცნობილია შემდეგი სახელშოდებით: საფ-  
რანგეთში — ჰამბურგის მუსკატი, მუსკატ დე ჰამბურგ; ინ-  
გლისში — მუსკატი შავი; ალექსანდრიის; რუმინეთში — ჰამ-  
ბურგი ტამაიოზი ნიაგარა; ბულგარეთში — ჰამბურგის მუს-  
კატი და სხვ.

მ. ცებრის გადმოცემით, ჰამბურგის მუსკატის სამშობლო  
ინგლისია, საღაც ძირითადად სათბურის კულტურად იყო  
მიჩნეული. სათბურში იზრდებოდა საკუთარ ფესვებზე. რუ-  
სეთში, ჰამბურგის მუსკატი პირველად ყირიმის სამხრეთ ნა-  
პირზე გაშენდა.

ავადემიკოს ს. კორეინსკის აზრით, ჰამბურგის მუსკატი მი-  
ლებულია უცნობი ჯიშის წიპრისაგან.

საქართველოში გავრცელებულია მევენახეობის საბჭოთა მე-  
ურნეობაში და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საფო-  
ლექციო ვენახებში (თელავი, საქართველო), ასტრახანის, კრასნოდარის,  
სტავროპოლის, უკრაინისა და მოლდავეთის მხარეში. ფართოდ  
არის გავრცელებული აგრეთვე ინგლისში (ძირითადად რო-  
გორც სათბურის კულტურა), საფრანგეთში, ბელგიაში, რუმი-  
ნეთში, გერმანიაში და სხვ.



ჰაშურგის მუსკატი

ჯიშის ბოტანიკური აღწერა

ბოტანიკური აღწერა შესრულებულია მებალეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თელავის საცდელი სადგურის საკოლექციო ნაკვეთში.

ასალგაზრდა ყლორტი. მოზარდი ყლორტის (15—20 სმ) გვირგვინი შებუსულია და მოთეთროა. ფოთოლაკების ირგვლივ ვარდისფერი არშიაა; კბილანები წითელ-ღვინისფერია. პირველი ფოთოლაკი შებუსულია საშუალო სისქის აბლაბუდისებრი ზოლებით, მომწვანო-მოყვითალოა, ქვედა მხარეზე უფრო ინტენსიურადაა შებუსული, მეორე და მესამე ფო-

თოლზე შებუსვა კლებულობს. ქვედა მხარე ნაცრისფერია სეელი აბლაბულითაა შებუსული, მომდევნო ფოთლებზე შე-  
ბუსვა ქრება და იღებს მუქ მწვანე ფერს. ძარღვების განვითარება  
ჯავრისებრი ბუსუსი აქვს.

ერთ წლიანი რქა. მომწიფებული რქა შემოღვომის ბო-  
ლოს შეფერილია ლია ყავისფრად, მუხლები — უფრო ინტენ-  
სიურად.

ფოთოლი. ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო  
ზომისაა. სიგრძე 19—20, სიგანე 18—19 სმ. ფოთლის ფირფიტა  
მომრგვალოა ან გარდიგარდმო ოვალური. ხუთნაკვთიანია,  
გვხვდება სამნაკვთიანიც, ფოთლის ზედაპირი ტალღისებურია  
ან ბადისებრ დანაოჭებული და მუქი მწვანეა.

ყუნწის ამონაკვთი ლიაა, იშვიათად დახურული, ლია  
ჩანგისებრია და წამახვილებული ფუძე აქვს. დახურუ-  
ლი ვიწრო ელიფსისებრი, იშვიათად შებრუნებულ-კვერ-  
ცხისმაგვარია.

ზედა ამონაკვთები საშუალო სიღრმის ან ლრმაა, გვხვდება  
ლია და დახურული. ლია ჩანგისებრია, მომრგვალო ფუძით ან  
პარალელური გვერდებით, იშვიათად წამახვილებული ფუძით  
ან ჩანგისებრი ვიწრო ნასვრეტით და წამახვილებული ფუძით.

დახურული კვერცხისებრია — წამახვილებული ფუძით,  
იშვიათად ვიწრო ელიფსისებური ნასვრეტით.

ქვედა ამონაკვთები ჩვეულებრივ უფრო პატარებია,  
ლიაა, გარდამავალი კუთხით, იშვიათად ჩანგისებრი, პარალელ-  
ური გვერდებით.

მთავარი ძარღვები ბოლოვდება სწორი სამკუთხელისებრი  
ამობურცული გვერდებით და წამახვილებული წვეროებით.  
გვერდითი კბილები ხერხისებრია და ცალ მხარეზე ამობურ-  
ცული.

ფოთლის ქვედა მხარე ძარღვების განშტოების აღვილას  
შებუსულია სუსტი ჯავრისებრი ბუსუსით.

ფოთლის ყუნწი მთავარ ძარღვზე მოკლეა და შეფერილია  
წითელ-ღვინისფრად.

ყვავილი ორსქესიანია. ხუთი-ექვსი, იშვიათად შვიდი  
მტვრიანა აქვს. მტვრიანათა ძაფის სიგრძის შეფარდება ბუტ-

კოს სიმაღლესთან 1,25—2-მდეა. ნასკვი კოლისებრია, დონგი  
შეხვილი დისკოსებრი.

შტევანი საშუალო ან საშუალოზე მსხვილია მოფრიდ  
15—18, სიგანე 8—12 სმ. კონუსისებრი ან ცილინდრული უკუმცუ-  
სისებრი ფორმის, დატოტვილი, ფრთიანი, თხელი ან საშუალო  
სიმკვრივის, მტევნის ყუნწი 2—4 სმ, ბალახისებრი, მწვანე მო-  
წითალო იერით, კლერტი მწვანეა.

შარცვალი სხვადასხვა ზომისაა. მსხვილი მარცვლის  
სიგრძე 18—25 მმ-მდეა, სიგანე 11—12 მმ, მრგვალი ან ოვა-  
ლურია, ლურჯი იისფერი შეფერვის, უხვად დაფენილი სანთ-  
ლისებრი ფიფქით. ჩბილობი ხორციანი და კნატუნაა, საკმაოდ  
წენიანი, ძლიერი მუსკატური არომატით. წვენი უფერულია,  
კანი აღვილად სცილდება ჩბილობს, მარცვალში 1—4-მდე წიპ-  
ჭაა.

წიპჭა მსხვილია, სიგრძე 7, სიგანე 4 მმ. მომრგვალო ან  
ოვალური ფორმის, ღია ყავისფერი შეფერვის, ქალაძა მომრ-  
გვალოა; ღარტაფი კარგად გამოსახული, ნისკარტი 2 მმ სიგრ-  
ძის, კონუსისებრი ფორმის, მოკეეთილი ან წაწვეტებული წვი-  
როთი.

### აგრობიოლოგიური დახასიათება

სავეგეტაციო პერიოდი ცალკეული წლების მეტეოროლო-  
გიური პირობების შესაბამისად მერყეობს 143—163 დღემ-  
დე. ამის შესაბამისად იცვლება ქერიურ ტემპერატურათა ჯა-  
მიც — 2822,7 გრადუსიდან 3312,7 გრადუსამდე.

ცალკეული ფაზების ცვალებადობის ნათელსაყოფად მოგ-  
ვყავს ჰამბურგის სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული  
ფაზები.

როგორც ვხედავთ. ჯიში კვირტის გაშლას საშუალოდ 24  
აპრილიდან იწყებს და სრულ სიმწიფეში სექტემბრის მეორე  
დეკადიდან შედის.

ცებრის ცნობით, უკრაინის პირობებში ჯიში კვირტის გაშ-  
ლას იწყებს მაისიდან, ყვავილობას — 13 ივნისიდან, სიმწი-  
ფის დასაწყისია 18 აგვისტო, ტექნიკურ სიმწიფეში შედის 4  
ოქტომბერს, სავეგეტაციო პერიოდი უდრის 156 დღეს,  
3040,5 გრადუსი ტემპერატურის ჯამით.

## ჰამბურგის მუსკატის ფენოლოგიური ფაზები

დაკარგების დაფარვა	კერძო დაცვის დასახელება	ცვალების დამატების დამატების დასახელება	სიმძიმესი დასახელება	სტერილუ სიმძიმე	ღრუთ დაცვები	ცხრილი დაცვის დამატების ჯამი
1955	29/IV	8/VI	8/VIII	16/IX	147	3054,8
1956	26/IV	17/VI	28/VIII	25/IX	153	3050,5
1957	19/IV	30/VI	10/VIII	20/IX	155	3163,6
1959	24/IV	10/VI	25/VIII	25/IX	155	3001,5
1960	25/IV	15/VI	20/VIII	27/IX	156	3172,6
საშუალო	24/IV	10/VI	18/VIII	22/IX	155	3088,6

რქის მომწიფების ხარისხი ჰამბურგის მუსკატის ერთწლიანი რქები შემოღვევის ბოლოს თელავის პირობებში თავისუფლად ასწრებს მომწიფებას. კარგად მწიფდება გურჯანის რაიონში, უკრაინისა და მოლდავეთის რესპუბლიკაში. ცებრის ცნობით, ხელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში რქა კარგად მწიფდება.

ზრდის სიძლიერე. ჰამბურგის მუსკატი თელავის პირობებში ხასიათდება საშუალო ზრდა-განვითარებით.

მოსაცლიანობა. ჯიში თელავის პირობებში დარგვიდან მეორე-მესამე წელს იძლევა მოსავლის პირველ ნიშნებს. სრულ მოსავლიანობაში შედის მეოთხე-მეხუთე წლიდან. ჯიში ხასიათდება საშუალო მოსავლიანობით, ჰექტარზე 53,66—65,00 კ ალწევს. მსხმოიარობის კოეფიციენტი 0,87—1,20-მდე, მტევნის საშუალო წონა 175 გრამი. ძირის მოსავალი — 1610-დან 2400 გრამამდეა. პ. ბოლგარევის ცნობით, ჯიში ურწყავ პირობებში ჰექტარზე იძლევა 10—12, სარწყავ პირობებში — 16—17 ტონა ყურძენს. ნაყოფიანი რქები 87,8 პროცენტია, ერთ მოსავლიან რქაზე 1,3 მტევნების საშუალო რაოდენობა ერთ რქაზე 0,96, ერთი რქის ნაყოფიანობა 183 გრამია, ვოლგოგრადის პირობებში ნაყოფიანი რქები 78,7 პროცენტია. მტევნების რაოდენობა ერთ მოსავლიან რქაზე 1,3,

უვავილცვენა და წვრილმარცვანის მცირებულება მცირე  
უვავილცვენით. ჩვენი დაკვირვებით, უვავილცვენა 27—35  
პროცენტიმდე მერყეობს, ჯიშს ახასიათებს წვრილმარცვლია-  
ნობა და არათანაბარი მომწიფება.

შავნებლებისა და სოკოვანავალმყოფება ათა მიმართ გამძლეობა. თელავის პირობებში ჰამბურ-  
გის მუსკატი ჭრაქისა და ნაცრის მიმართ საკმაო გამძლეობით  
ხასიათდება. აბლაბუდიანი ტკიპას მიმართ საშუალოდ გამ-  
ძლეა.

მოლდავეთში საკმაოდ გამძლეა ჭრაქის მიმართ, ხოლო  
უკრაინაში მეტად ზიანდება ჭრაქით და ნაცრით.

### აგროტექნიკური თავისებურებანი

ჰამბურგის მუსკატი მოითხოვს მოკლე გასხვლას. შეა-  
ახიაში კარგ შედეგს იძლევა მარაოს წესით ფორმირება, თე-  
ლავის პირობებში — ორმხრივი, შპალერული წესით ვასხვლა-  
ჯიში სითბოს მოყვარულია. ვერ ეგუება ტენიან ნიადაგს. აღვი-  
ლად უჩნდება ფესვის სიდამპლე.

კარგ ეფექტს იძლევა ხელოვნური დამტვერვა.

### სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება

ყურძნის მექანიკური შედგენილობისა და სხვა თვისებების  
მიხედვით, ჰამბურგის მუსკატი მიეკუთვნება სასუფრე-სალვინე  
ჯიშთა ჯგუფს. მრავალწლიური ანალიზების საფუძველზე მისი  
მტევნის საშუალო წონა 205 გრამია. მტევანში მარცვლების  
საშუალო რაოდენობა 84 %, მტევნის შემადგენელი ნაწილები-  
დან კლერტი 2,32, კანი 9,60, წვენი და რბილობი 88,35, წიპწი  
2,27 %, 100 მარცვლის წონა 315 გრამია, 100 წიპწის წონა  
4,52 გრამი.

მარცვლის მექანიკური თვისებები. თელავის  
პირობებში ხასიათდება კარგი ტრანსპორტაბელობით. ჩვენ

მიერ ჩატარებული ცდებით წინააღმდევობა გაჰყალებაზე  
650—1200 გრამამდე მერყეობს. წინააღმდევობა მოწყვეტილი  
ზე — 152-დან 220 გრამამდე.

ყურძნის წვნის კიმიური შედგენილობა.  
ჰამბურგის მუსკატი ხასიათდება შაქრის დაგროვების მაღალი  
უნარით. თელავის პირობებში მისი შაქრიანობა 18,35—  
21,38%-ის ფარგლებშია, მეავიანობა 4-დან 6,5 პრომილემდე.  
უკრაინაში მისი შაქრიანობა 15,2-დან 22,4 პროცენტამდე მერ-  
ყეობს.

### ჭიშის საერთო შეფასება და დარაიონება

ჰამბურგის მუსკატი მაღალხარისხოვანი სტანდარტული  
შავყურძნიანი საშუალო სიმწიფის, მუსკატური გემოს სასუფ-  
რე ყურძნის ჭიშია. სათბურის კულტურისათვის საუკეთესო ჭი-  
შალაა მიჩნეული, ახასიათებს წვრილმარცვლიანობა, მაგრამ  
სელექციის წარმოებით ეს ნაკლი შეიძლება გამოსწორდეს. მა-  
ღალი თვისებების გამო საჭიროდ მიგვაჩნია მისი გავრცელება  
კახეთის მევენახეობის რაიონებში, სახელდობრ: ახალსოფელ-  
ლაგოდებისა და ყვარლის ქვეზონის დაბლობ იდგილებში,  
ნაფარეულის, გურჯაან-მუკუზნის, შრომა-წინანდლის და თე-  
ლავ-ახმეტის ქვეზონის ფერდობებზე.

### ლაზი დაუნი სიღლიერი

ჭიში უცხოური წარმოშობის მსხვილმარცვლიანი შავი სა-  
სუფრე ჭიშია.

ლიტერატურაში სხვა სახელწოდებით არ არის ცნობილი.  
ლედი დაუნი სიღლინგი ინგლისური წარმოშობისაა, ფართოდ  
არის გავრცელებული ლამანშის სათბურში და ჩრდილო საფ-  
რანგეთში. საბჭოთა კავშირში წმინდა ნარგავების სახით იგი არ  
გვხვდება. მცირე რაოდენობითაა სამეცნიერო დაწესებულე-  
ბების საკოლეჯციო ნაკვეთებში: დილომში, თელავში, გვევდე-  
ბა გურჯაანის რაიონის მუკუზნის საბჭოთა მეურნეობის ჩუმ-  
ლაყის აგროუბანში.

ბოტანიკური ალტერა ჩატარებულია მებალეპიშვილის მუმქინობისა და მელვინეობის ინსტიტუტის თელავის საცდელი საღურის საკოლექციო ნაკვეთში.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა ყ ლ ო რ ტ ი. მოზარდი ყლორტის წვერო (15—20 სმ) გვირგვინით შებუსულია მოთეთრო-მონაც-



ლელი დაუნი სიდლინგ

რისფერო საშუალო სისქის აბლაბუდით და მონაცრისფერო  
მოყვითალო იერი აქვს, ირგვლივ ვარდისფერი არშიით, შეორენ-  
ფოთოლზე შებუსვა მცირდება. ფოთლის ქვედა მხარეზე მცირდება  
ინტენსიურადაა შებუსული, კბილანები ვარდისფრად აქვს  
შეფერილი. მესამე და მეოთხე ფოთოლი შებუსულია სუსტი  
აბლაბუდით, მოყვითალო-მომწვანოა და გადაპერავს მოწითა-  
ლო იერი. ქვედა მხარე საშუალო სისქის აბლაბუდითაა შებუ-  
სული.

ლერო მწვანეა წითელი ზოლების გაყოლებით და შეუბუ-  
სავია.

ერთწლიანი რქა შემოდგომის დასასრულისათვის  
მოყვითალოა და გადაპერავს მოწითალო იერი.

ფოთოლი. ზრდადამთავრებული ფოთლები ღიღი ზო-  
მისაა, სიგრძე 20, სიგანე 21 სმ. მომრგვალო ფორმისაა, ხუთ-  
ნაკვთიანი, იშვიათად სამნაკვთიანიც, ფოთლის ზედა-  
პირი წვრილბუშტუკოვანია და ოდნავ ლარისებრი ან სწო-  
რია.

ყუნწის ამონაკვთი ლიაა, ბრტყელი ფუძით და ცალ მხა-  
რეზე ერთი დეზით. ან ჩანგისებრი ფორმისაა წამახვილებული  
ფუძით.

ზედა ამონაკვთი დახურულია, კვერცხისებრი და მომზ-  
გვალებული ფუძე აქვს.

ქვედა ამონაკვთი ლიაა, პატარა და ჩანგისებრი ფორმია,  
მომრგვალებული ფუძითა და პარალელური გვერდებით.

ფოთლის მთავარი ძარღვები ბოლოვდება სამკუთხედისებრი  
წამახვილებული წვეროებით. გვერდითი კბილები კი ხერხისე-  
ბრი აქვს. ფოთლის ქვედა მხარე შებუსულია სქელი აბლაბუ-  
დით და ძარღვების გასწვრივ ჯაგარი გასდევს. ფოთლის ყუნწი  
მთავარი ძარღვის ტოლი ან ოდნავ მოკლეა და შეფერილია  
მწვანედ.

ყვავილი ორსქესიანია, მტვრიანები სწორმდგომია,  
მტვრიანათა ძაფის სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმაღლეს-  
თან 1,1—1,25, ბუტკო ბურთისებრი ფორმისაა და წახნაგო-  
ვანი.

მტევანი საშუალო და საშუალოზე ღიდია. სიგრძე  
15—25, სიგანე 12—15 სმ. ცილინდრულ-კონუსისებრი ფორ-

მის, გვხვდება კონუსისებრიც, საშუალო სიმკვრივით ან უძველესის. მტევნის ყუნწი 3—4 სმ სიგრძისაა და ბაზურებულებულია, ფუძესთან მიმაგრების ადგილას გახევებულია. გიგანტუროვანი

მარცვალი მსხვილია, სიგრძით 22 და სიგანით 24 მმ. ყველაზე მსხვილი მარცვლისა კი 25 მმ და 26 მმ, ბრტყელი ან მომრგვალო ფორმის, მუქი ლურჯი შეფერვის, უხვად დაფარული სანთლისებრი ფიფქით, კანი სქელია, უხვი, რბილობი ხორციანი, საკმაოდ მკვრივი, წვნიანი, კანი რბილობს ძნელად სცილდება, მარცვალში 1—4-მდე წიპწაა.

წიპწა დიდი ზომისაა, სიგრძე 8, სიგანე 4 მმ. მსხლისებრი ფორმის, ყავისფერი შეფერვის. ნისკარტი 2 მმ — ოდნავ წაგრძელებული ბლაგვი წვეროთი, ქალაძა ოვალური ან მრგვალია და წიპწის ქვედა ნაწილშია მოთავსებული. ღარტაფი ქალაძიდან ნისკარტამდე კარგადაა გამოსახული.

### ჯიშის აგრობიოლოგიური დახასიათება

სავეგეტაციო პერიოდი პერიოდი მეტეოროლოგიური პირობების შესაბამისად მერყეობს 149—170 დღემდე. ცვალებადია აქტიურ ტემპერატურათა ჭამიც — 2985,5 გრადუსიდან 3357,6 გრადუსამდე. ცალკეული ფაზების საილუსტრაციოდ მოტანილია ცნობები სავეგეტაციო ფაზებზე (იხ. ცხრილი 14).

თელავის პირობებში კვირტის გაშლა იწყება 22 აპრილს. ხოლო სრული სიმწიფე — სექტემბრის ბოლოს ან ოქტომბრის პირველ რიცხვებში.

შედარებისათვის მოგვყავს მევენახეობა-მელვინეობის სამეცნიერო-კელევითი ინსტიტუტის „მაგარაჩის“ დაკვირვების მონაცემები მისი ფენოლოგიური ფაზების მსვლელობის შესახებ. კვირტის გაშლას იწყებს 28 აპრილს, ყვავილობას — 14 ივნისს, სიმწიფეს — 14 აგვისტოს და ტექნიკურ სიმწიფეს — 20 სექტემბერს.

რქის მომწიფების ხარისხი თელავის პირობებში ლედი დაუნს სიდლინგის ერთწლიანი რქები ყურძნის სრულ სიმწიფეში თავისუფლად ასწრებს მომწიფებას და საკმაოდ გახევებული ხვდება ზამთრის პირობებს. 11 ოქტომბრისათვის

ლელი დაუნს სიდლინგის ფენოლოგიური ფაზები თრიანული გამოყოფილება

დაკვირვების წლები	კვირტის გაშლის დასაწყისი	ყვავილობის დასაწყისი	სიმწიფეის დასაწყისი	სრული სიმწიფე	დღეთი რიცხვი	ძვრის ტემპერატურა გამი
1955	24/IV	5/VI	15/VIII	21/IX	155	3077,7
1955	24/IV	13/VI	27/VIII	10/X	170	3168,1
1957	18/IV	28/V	10/VIII	10/X	146	3357,6
1959	25/IV	31/V	11/VIII	25/IX	151	2983,5
1960	21/IV	10/VI	28/VIII	4/X	167	3234,0
საშუალო	22/IV	5/VI	18/VII	1/X	158	3169,7

ჭიში მთლიანად მომწიფებული იყო, იალტის „მაგარაჩის“ პირობებში ლელი დაუნს სიდლინგის ერთწლიანი რქები 24 ოქტომბერს ამთავრებს მომწიფებას. ხასიათდება ძლიერი ზრდა-განვითარებით. თელავის პირობებში მისი ერთწლიანი რქები 3 მეტრი მდე აღწევს.

მოსავლი 260 ბ. ლელი დაუნს სიდლინგი თელავის პირობებში დარგვიდან მეორე-მესამე წლიდან იძლევა მოსავლის პირველ ნიშნებს, მეოთხე-მეხუთე წლიდან სრულ მოსავლიანობაში შედის.

ჭიში ხასიათდება მაღალმოსავლიანობით. ჰექტარზე გადა-ანგარიშებით 135,58—178,7 ცენტნერამდეა. მსხმოიარობის კოეფიციენტი 1,5—2-მდე აღწევს. მტევნის საშუალო წონა 261-დან 360 გრამამდეა. ცალკეული კარგად განვითარებული მტევნები კი 530 გრამს და მეტსაც აღწევს. ძირის მოსავალი 2450-დან 5363 გრამამდე მერყეობს. მოგვყავს თელავის საცდელ სადგურში წარმოებული დაკვირვების შედეგები მის ნაყოფიანობაზე, აგრეთვე „მაგარაჩის“ ცნობები.

თელავის პირობებში ნაყოფიანი რქები 87,1 პროცენტია, ერთ ნაყოფიან რქეზე 1,5 მტევნია.

მტევნის საშუალო წონა 212 გრამი. ერთი რქის ნაყოფიანობა 290 გრამი.

იალტის „მაგარაჩის“ პირობებში მოსავლიანობის კუფი-  
ციენტი 1,4, ძირის მოსავალი 5002,4, მტევნის საშუალება 338, მტევნების რაოდენობა 14,8.

ყვავილცვენა და წვრილ მარცვლიანობა.  
ჩვენი დაკვირვებებით თელავის პირობებში მარცვლის გამო-  
ნასკვა მეტყველებს 35—75 პროცენტამდე. წვრილ მარცვლიანობა  
არ ახსიათებს, მაგრამ ზოგიერთ წლებში ეს თვისება მცირე  
რაოდენობით თითო-ოროლა მარცვლის სახით იჩენს თავს.

სოკოვან ავადმყოფობათა და მავნებელთა  
მიმართ გამძლეობა. ლედი დაუნს სიდლინგი თელავის  
პირობებში სხვა ჯიშებთან შედარებით კარგად უძლებს ჭრაქსა  
და ნაცარს. გამძლეა აბლაბულიანი ტკიპას მიმართაც.

### სამეურნეო-ტექნიკოგიური დახასიათება

მტევნებისა და მარცვლების მეტად ლამაზი გარეგნობითა  
და შაქრიანობა-მეუვიანობის ჰარმონიული შეთანწყობით მიე-  
კუთვნება ტიპურ სასუფრე ყურძნის ჯიშთა ჯგუფს.

ამის ნათელსაყოფად მოგვყავს მისი მექანიკური ანალიზის  
მრავალწლიური საშუალო. მტევნის საშუალო წონა 391 გრა-  
მია, მარცვლების საშუალო რაოდენობა მტევანში 54, მტევნის  
შემაღენელი ნაწილები პროცენტობით: კლერტი 2,96, კანი  
9,94, წვენი და რბილობი 84,57, წიპჭა 2,53, 100 მარცვლის  
წონა 683, 100 წიპჭის წონა 5,5 გრამი.

მარცვლის მექანიკური თვისებები. ლედი  
დაუნს სიდლინგი არ ჩამოუვარდება მეტად ტრანსპორტაბე-  
ლურ სასუფრე ყურძნის ჯიშებს. თელავის პირობებში მარც-  
ვლის წინააღმდეგობა გაცყლეტის მიმართ მეტყველებს 770-დან  
1413 გრამამდე. საშუალოდ 1063 გრამია, ხოლო მოწყვეტის  
მიმართ 120-დან 200 გრამამდე.

ყურძნის წვნის ჯიმიური შედგენილობა.  
ჯიში ხასიათდება შაქრის დაგროვების საქმაო უნარით. თელა-  
ვის პირობებში მისი შაქრიანობა 15-დან 18 პროცენტამდე  
მეტყველებს, ხოლო მეუვიანობა 4,0—5,4 პრომილემდე.



ლედი დაუნს სიდლინგი უცხოური მცირედ გავრცელებული და საშუალო საგვიანო სიმწიფის პერიოდის შავი მსწერლმან-ცვლიანი მაღალხარისხოვანი სასუფრე ყურძნის ჭიშია. იძლევა საუკეთესო ღირსების სადესერტო ყურძნებს.

საბჭოთა კავშირში მცირედაა გავრცელებული, საქართველოში გვედება სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საკოლეჯით ნაკვეთებში. მცირე რაოდენობით — გურჯაანის რაიონის მუქუშნის მეურნეობის ჩუმლაყის აგროუბანში, წმინდა ნარგავების სახით გავრცელებულია ინგლისა და საფრანგეთში.

ჭიშის დადებითი თვისებებია: სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ შედარებით გამძლეობა, მტევნის ლამაზი გარეგნობა და მაღალი მოსაცლიანობა. იგი საუკეთესო ჭიშადაა მიჩნეული სათბურის კულტურისათვის. გამოიყენება ყურძნად ახალ სახეში, მურაბებისა და კომპოტების დასამზადებლად.

როგორც მაღალხარისხოვანი და მოსაცლიანი, კარგი ღირსების სადესერტო ყურძნის მომცემი ჭიში, საჭიროდ მიგვაჩნია მისი გავრცელება კახეთის მევენახეობის რაიონებში, სახელდობრ: ახალსოფელ-ლაგოდეხის ქვეზონის ფერდობებშე, ყვარლის ქვეზონის ფერდობებშე, ნაფარეულის ქვეზონის დაბლობ, შრომა-წინანდლის ქვეზონის ფერდობებშე და გარე კახეთის კაჭრეთ-კაკაბეთის ფერდობ ადგილებში.

### კარაბურუ

კარაბურნუ მაღალხარისხოვანი, ტრანსპორტაბელური, მსხვილ-მარცვლიანი საგვიანო სიმწიფის პერიოდის თეთრი სასუფრე ყურძნის ჭიშია. ლიტერატურაში ცნობილია შემდეგი სახელწილებით: უკარინაში — დატედე ბეირუტ, ალეპო, ზაქარპატის მხარეში — შასლა, ზიმუშეა და აფუზალი, რუმინეთში — როზაკი, ალეპო, საბერძნეთში — როზაკი, იტალიაში — რეჭინა, რეჭინა თეთრი, ბულგარეთში — ბოლგარ, აფუზ ალი, ცარგარადის ყურძნენი და სხვ. ცებრის გადმოცემით, კარაბურ-

ნუს აქვს ბევრი ვარიაციები და კლონები, რომელიც გვაწვება  
შესწავლილი არ არის.

ჯიშის ისტორია. მ. ცებრი იმოწმებს უჩიპლუტიშვილის  
წერს, რომ როზაკი კარაბურნუ წარმოშობით თურქეთშია  
შია. პროფ. პ. ეუკოვსკი თურქეთში სამრეწველო ჯიშებად  
თვლის ქიშმიშს და სულთანს, როზაკი კარაბურნუ და სხვები  
წარმოდგება შუა აზიიდან. გ. ბარბერონი, ვ. სკორბიშვილი,



კარაბურნუ.

ვ. მარაკუევი და სხვები აღნიშნავენ, კარაბურნუს სამშობლა  
არის შავი ქონცხი, რაც მათ ენაზე ნიშნავს კარაბურნუს. —  
ხელშოდებაც წარმოდგება ამ სიტყვიდან, უნდა ვიტყვერთხავა  
რომ კარაბურნუ მცირე აზიაში მოხედა შუა აზიიდან. მუწესებულება  
რო დამაჯერებელია, რადგან ზოგიერთი ნიშანი — შიველი  
ფოთოლი, მსხვილი მტევნები და მარცვლები, ხორციანი  
რბილობი და სხვა მეტად ახლოს დგას შუა აზიის წარმოშობის  
სუფრის ჭიშებთან, მეოცე საუკუნის დასწყისში კარაბურნუმ,  
როგორც სუფრის ჭიშმა, ფართო გავრცელება პოვა ბესარა-  
ბიასა და უკრაინის ოლქებში.

საქართველოში გაერცელებულია მცირე რაოდენობით —  
თელავის, გურჯაანისა და სიღნაღის რაიონებში. დარგულია  
მუკუზნის მეურნეობის ჩუმლაყის ავროუბანში.

### ჭიშის ბოტანიკური აღწერა

კარაბურნუს ბოტანიკური აღწერა ჩატარებულია მებალე-  
ობის, მევენახეობისა და მელვინეობის სამეცნიერო-კვლევითი  
ინსტიტუტის თელავის საცდელი სადგურის საკოლექციო ვე-  
ნახში.

ახალგაზრდა ყლორტი. ახალგაზრდა ნაზარდის  
(15—25 სმ) ყლორტის წვერო შებუსულია თხელი აბლა-  
ბუდისებრი ბეწვებით და წითელ-ლვინისფერია. პირველი  
ფოთოლი შებუსულია სუსტი აბლაბუდით, მომწვანოა და  
დაპყრის წითელ-ლვინისფერი იერი, მეორე ფოთოლი შე-  
უბუსავი აქვს, მწვანე-ბრინჯაოსფერი იერით და ბზინვარებს.  
ქვედა მხარეზე ძარღვების გასწვრივ შესამჩნევია ჭავრისებრი  
ბუსუსი. მესამე და მეოთხე ფოთოლი მწვანეა.

ერთწლიანი რქა. ერთწლიანი რქა მოყვითალო-ყავის-  
ფერია. ფოთლები უფრო ინტენსიურად აქვს შეფერილი.

ფოთოლი. ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო  
ზომისაა, სიგრძე 17, სიგანე 18 სმ. ფოთლის ფირფიტა მომრ-  
გვალო და ძაბრისებრია, ხუთნაკვეთიანი. გვხედება სამნაკვეთი-  
ანიც. ფოთლის ზედაპირი ბადისებრ დანაოჭებულია.

ყუნწის ამონაკვთი ლია და დახურულია. ლია-კამაროვანი  
წამახვილებული ფუძით, ხშირად ლირისებრი წამახვილებული  
ძირით ან ელიფსისებრი ერთმანეთზე გადადებული ფრთებით.

ზედა ამონაკვთები საშუალო სიღრმისაა. გვხვდება ლია  
და დახურული. ლია ჩანგისებრი ფორმისაა და წამახვილებუ-  
ლი ძირი აქვს. დახურულს — კვერცხისებრი ან უმოწვევებუ-  
ლი წამახვილებული ფუძე.

ქვედა ამონაკვთები ლია, ჩვეულებრივ უფრო პატარები  
და გარდამავალი კუთხის მსგავსია. ფოთლის მთავარი ძარღვე-  
ბი ბოლოვდება მსხვილი სამკუთხედისებრი ამობურცული  
გვერდებით და წამახვილებული წვეროთი. გვერდითი კბილე-  
ბი ხერხისებრია, ამობურცული გვერდებით და წამახვილებუ-  
ლი წვეროთი ან ცალმხრივ ამობურცული.

ფოთლის ქვედა მხარე შიშველია, მხოლოდ ძარღვების გას-  
წვრივ განშტოების ადგილას გვხვდება სუსტი ჯაგრისებრი  
ბუსუსი.

ფოთლის ყუნწი მთავარ ძარღვზე მოკლეა, იშვიათად მისი  
ტოლია და შეფერილია მწვანედ. ყუნწის მიმაგრების ადგი-  
ლას წითელ-ღვინისფერია.

ყვავილი ორსქესიანია, ნორმალური აგებულების,  
მტვრიანა ხუთი ან ექვსია, იშვიათად ოთხი. მტვრიანათა  
ძაფის სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან 1,25—1,5-  
მდეა. ბუტკო დანაოჭებულია, ცილინდრისებრი, დინგი დის-  
კოსებრია.

მტევანი მსხვილია, სიგრძე 25, სიგანე 13 სმ, კონუსი-  
სებრი, დატოტვილი, მხრიანი. თხელი შენების, მტევნის ყუნ-  
წი 4 სმ სიგრძის, ბალახისებრი და მწვანეა.

მარცვალი მსხვილია, სიგრძე 20, სიგანე 16 მმ. წაგრ-  
ძელებული, კვერცხისებრი და მომრვალებული წვეროთი.  
მწვანე-მოყვითალო, სრულ სიმწიფეში — მოყვითალო-ოქ-  
როსფერი. მარცვალი დაფარულია სუსტი სანთლისებრი ფიფ-  
ჭით, საშუალო სიმკვრივის, კანი რბილობს ძნელად სცილდება.  
რბილობი ხორციანია, ნაკლებწვნიანი და კნატუნა. მარცვალ-  
ში 2—3-მდე წიპწაა.

წიპწა საშუალო ზომისაა, სიგრძე 6—5, სიგანე 4 მმ.  
მსხლისებრი ფორმის, ყავისფერი შეფერების, ქალაძა ოვალუ-  
რი. ლარტაფი ქალაძიდან ნისკარტამდე კარგადაა გამოხატული.  
ნისკარტი მოკლეა, ცილინდრისებრი ან კონუსისებრი ფორმის  
და ბლაგვი წვეროთი.

სავეგეტაციო პერიოდი ცალკეული წლების შეტეოროლოგიური პირობების შესაბამისად 147-დან 178 დღემდე შეჩერებას, ცვალებადობს აქტიურ ტემპერატურათა გამიც — 3001,5 გრადუსიდან 3426,1 გრადუსამდე. მოგვყავს თელავის პირობებში მისი ცალკეული ფაზების მსვლელობა.

Geog. 15

კარაპურნუს ფენოლოგიური ფაზების მსვლელობა

භාෂාගෝනීය තුළ	ප්‍රේරණික ගාලුවන් දෙපාර්තමේන්තු	පට්ටපාලනයේ ප්‍රාග්ධනය	නොදු ඇලුස් දාස රුහුණිය	නොදු නොදු	ඡ්‍යුනිචරු උග්‍ර ප්‍රාග්ධනය නැවත	දැනුව නොදු
1955	23/IV	10/VI	18/VIII	29/X	3162,0	160
1956	18/IV	31/VI	7/VIII	2/X	3320,1	168
1957	23/IV	11/VI	19/VIII	5/X	315,3	166
1959	23/IV	12/VI	19/VIII	5/X	315,3	166
1960	25/IV	16/VI	16/VIII	28/X	3001,5	157
සාමුහ්‍ය	22/IV	16/VI	16/VIII	2/X	3242,8	168

როგორც ცხრილიდან ჩანს, კვირტის გაშლას იწყებს 22 აპრილს, ხოლო ტექნიკურ სიმწიფეს — სექტემბრის ბოლოს ან ოქტომბრის პირველ რიცხვებში.

რქის მომწიფების ხარისხი თელავის პირობებში კარაბურნუს ერთწლიანი რქები ყურძნის სრულ სიმწიფეში თავისუფლად ასწრებს მომწიფებას და ზამთრის ყინვებს განეცებული ხედება. მ. ცებრის გადმოცემით მოლდავეთისა და უკრაინის პირობებში რქა შემოსვლას იწყებს აგვისტოს პირველ დეკადაში, ყინიმის ჩრდილო ნაპირზე იგი სიმწიფეს ამთავრებს სექტემბრის ბოლოს ან ოქტომბრის დასაწყისში, უკრაინაში პირველ ნოემბრისათვის 80%-მდე მომწიფებული.

ზრდის სიძლიერე. კარაბურნუ ხასიათდება ძლიერი



ზრდა-განვითარებით. თელავის პირობებში იგი ძლიერდება და საა. მისი ერთწლიანი რქები 3 მეტრამდე აღწევს. პირობებში იგი ძლიერდება და სავლიანობა აღწევს. პირობებში კარაბურნუ დარგვიდან მეორე-მესამე წლებს იძლევა მოსავლის პირველ ნიშნებს. მეოთხე-მეხუთე წლიდან სრულმოსავლიანია. ჯიში ხასიათდება კარგი მოსავლინობით, ჰექტარზე 58,88 ცენტნერიდან 93,32 ცენტნერამდე მერყეობს, მსხმოიარობის კოეფიციენტი 0,56—1,3, მტევნის საშუალო წონა 336 გრამია, ძირის მოსავალი 1766-დან 2900 გრამამდე. უკრაინის პირობებში ორმხრივი ფორმირების დროს იგი იძლევა მაღალ მოსავალს—7,4—17,2 ტონას ჰექტარზე.

მოლდავეთის პირობებში ჯამისებრი ფორმირების დროს იძლევა სარეკორდო მოსავალს — 30 ტონას ჰექტარზე.

თელავის პირობებში მისი ნაყოფიანი რქების პროცენტი 70,5, მტევნების რაოდენობა ერთ მოსავლიან რქაზე 1,15, მტევნების საშუალო რაოდენობა ერთ რქაზე 0,79, ერთი რქის ნაყოფიანობა 255 გრამია.

შედარებისათვის მოგვყავს მ. ცებრის, ოდესის, კიშინიოვის, იალტის მებალეობის, მევენახეობისა და მელვინეობის ინსტიტუტების დაკვირვების მონაცემები კარაბურნუს ნაყოფიანობის შესახებ. ოდესის ინსტიტუტის მონაცემებით ნაყოფიანი რქების პროცენტი უდრის 32,7, მტევნების რაოდენობა ერთ მოსავლიან რქაზე 1,22, მტევნების რაოდენობა ერთ რქაზე 0,4, მტევნის საშუალო წონა 371 გრამი, ერთი რქის ნაყოფიანობა 453 გრამი. მოლდავეთის ინსტიტუტის ცნობით — ნაყოფიანი რქების პროცენტი 38,9, მტევნების რაოდენობა ერთ მოსავლიან რქაზე 1,28, მტევნების საშუალო რიცხვი ერთ რქაზე 0,4, მტევნის საშუალო წონა 332 გრამია. ერთი რქის ნაყოფიანობა უდრის 388 გრამს.

ყვავილცვენა და წვრილმარცვლიანობა. მოსავლიანობაზე დიდ გავლენას ახდენს დაყვავილების ხარისხი, რაზეც დიდი მნიშვნელობა აქვს წლის მეტეოროლოგიურ პირობებს. ჩვენი დაკვირვებით კარაბურნუს გამონასკვის ხარისხი იზოლატორებში საშუალოდ 23,0 პროცენტს შეადგენს, ხოლო ბუნებრივ პირობებში 23, ე. ი. იძულებით და თავისუფალ პირობებში თანაბარია.

სოკოვან ავადმყოფობათა და მავნებელ-  
თა მიმართ გამძლეობა. კარაბურნუ ჭრაქის მიმართ  
მეტანობიარეა. ნაცრის მიმართ კარგია, აბლაბუღიანი ტკიპას  
მიმართ საშუალოა.

აგროტექნიკის თავისებურებანი

კარაბურნუ მძლავრი ზრდის გამო საჭიროებს გრძელ სხელას. ჯიში სითბოს მოყვარულია და მოითხოვს თბილ და ნოკიერ ადგილებს, კარგ მოსავალს იძლევა ორმხრივი შპალე-რის ფორმირების შემთხვევაში.

კიშის სამეცნიერო-ტექნოლოგიური დაწასიათება

ყურძნის მექანიკური და წვნის ქიმიური შედგენილობის  
მხრივ კარაბურნუ ტიპური სასუფრე ყურძნის ჭიშია. ამის ნა-  
თელსაყოფად მოვყეყავ მრავალწლიური საშუალო მონაცემე-  
ბი. მტევნის საშუალო წონა 336 გრამია, მარცვლების საშუა-  
ლო რაოდენობა 90, მტევნის შემაღებელი ნაწილებიდან:  
კლერტი — 2,62, კანი — 7,51, წვენი და რბილობი — 87,89,  
წიპჭა — 1,96, 100 მარცვლის წონა 533 გრამია, ხოლო 100  
წიპჭის წონა — 3,4.

შედარებისათვის მოგვყავს მ. ცებრის მონაცემები მექანიკურ ანალიზებზე, ოდესის მეცნიერების ინსტიტუტის ცნობით, მტევნის საშუალო წონა 313 გრამია, მარცვლების საშუალო რაოდენობა მტევნანში — 69,6, მტევნის შემადგენელი ნაწილებიდან: კლერტი — 1,7, კანი და მაგარი ნაწილი — 10,1, წვენი — 85,2, წიპტა — 2,5, 100 მარცვლის წონა — 472 გრამი.

მარცვლის მექანიკური თვისებები

მარცვლის მიმაგრებას ნაყოფსაჭდომზე დიდი მნიშვნელობა აქვს გადაზიდვის საქმეში. ეს დამოკიდებულია მარცვლის ფორმასა და კანის სისქეზე, მის ანატომიურ აგებულებაზე, რბილობის კონსისტენციაზე და სხვ. რაც უფრო მსხვილია

მარცვალი და კანი სქელი, მეტი წინააღმდეგობის გარეთ შეუძლია, რადგან კურპელბოჭკოვანი კონები მევიდრად აქვს მიმაგრებული ნაყოფსაჭდომზე.

თელავის პირობებში კარაბურნუს მარცვალის წინააღმდეგობა გაჲყლეტაზე 1912 გრამია, ხოლო წინააღმდეგობა მოწყვეტაზე 300 გრამი. ფართოდ ცნობილ ჯიშ კიროვაბადული სუფრის წინააღმდეგობა გაჲყლეტაზე 1814, მოწყვეტაზე 226 გრამია. პიროვანო № 83 წინააღმდეგობა გაჲყლეტაზე — 1640, მოწყვეტაზე 270 გრამი. ბუდეშური წითლის — გაჲყლეტაზე 815, ხოლო მოწყვეტაზე 190 გრამია.

კურპენის წვნის ქიმიური შედეგები და გარაბურნუ ხასიათდება შაქრის დაგროვების მაღალი უნარით, წლების განმავლობაში ცალკეული ეკოლოგიური და მეტეოროლოგიური პირობების შესაბამისად შაქრიანობა და მევიანობის ცვალებადობა თელავის პირობებში მერყეობს 18,54-დან 20,0 პროცენტამდე, 4 პრომილე მევიანობის დროს.

შედარებისათვის მოგვყავს მ. ცებრის მონაცემები სსრ კავშირის მევენახეობის სხვადასხვა რაობნში კარაბურნუს შაქრიანობის შესახებ. მოლდავეთის მევენახეობის ინსტიტუტის მრავალწლიური საშუალო 15,6-დან 18,6 პროცენტამდე. ხოლო მევიანობა 4-დან 9 პრომილემდე. ოდესის ინსტიტუტში — 15,7-დან 17,3 პროცენტამდე, მევიანობა 4,9-დან 9 პრომილემდე. იალტა „მაგარაჩი“ 21,2-დან 25,2 პროცენტამდე და მევიანობა 3-დან 4,1 პრომილემდე.

### ჯიშის ხაერთო შეფასება და დარაიონება

კარაბურნუ მაღალხარისხის ხოვანი, სტანდარტული, საგვიანო ჯიშის პერიოდის მსხვილმარცვლოვანი, თეთრი, სასუტრე ყურძნის ჯიშია. შესანიშნავი გარეგნობის, მსხვილი ლამაზი ქარვის ფერი მარცვლებით სხვა ჯიშებს შორის უპირატესობას იმსახურებს.

გარდა ახალ სახეში მოხმარებისა, გამოიყენება მაღალხარისხის ხოვანი მურაბების, კომპოტების და ქიშმიშის დასამზადებლად, განსაკუთრებით იქ, სადაც ცხელი ზაფხული და მშრალი შემოდგომაა.

ჯიშის დადებითი თვისებებია: მაღალი ტრანსპორტულობა /  
ბა, კარგი შენახვის უნარი და ნაცრისადმი კარგი გამძლეობა  
თავისი მაღალი თვისებების გამო პერსპექტიულია, გამოტოვეთ  
საქიროა მისი ფართოდ გავრცელება კახეთის მევენახეობის  
რაიონებში, სახელდობრ: ახალსოფელ-ლაგოდეხის ქვეზონის  
ფერდობებზე, ნაფარეულის ქვეზონის შემაღლებულ ადგილებ-  
ში, გურჯაან-მუკუჩნის ქვეზონის ფერდობებზე, შრომა-წინან-  
დლის ქვეზონის ფერდობებზე, თელავ-ახმეტის დაბლობებზე  
და გარე კახეთის კაჭრეთ-ქაქაბეთის დაბლობ ადგილებში.

### პიროვანი № 82

ჯიში მცირედ გავრცელებული, მაღალხარისხოვანი მსხვილ-  
მარცვლიანი საგვიანო სიმწიფისაა.

სპეციალურ ლიტერატურაში სხვა სახელშოდებით არ არის  
ცნობილი.

წარმოშობით იტალიური ჯიშია, მიღებულია მაღლენ რო-  
იალისა და ფერდინანდ დე ლუსენის შეჯვარებით.

გავრცელებულია სამეცნიერო დაწესებულებების საქო-  
ლექციო ნაკვეთებზე (დილომში, თელავში, საქარაში და სხვ.).

### ბოტანიკური აღწერა

ბოტანიკური აღწერა შესრულებულია მებაღეობის, მეცნ-  
ნახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კელევითი ინსტიტუ-  
ტის თელავის საცდელი სადგურის საკოლეჯით ნაკვეთში.

ახალგაზრდა ყლორტი. მოზარდი ყლორტის (15—  
20 სმ) წვერო გვირგვინით და ჯერ კიდევ გაუშლელი ორი ფო-  
თოლაკით შებუსულია სუსტი აბლაბუდისებრი ბეწვებით და  
მწვანე-მოყვითალოა, მომდევნო ფოთლებზე შებუსვა ქრება  
და იღებს ბზინვარებას, გადაჰქრავს ბრინჯაოსფერი იერი. მე-  
ოთხე ფოთოლი ლია მწვანე და შეუბუსავია.

ერთწლიანი ჩქა. მისი ერთწლიანი რქები შემოდგო-  
მის დასასრულისათვის შეფერილია მოყვითალოდ და დაფა-  
რულია სუსტი სანთლისებრი ფიფქით.

ფოთოლი საშუალო ზომისაა. სიგრძე 17, სიგანე 18 სმ.



მომრგვალო, იშვიათად მოოვეალოც, ხუთნაკვთიანიდან უფრო უფრო ბა  
სამნაკვთიანიც. ფოთლის ფირფიტა ძაბრისებრია ამიგადებროვეა

ყუნწის ამონაკვთი ღიაა — ბრტყელი კვადრატული ფუ-  
ძით. ზედა ამონაკვთები საშუალო სიღრმისაა, დახურული —  
ვიწრო ელიფსისებრი ან კვერცხისებრი ფორმის.

ქვედა ამონაკვთები უფრო მცირე და ღიაა, ფოთლის მთა-  
ვარი ნაკვთები ბოლოვდება სამკუთხედისებრი წამახვილებუ-  
ლი კბილებით, გვირდითი კბილები ხერხისებრივია. ფოთლის  
ქვედა მხარე შიშველია. ფოთლის ყუნწი მთავარ ძარღვზე  
მოკლეა და შეფერილია წითელ-ღვინისფრად.

ყვავე ღილი ორსქესიანია, მტერიანა ხუთი ან ექვსია,  
მტერიანათა ძაფის სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან  
1—1,25-მდეა. ბუტკო — განიერებულსისებრი ფორმის და კარ-  
გად განვითარებული სვეტით, დინგი დისკოსებრია.

მტევანი ღილი ზომისაა. სიგრძე 20, სიგანე 9 სმ, ცი-  
ლინდრულ-კონუსისებრი ფორმის, საშუალო სიმკერივის, ცშ-  
ვიათად თხელი შენების, მტევნის ყურძნის სიგრძეა 5—6 სმ.  
ბალახისებრი, ფუძესთან მიმაგრების ადგილას გახევებულია.

მარცვალი მსხვილია, სიგრძე 23, სიგანე 19 მმ, ყვე-  
ლაზე მსხვილი მარცველის სიგრძე 30, სიგანე 22 მ. ოვალური  
ფორმის, ქარვისფერი, კანი თხელი და მაგარია, რბილობი  
მკვრივი, კნატუნა, მომეტებული ხორციანი და ნაკლებწვნიანი,  
სუსტი მუსკატური გემოთი, მარცვალი დაფარულია თხელი  
სანთლისებრი ფიფქით, კანი ძნელად სცილდება რბილობს.  
მარცვალში 1—3-მდე წიმწაა.

წიპწა მსხვილია, სიგრძე 7, სიგანე 3 მმ. ნისკარტი 2 მმ.  
მსხლისებრი ფორმის, მუქი ყავისფერი შეფერვის, ქალაძა  
ოვალური, შუაში ჩაზნექილი, ღარტაფი კარგად გამოსახული.

### აგრობიოლოგიური დახასიათება

სავეგეტაციო პერიოდი სავეგეტაციო პერიოდის  
სანგრძლივობა ცალკეული წლების მეტეოროლოგიური პირო-  
ბების შესაბამისად მერყეობს 156-დან 172 ღლემდე. იცვლება  
აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც — 3000,8 გრადუსიდან  
3363,2 გრადუსამდე. საშუალო სავეგეტაციო პერიოდის ხან-

გრძლივობა უდრის 164 დღეს — 3136,4 გრადცს აკრიფტ  
ტემპერატურათა ჯამით. ამის ნათელსაყოფად მოტინილობა  
ცხრილი მისი ფენოფაზების მსვლელობაზე.

ცხრილი 16

პიროვანო № 83 ფენოლოგიური ფაზების მსვლელობა

ფაზების წლები	კირტის გაშლის საწყის	მცენობის დასაწყისი	სიმრტეს დასაწყისი	სრული საწყისი	დღეთი საწყისი	დღეთი გრადცი	ფენორ ტემ- პერატურათა ჯამი
1955	21/IV	10.VI	15.VIII	5/X	168	3292,9	
1956	26.IV	18.VI	8.IX	10/X	168	3135,9	
1957	18.IV	1.VI	11.VIII	20/X	166	3000,8	
1959	25.IV	12.VI	24.VIII	28/X	157	3032,2	
1960	20.IV	10.VI	25.VIII	8/X	172	3363,2	
საშუალო	22/IV	10.VI	21.VIII	2/X	164	3165,0	

როგორც ჩანს, კვირტის გაშლას იწყებს 22 აპრილს, ხოლო ტექნიკურ სიმწიფეს — სექტემბრის ბოლოს ან ოქტომბრის პირველ რიცხვებში.

რეის მომწიფების ხარისხი თელავის პირობებში პიროვანო № 83-ის ერთშლიანი რქები 90%-მდე მომწიფებულია.

ზრდის სიძლიერე პიროვანო № 83 თელავის პირობებში ხასიათდება ძლიერი ზრდა-განვითარებით, მისი ერთშლიანი ნაზარით 3 მეტრამდე აღწევს.

მოსავლიანობა. თელავის პირობებში პიროვანო № 83 დარცვიდან შეორე წლიდან იძლევა მოსავლის პირველ ნიშნებს. სრულმოსავლიანობაში შედის შეოთხე-მეხუთე წლიდან, ხასიათდება საშუალოზე მაღალი მოსავლიანობით — ჰექტარზე 40,75-დან 94,76 ცენტნერამდე. მსხმოიარობის კოეფიციენტი 0,57—1,2-მდეა. მტევნის საშუალო წონა 190—386 გრამამდეა, ძირის მოსავალი 2787-დან 3600 გრამამდე აღ-

წევს. ნაყოფიანი რეები 77,2 პროცენტია, მტევნების საშუალო რაოდენობა ერთ რქაზე 0,72, მტევნების რაოდენობა მოსაელიან რქაზე 1,2, ერთი რქის ნაყოფიანობა 277 გრამია.

ყვავილ ცვენა და წვრილ მარცვლიანობა. თელავის პირობებში ჯიში ხასიათდება მცირე ყვავილ ცვენით. ჩვენი დაკვირვებით, მარცვალთა გამონასკვა ბუნებრივ პირობებში მერყეობს 35%-მდე. წვრილ მარცვლიანობა ჩვენ მიერ შემჩნეული არ ყოფილა.

გამძლეობა სოკოვან ავადმყოფობა მიმართ. პიროვანო № 83 სხვა ჯიშებთან შედარებით ხასიათდება ჭრაქის, ნაცრისა და აბლაბუდიანი ტკიპას კარგი გამძლეობით.

### სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება

მტევნის გარეგნობითა და წვნის ქიმიური შედგენილობის საფუძველზე პიროვანო № 83 ტიპური სასუფრე ყურძნის ჯიშია. თელავის პირობებში მტევნის საშუალო წონა 344 გრამია. მარცვლების საშუალო რაოდენობა მტევნში 77, მტევნის შემაღენელი ნაწილებიდან: კლერტი 3,10, კანი 9,7, წვენი და რბილობი 84,90, წიპტა 3,3, 100 მარცვლის წონა 384 გრამი, 100 წიპტის წონა 3,5.

მარცვლის მექანიკური თვისებები. მარცვლის წინააღმდეგობა მოწყვეტისა და გაჭულეტის მიმართ არ ჩამოუვარდება მეტად ტრანსპორტაბელურ ვაზის ჯიშებს. მარცვლის წინააღმდეგობა გაჭულეტის მიმართ 1840 გრამია, ხოლო მოწყვეტაზე — 215, ფართოდ ცნობილ ჯიშ კარაბურნეს წინააღმდეგობა გაჭულეტაზე 1912 და მოწყვეტაზე 300 გრამია. კიროვაბადული სუფრის შესაბამისად 1814 და 226 გრამი.

ყურძნის წვნის ქიმიური შედგენილობა. პიროვანო № 83 ხასიათდება შაქრის დაგროვების მაღალი უნარით. მისი შაქრიანობა 21,38%-მდე აღწევს, მჟავიანობა — 5,5 პრომილეს.



პიროვანო № 83 იტალიური წარმოშობისაა, ჩეკიურული და ქართული დალებულია მცირე რაოდენობით, მაღალხარისხოვანი საგვიანო სიმწიფის პერიოდის, ტრანსპორტის მსხვილმარცვლიანი მუსკატური ჯიშია. იძლევა საუკეთესო სადესერტო ყურძენს. ხასიათდება დიდი ლამაზი მტევნებითა და მსხვილი ქარვის ფერი მარცვლებით. გამოიყენება ყურძნად ახალ სახეში, აგრეთვე მაღალხარისხოვანი მურაბების და კომპოტების დასამზადებლად. თავისი მაღალი თვისებების წყალობით მეტად პერსპექტიულია კახეთის პირობებისათვის, რისთვისაც საჭიროდ მიგვაჩნია მისი გავრცელება მევენახეობის შემდეგ რაიონებში, სახელდობრ: ახალსოფელ-ლაგოდეხის ქვეზონის ფერდობებზე; ყვარლის ქვეზონის ფერდობებზე, გურჯაან-მუკუზნის დაბლობებში; შრომა-წინანდლის ფერდობებზე და გარე კახეთის კაჭრეთ-კაჭაბეთის დაბლობ აღვილებში.

### გ რ ჩ ლ ა

გორულა ქართლის ადგილობრივი საშუალო-საგვიანო სიმწიფის პერიოდის თეთრყურძნიანი სასუფრე ჯიშია.

ლიტერატურაში ცნობილია შემდეგი სახელწოდებით: გლდანულა, საბატონო, გორულა სუფრის, მარნეულში იალანჩი, გორული, ბოლნისში გრუნლიებერ და სხვ.

გავრცელებულია თბილისის გარეუბნებში, მცხეთის, კასპისა და გორის რაიონებში. ცალკეული ძირების სახით გვხვდება თელავისა და გურჯაანის რაიონებში.

### ბოტანიკური აღწერა

ჯიშის ბოტანიკური აღწერა შესრულებულია მებაღეობის, მეცნიერებებისა და მელვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თელავის საცდელი სადგურის საკოლექციო ვენახში.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა ყ ლ ო რ ტ ი. მოზარდი ყლორტის (15—20 სმ) წვერო გვირგვინით შებუსულია საშუალო სისქის აბლაბულისებრი ბეჭვებით, ქვედა მხრიდან — უფრო ინტენსი-



### გორულა

ურად. მეორე ფოთოლზე შებუსვა კლებულობს — თხელი აბლაბუდითაა შებუსული, მოყვითალოა და გადაპერავს მოწითალო იერი. მესამე ფოთოლზე შებუსვა ქრება, მხოლოდ ძარღვების გასწვრივ მცირე ბუსუსი აქვს, მწვანე-მოყვითალოა და გადაპერავს მოწითალო იერი. მეოთხე და მეხუთე ფოთოლი შეუბუსავია და მომწვანო-მოყვითალოა.

ლერო მწვანეა და წითელი ზოლები. აქვს გაყოლებული. ერთწლიანი ჩქა. შემოდგომის დასასრულისათვის

მისი ერთწლიანი რქები შეფერილია მოყვითალოდ და რულია სუსტი სანთლისებრი ფიფქით.

ფოთოლი. ზრდადამთავრებული ფოთლები საშუალოზე მსხვილია, სიგრძე 16, სიგანე 17 სმ, მომრგვალოა, გვედება ოვალური და გულისებრი ფორმითაც, სამი ან ხუთნაკვთიანია. ფოთლის ფირფიტის ზედაპირი წვრილბუშტუკოვანია, ფოთლის ფირფიტა მოხრილი ან ძაბრისებრია.

ყუნწის ამონაკვთი ღიაა, ჩანგისებრი, ისრისებრი წამახვილებული ფუძით, ცალმხარეზე დეზით.

ზედა ამონაკვთების ფუძის ფორმა ღია და დახურულია. ღია ჩანგისებრია, პარალელური გვერდებითა და მომრგვალებული ფუძით ან ჩანგისებრი ვიწრო ხერელით; დახურული კვერცხისებრია, მომრგვალებული ფუძით ან ვიწრო ელიფსისებრი პარალელური გვერდებით, მომრგვალებული ან წამახვილებული ფუძით. ფოთლის მთავარი ძარღვები ბოლოვდება სამკუთხედისებრი ამობურცული გვერდებითა და მომრგვალებული წვეროთი. გვერდითი კბილები ხერხისებრია, ფოთლის ქვედა მხარეზე ძარღვების გასწერივ აქვს სუსტი ჯავრისებრი შებეჭვა.

ფოთლის ყუნწი მთავარ ძარღვზე მოკლეა, ან მისი ტოლია და შეფერილია წითელ-ღვინისფრად.

კვავილი ორსქესიანია, მტერიანა ხუთი ან ექვსია, მტერიანათა ძაფის სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან 1,2—1,5-მდეა. ნასკვი ბოთლისებრია, დინგი პატარა, შუაზე გაპობილი ან მომრგვალებულია.

მტევანი საშუალო ან საშუალოზე დიდია, სიგრძე 18, სიგანე 9 სმ, ცილინდრულ-კონუსისებრი. შესახვედრია ცილინდრული ფორმაც, საშუალო სიმკვრივის ან მკვრივი. გვხვდება თხელი შენებისაც.

მარცვალი მსხვილია, სიგრძე 17-დან 21 მმ-მდე, სიგანე 18—19 მმ-მდე, მოოვალო ან მრგვალი ფორმის, მწვანე-მოყვითალო ყავისფერი წერტილებით. კანი მკვრივია, რბილობი საქმიანობა წვნიანი და კნატუნა. მარცვალში 1—3-მდე წიპწაა, წიპწა რბილობს დავილად ეცლება.

წიპწა მსხვილია, სიგრძე 7, სიგანე 5 მმ, ყავისფერი,

კოლბისებრი ფორმის, ქალაძა ოვალურია და შუაში ჩაჭყლუ-  
ტილი, ნისკარტი 1—2 მმ, ცილინდრული, წაკვეული და გადა-  
როთი.

კიშის აგრობიოლოგიური დაწასითება

საკეთო პერიოდი 152—182 დღე, ამის შესაბამისად  
იცვლება აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც — 3083,9-დან  
3570,8 გრადუსამდე, საშუალოდ 167 დღე 3237,4 გრადუსი  
აქტიურ ტემპერატურათა ჯამით.

მოგვყიდვების ჯიშის სავეგეტაციო პერიოდისა და მისი ცალკეული ფაზების მსვლელობა.

G 66030 17

გორულას ფენოლოგიური უაზების მსვლელობა

ବ୍ୟାପକ ବ୍ୟାପକ	ମୁଖ୍ୟ ବ୍ୟାପକ ବ୍ୟାପକ	ବ୍ୟାପକ ବ୍ୟାପକ				
1955	23/IV	4/VI	22/VIII	21/X	182	3570,8
1956	24/IV	12/VI	24/VIII	15/X	175	3231,7
1957	17/IV	12/VI	16/VIII	12/IX	152	3088,9
1959	18/IV	10/VI	20/VIII	25/IX	161	3104,6
1960	24/IV	13/VI	28/VIII	3/X	163	3192,2
ସଂରକ୍ଷଣ	21/IV	8/VI	26/VIII	10/X	166	3207,4

როგორც ჩანს, თელავის პირობებში კვირტის გაშლას იწყებს 21 აპრილიდან და სრულ სიმწიფეში შედის სექტემბრის ბოლო ან თებერვალის პირველ რიცხვებში.

რეს თაღლია თა უკუნიათის მოკედ კონკრეტული.

ხასიათდება საშუალოზე ძლიერი ზრდა-განვითარებით, თელავის პირობებში იგი საკმაო ზრდისაა. მისი ერთწლიანი რეცეპტი 2,5 მეტრს და მეტსაც ღლწევს.

თელავის პირობებში დარგვიდან მეორე-მესამე წლიდან  
იძლევა მოსავლის პირველ ნიშნებს, მეოთხე-მეხუთე წლიდან  
კი შედის სრულ მოსავლიანობაში. ჯიში ხასიათდება შალალ-  
მოსავლიანობით — ჰექტარზე 83 ცენტნერი. მსხმოიარობის  
კოეფიციენტი საშუალოდ 1,3 უდრის, მტევნის საშუალო წო-  
ნა 150-დან 250 გრამამდე მერყეობს. თბილისის გარეუბნებში  
ხევნად გაშვების პირობებში მოსავალი ჰექტარზე 10 ტონამ-  
დე აღწევს.

თელავის პირობებში ნაყოფიანი რქები 75,3 პროცენტია,  
მტევნების რაოდენობა ერთ რქაზე 0,98, მტევნების რაოდე-  
ნობა ერთ მსხმოიარე რქაზე 1,3, ერთი რქის ნაყოფიანობა  
307 გრამია. მტევნის საშუალო წონა 256 გრამი.

გორულა ხასიათდება მცირე ყვავილცვენით. წერილმარც-  
ვლიანობა არ ახასიათებს. მხოლოდ ზოგიერთ წელს შეიმჩნე-  
ვა მტევანში ერთეული წერილი მარცვლები.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობა. გორულა ჭრაქის მიმართ სუსტია, ნაცრის მიმართ  
უფრო მეტ გამძლეობას იჩენს. აბლაბუდიანი ტკიპას მიმართ  
საშუალოა, ფესვის ფილოქსერისადმი საკმაო გამძლე.

### ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება

მტევნის გარეგნობისა და მისი გემური თვისებების გამო  
ივი მიეკუთვნება სასუფრე ყურძნის ჯიშებს. ჩვენი დაკვირ-  
ვების მონაცემებით მარცვლების საშუალო რაოდენობა მტე-  
ვანში 77, მტევნის საშუალო წონა 234 გრამია. მტევნის შე-  
მადგენელი ნაწილებიდან: კლერტი 2,66, კანი 7,86, წვენი და  
რბილობი 85,64, წიპჭა 3,84, 100 მარცვლის წონა 296 გრამია,  
100 წიპჭის წონა — 5,38 გრამი.

მარცვლის მექანიკური თვისებები მარც-  
ვლის წინააღმდეგობა მოწყვეტისა და გაჭყლეტის მიმართ სა-  
შუალოა. ჩვენი მონაცემებით გორულას წინააღმდეგობა მო-  
წყვეტის მიმართ 235 გრამია, გაჭყლეტის მიმართ — 758  
გრამი.

ყურძნის წვნის ქიმიური შედეგები და  
გორულა არ ხასიათდება შაქრის დაგროვების მაღალი უნარით,  
მაგრამ მისი შაქრიანობა სავსებით დამაკმაყოფილებელია სა-

სუფრე ყურძნისათვის, თელავის პირობებში მისი შექმნიადგ  
16-დან 17,98 პროცენტამდე მეტყეობს, ხოლო მეტყეობაზე უკავშირი  
4-დან 5%-მდე.

### ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება

გორულა ქართლის ადგილობრივი მცირედ გავრცელებული  
თეთრყურძნიანი სასუფრე ჯიშია. იძლევა კარგი ღირსების  
სადესერტო ყურძენს.

ჯიში მირითადად გავრცელებულია ქართლში, ერთეული  
ძირების სახით — გურჯაანისა და თელავის რაიონებში.

ჭრაქისადმი სუსტად გამძლეა. ფილოქსერის მიმართ შედა-  
რებით გამძლე.

ჯიში გამოიყენება შესანახად, სუფრის მსუბუქი ღვინოები-  
სა და ყურძნის წენის დასამზადებლად, რისთვისაც საჭიროა  
მისი გავრცელება ახალსოფელ-ლაგოდეხის ქვეზონის ფერდო-  
ბებზე, უვარლის ქვეზონის ფერდობებზე, ნაფარეულის ქვე-  
ზონის შემაღლებულ, გურჯაან-მუკუზნის დაბლობ, შრომა-წი-  
ნანდლის ფერდობებზე და თელავ-ახმეტის შემაღლებულ ად-  
გილებში.

### ჯერა უზავი

ჭურა უზავი ახალი სელექციური ჯიშია, რომელიც მიღე-  
ბულია შუა აზიის საკავშირო მემკენარეობის ინსტიტუტის  
საცდელ სადგურში პროფ. ა. მ. ნეგრულისა და მ. ს. ქურავ-  
ლენის მიერ, ნიმრანგის ტაიფ ვარდისფერთან შეჯვარებით.

საქართველოში გავრცელებულია მცირე რაოდენობით სა-  
მეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საკოლექციო ნაკვეთებ-  
ში, წმინდა ნარგავების სახით გვხვდება უზბეკეთის სსრ-ში.

### ბოტანიკური აღწერა

ბოტანიკური აღწერა შესრულებულია მებაღეობის, მევე-  
ნახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუ-  
ტის თელავის საცდელი სადგურის საკოლექციო ნაკვეთში.

ახალგაზრდა ნაზარდი. გვირგვინი შებუსული  
აქვს სუსტი აბლაბუდისებრი ბეწვებით და მწვანე ფერისაა.

ლერთ წითელ-ღვინისფერია და შეუბუსავი.

ერთ წლიანი რქა. თელავის პირობებში ჭურა უზურის ერთწლიანი ჩქები შეფერილია ყავისფრად და გაფრიჭილიშვერა მოწითალო იერი.

ფოთოლი საშუალო ზომისაა, სიგრძე 16, სიგანე 17 სმ, მომრგვალო ფორმის, ხუთი ან სამნაკვთიანი, ფოთლის ფირფიტი ძაბრისებრია.

ყუნწის ამონაკვთი ლიაა და ლირისებრი ფორმის.

ზედა ამონაკვთები პატარებია და გარდამავალი კუთხის-მაგვარი. ქვედა ამონაკვთები სუსტადაა გამოსახული; მთავარი ნაკვთები ბოლოვდება სამკუთხედისებრი წამისხვილებული წვეროებით, გვერდითი კბილები ხერხისებრია — წაწვერებული წვეროებით.

ფოთლის ქვედა მხარე შეუბუსავია.

ფოთლის ყუნწი მთავარ ძარღვზე გრძელია და შეფერილია წითელ-ღვინისფრად.

კვავილი ორსქესიანია. მტერიანა ხუთია, მტერიანათა ძაფის სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან უდრის 1,25. ბუტკო კონუსისებრი და წახნაგოვანია. დინგი დისკო-სებრი.

მტევანი მსხვილია. სიგრძე 20, სიგანე 10 სმ. განიერ კონუსისებრი ფორმის, საშუალო სიმკვრივის ან თხელი, მტევანის ფეხი გრძელია და მიმაგრების ადგილას გახევებულია.

მარცვალი მსხვილია, სიგრძე 23, სიგანე 21 სმ. მომრგვალო, ლია მომწვანო, მზის მხარეზე ვარდისფერი იერით. კანი მკერივი და მაგარია. რბილობი ხორციანი და საქმაოდ წვნიანი. გემო სასიამოვნო, თანშეწყობილი სიმჟავით და გამახალისებელი. მარცვალში 1—3-მდე წიპწაა.

წიპწა მსხვილია, სიგრძე 7, სიგანე 5 სმ. ყავისფერი, ქალაძა მდებარეობს სხეულის ზედა ნაწილში, ნისკარტი საშუალო, კონუსისებრი, შუაზე გაყოფილი წვეროთი.

### ჯიშის ავრობიოლოგიური დახასიათება

სავაგეტაციო პერიოდი ცალკეული წლების მეტეოროლო-გიური პირობების შესაბამისად მერყეობს 153-დან 178 დღემდე. 3219,7 გრადუსიდან 3414,1 გრადუსამდე.

დოკუმენტის მდგრადი დრო	სატემპო კვირის განვითარების დრო	მიზანის მდგრადი დრო	სატემპო კვირის განვითარების დრო	მიზანის მდგრადი დრო	სატემპო კვირის განვითარების დრო	სატემპო კვირის განვითარების დრო
1955	15/IV	2/VI	13/VIII	10/IX	178	3414,1
1956	27/IV	12/VI	9/VIII	26/IX	153	3208,5
1957	14/IV	26/VI	20/VIII	28/IX	167	3219,7
1959	18/IV	12/VI	14/VIII	1/X	166	3279,1
1960	12/IV	10/VI	13/VIII	25/IX	157	3312,7
საშუალო	17/IV	15/VI	14/VIII	30/IX	164	3285,1

როგორც ვხედავთ, კლიმატური პირობების გამო ცვალება-დობს ფენოლოგიური ფაზები, მის შესაბამისად იცვლება დღეთა რიცხვი და აქტიურ ტემპერატურათა ჯამი.

ჩევის მომწიფების ხარისხი თელავის პირობებში ჯურა უზუმის ერთწლიანი რქები ყურძნის სრულ სიმწიფეში 85%-მდე მომწიფებულია.

მოსავლიანობა. ჯურა უზუმი დარგვიდან მეორე-მესამე წელს იძლევა მოსავლის პირველ ნიშნებს, სრულ მოსავლიანობაში შედის მეოთხე-მეხუთე წელს. ჯიში ყოველწლიურად ხასიათდება მაღალმოსავლიანობით; მისი მსხმოიარობის კოეფიციენტი უდრის 1,3, მტევნის საშუალო წონა 300 გრამია. ძირის მოსავალი 3500 გრამი, რაც ჰექტარზე გადაანგარიშებით 105,98 ცენტნერიდან 116,65 ცენტნერამდე მერყეობს. თელავის პირობებში ნაყოფიანი რქების 91,3 პროცენტია, მტევნების რაოდენობა ერთ ნაყოფიან რქაზე 1,46, მტევნების საშუალო რაოდენობა ერთ რქაზე 1,1, მტევნის საშუალო წონა 2,46, ერთი რქის ნაყოფიანობა 332 გრამია.

ცვავილ ცვენა და წვრილ მარცვლიანობა. ჩევნის პირობებში ჯიში ხასიათდება მცირე ყვავილცვენით და წვრილი მარცვლიანობით.

სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ გურა  
ლეობა. თელავის პირობებში სოკოვან ავადმყოფობაში უძველესი  
მართ შედარებით სხვა ჯიშებთან კარგი გამძლეობით და მართვა  
დება. ნაცრისადმი მეტი გამძლეობას იჩენს.

აგროტექნიკის თავისებურებანი. საკავებელ-  
ზე ყლორტების გამოსავლიანობა მეტი აქვს ბაზალურ ნაწი-  
ლიდან დაშორებით, რისთვისაც საჭიროებს გრძელ სხელას.

### ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება

მექანიკური შედგენილობის მიხედვით ჭურა უზუმი მიე-  
კუთვნება მაღალხარისხოვან სასუფრე ყურძნის ჯიშებს. თე-  
ლავის საცდელი სადგურის პირობებში წარმოებული ანალი-  
ზების მიხედვით მისი მტევნის საშუალო წონა 295 გრამია, მარ-  
ცვლების საშუალო რაოდენობა მტევნიში 73, მტევნის შემად-  
გენელი ნაწილებიდან: კლერტი 2,54, კანი 6,2, წიპჭა 2,23,  
წვენი და რბილობი 89,1, 100 მარცვლის წონა 486 გრამია, ხო-  
ლო 100 წიპჭის წონა 4,7.

მარცვლის მექანიკური თვისებები. მარცვ-  
ლის წინააღმდეგობა მოწყვეტისა და გაჭყლეტის მიმართ კარ-  
გი აქვს. რის გამოც იგი მიეკუთვნება მაღალ ტრანსპორტულე-  
ლურ ჯიშს.

მარცვლის წინააღმდეგობა გაჭყლეტის მიმართ საშუალოდ  
უდრის 1828 გრამს, წინააღმდეგობა მოწყვეტაზე — 403  
გრამს.

ყურადნის წვნის ქიმიური შედგენილობა.  
ჭურა უზუმი ხასიათდება შაქრის დაგროვების საქმაო უნარით.  
მისი შაქრიანობა საშუალოდ 15—17%-მდე მერყეობს 4,3—  
5,7 პრომილე მევეიანობის დროს, რაც სრულიად დამაკმაყო-  
ფილებელია სასუფრე ყურძნის ჯიშებისათვის.

### ჯიშის საერთო შეფასება და დარაიონება

ჭურა უზუმი მცირედ გავრცელებული საშუალო-საგვიანო  
სიმწიფის პერიოდის სასუფრე ყურძნის ჯიშია. იძლევა საუკე-  
თესო ღირსების სასუფრე ყურძნეს.



დადებითი თვისებები: მაღალმოსავლიანობა, მეტარკომი-  
ზი გარეგნობა, მაღალი გემური თვისებები და ტრანსპორტული  
ამტანობა, რითაც დიდ ყურადღებას იპყრობს. მიზანშეწონი-  
ლად მიგვაჩნია მისი გავრცელება კახეთის მევენახეობის რაი-  
ონებში. სახელდობრი: ახალსოფელ-ლაგოდეხის ფერდობებზე,  
ყვარლის ქვეზონის შემაღლებულ ადგილებზე, ნაფარეულის  
ქვეზონის დაბლობებზე, გურჯაან-მუკუზნის ქვეზონის, შრო-  
მა-წინანდლის ქვეზონის და თელავ-ახმეტის ქვეზონის ფერდო-  
ბებზე.

### პორადა

პობედა გამოყვანილია საკავშირო მემცენარეობის ინსტი-  
ტუტის საცდელ სადგურში პროფ. ა. ნეგრულისა და მ. უურავ-  
ლენის მიერ ზაბალკანსკის ჰამბურგის მუსკატთან შეჯარებით.

საქართველოში მცირე რაოდენობითაა გავრცელებული სა-  
მეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების საკოლექციო ნაკვეთებში,  
აგრეთვე მებაღეობის, მევენახეობისა და მელვინეობის სამეც-  
ნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თელავის საცდელი სადგურის  
საკოლექციო ვენახში. ფართოდ არის გავრცელებული უზბე-  
კეთის სსრ-ში, ტაშკენტის ოლქში, ტაჯიკეთში, ყაზახეთში, უკ-  
რაინაში, მოლდავეთში და სხვ.

### ბოტანიკური აღწერა

ბოტანიკური აღწერა ჩატარებულია მებაღეობის, მევენა-  
ხეობისა და მელვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის  
თელავის სადგურის საკოლექციო ნაკვეთში.

ახალგაზრდა და ყლორტი გვირგვინი შებუსული აქვს  
სუსტი აბლაბულისებრი ბეჭვებით და მწვანეა. პირველი და  
მეორე იარუსის ფოთლები შებუსულია ძლიერი სუსტი აბლა-  
ბულით. მწვანე-მოყვითალოა და ბზინვარებს. მესამე ფოთოლ-  
ზე შებუსვა ქრება ორივე მხრიდან და მოყვითალოა მოწითა-  
ლო იერით.

ლერო მწვანეა, შეუბუსავი მთელ სიგრძეზე და წითელი  
ზოლები გასდევს.

ერთშესაბამის დასასრულისათვის  
მისი ერთწლიანი რქები შეფერილია ყავისფრად. ურთევილი  
ფოთოლი საშუალო ზომისაა, სიგრძე 18, სიგანე 17 სმ.

ძლიერ დანაკვეთული, ხუთნაკვთიანი, ფოთლის ფირფიტის ნა-  
პირები ძირს არის დახრილი. ფოთლის ყუნწის ამონაკვეთი  
ლიაა და ლირისებრი ფორმისაა.

ზედა ამონაკვთები დახურულია ელიფსისებრი ნასკრე-  
ტით, გვხვდება ღია ფორმით, ლირისებრი ან ხერელისებრი  
განათებით.

ქვედა ამონაკვთები ჩვეულებრივ უფრო პატარებია, ლი-  
რისებრი ფორმისაა და ღია. გვხვდება დახურულიც წამახვი-  
ლებული ფუძით.

მთავარი ნაკვთები ბოლოვდება სამკუთხედისებრი წამახვი-  
ლებული წვეროებით, გვერდითი კბილები ხერხისებრია და  
ორმხრივ გამობერილი. ფოთლის ქვედა მხარეზე ჭავრისებრი  
ბუსუსი აქვს.

ფოთლის ყუნწი მთავარ ძარღვზე მოკლე და მშვინეა.

ყვავილი ორსქესიანია, მტვრიანა ხუთია, მტვრიანათა  
ძაფის სიგრძის შეფარდება ბუტკოს სიმაღლესთან 1—1,25. ნა-  
სკვი კონუსისებრი ფორმისაა, კარგად გამოხატული სვეტით,  
დინგი დისკოსებრია.

მარცვალი მსხვილია, სიგრძე 27, სიგანე 22 მმ. წაგრ-  
ძელებული, შევი, უხვად დაფენილი სანთლისებრი ფიფქით,  
კანი სქელია, რბილობი მკვრივი, საკმაოდ წვნიანი, სასიამო-  
ვნო გემოთი. მარცვალში 1—3-მდე წილშაა.

წიპწა საშუალო სიღილისა, სიგრძე 6, სიგანე 4 მმ. ყავის-  
ფერი, მომრგვალო, ქალაძა მომრგვალო, რომელიც სხეულის  
შუა ნაწილშია მოთავსებული. ნისკარტი მოკლეა.

სავეგეტაციო პერიოდი. მეტეოროლოგიური პი-  
რობების შესაბამისად ცვალებადობას განიცდის ფენოლოგიუ-  
რი ფაზები. კვირტის გაშლის დასაწყისიდან სრულ სიმწიფემ-  
დე საშუალოდ 173 დღეა, რომელიც საჭიროებს 3380,1 გრა-  
დუს ტემპერატურათა ჯამს. ჩვენი დაკვირვების ნათელსაყო-  
ფად მოტანილია ცხრილი ფენოლოგიური ფაზების მსვლე-  
ლობაზე.

## პობედას ფეხულოვიური ფაზების შსვლელობა

ლაგუნის დღე	დღე დათვეს საწყის	სამუშაოს საწყის დღე	სამუშაოს დასრულების დღე	სრულ დრო	დღე	დღე დათვეს საწყის
1965	21/IV	9/VI	21/VIII	10/X	178	3248,8
1966	7/IV	4/VI	14/VIII	10/X	187	3523,5
1967	18/IV	7/VI	10/VIII	26/IX	162	3454,0
1968	26/IV	5/VI	4/VIII	4/X	162	3378,7
1969	8/IV	26/V	30/VIII	9/X	185	3345,8
1970	18/IV	7/VI	10/VIII	27/IX	162	3454,0
საშუალო	16/IV	4/VI	16/VIII	6/X	173	3390,1

როგორც ცხრილიდან ჩანს, კვირტის გაშლას ჯიში იწყებს პრილის მეორე ნახევრიდან, ხოლო ტექნიკურ სიმწიფეს — ოქტომბრის პირველ ან სექტემბრის ბოლო რიცხვებში.

ერთწლიანი რქები თავისუფლად ასწრებს მომწიფებას.

ზრდის სიძლიერე. ჩვენს პირობებში პობედა ხასიათდება საშუალოზე ძლიერი ზრდა-განვითარებით.

მოსავლიანობა. თელავის საცდელ სადგურის პირობებში პობედა ითვლება საშუალო მოსავლის მომცემ ჯიშად, მსხმოიარობის კოეფიციენტი მერყეობს 0,75—1,25-მდე, ძირის მოსავალი — 1500-დან 3000 გრამამდე, მტევნის საშუალო წონა — 260-დან 350 გრამამდე. ზოგიერთი კარგად განვითარებული მტევანი 460 გრამია, რაც ჰექტარზე გადაანგარიშებით 48,99—99,91 ცენტნერამდე აღწევს. ამის ნათელსაყოფად მოტანილია ჩვენი დაკვირვების მონაცემები მისი ნაყოფიანობის შესახებ. თელავის პირობებში მისი ნაყოფიანი რქები 48,8 პროცენტია, მტევნების რაოდენობა ერთ ნაყოფიან რქაზე 1,07, მტევნების საშუალო რაოდენობა ერთ რქაზე 0,60, მტევნის საშუალო წონა 297 გრამია, ერთი რქის პროდუქტიულობა 359 გრამი.

შედარებისათვის მოგვყავს უზბექეთის პირობებში მისი  
ნაყოფიანობა. ექვსი წლის საშუალო. ნაყოფიანი რქაზე 0,49  
პროცენტია. მტევნების რაოდენობა ერთ ნაყოფიან რქაზე  
1,08, მტევნების საშუალო რაოდენობა ერთ რქაზე 0,43, მტევ-  
ნის საშუალო წონა 500 გრამი, ერთი რქის პროდუქტიულობა  
523 გრამი.

ყვავილცვენა და წვრილმარცვლიანობა.  
გიში ხასიათდება მცირე ყვავილცვენით, წვრილმარცვლიანობა  
ჩენ მიერ შემჩნეული არ ყოფილა.

გამძლეობა ავადმყოფობათა მიმართ. ოქ-  
ლავის საცდელი სადგურის პირობებში სოკოვან ავადმყოფო-  
ბის მიმართ საშუალო გამძლეობას იჩენს.

### აგროტექნიკის თავისებურება

სანაყოფე ყლორტებს ივითარებს ბაზისიდან დაშორებით,  
რისთვისაც საჭიროებს გრძელ სხვლას.

სამეურნეო-ტექნიკოლოგიური დანასიათება.  
მტევნების გარეგნობით და წვნის ქიმიური მაჩვენებლების მი-  
ხედვით ტიპური სასუფრე ჯიშია.

მოგვყავს მისი მექანიკური შედგენილობის მაჩვენებლები.  
თელავის საცდელი სადგურის პირობებში მტევნის საშუალო  
წონა 296 გრამია, მარცვლების საშუალო რაოდენობა მტევან-  
ში 68, მტევნის შემადგენელი ნაწილებიდან: კლერტი 2,16,  
კანი 8,38, წვენი და რბილობი 87,45, წიპტა 2,02. 100 მარც-  
ლის წონა 575, 100 წიპტის წონა 5,7 გრამია.

მარცვლის მექანიკური თვისებები. პობე-  
და ხასიათდება მაღალი ტრანსპორტუაბელობით. თელავის საც-  
დელი სადგურის პირობებში მარცვლის წინააღმდეგობა გა-  
ცყლეტის მიმართ უდრის 1750 გრამს, ხოლო წინააღმდეგობა  
ზოწყვეტისადმი 485 გრამს.

წვნის ქიმიური შედგენილობა. ჯიში ხასიათ-  
დება შაქრის დაგროვების საქმაო უნარით. თელავის საცდე-  
ლი სადგურის პირობებში მისი შაქრიანობა საშუალოდ 20  
პროცენტს უდრის 5,4 პრომილე მუავიანობის დროს.



პობედა მაღალხარისხოვანი ტრანსპორტაბეჭულების შემცირება  
ლო საგვიანო სიმწიფის სასუფრე ყურძნის ჭიშია. ხასიათდება  
ლამაზი აგებულების მსხვილი მარცვლებითა და სასიამოვნო  
გემოთი. საქართველოში მცირე რაოდენობითაა გავრცელებუ-  
ლი, წმინდა ნარგავების სახით გვხვდება შუა აზიის მევენახე-  
ობის რაიონებში.

ჭიში თავისი მაღალი თვისებების გამო უდავოდ პერსპექ-  
ტიულად უნდა მივიჩნიოთ, რისთვისაც საჭიროა მისი გავრცე-  
ლება კახეთის მევენახეობის რაიონებში, სახელდობრ:

ყვარლის ქვეზონის შემაღლებულ, ნაფარეულის ქვეზონის  
შემაღლებულ, გურჯაან-მუქუზნის დაბლობ და შემაღლებულ,  
შრომა-წინანდლის ქვეზონის ფერდობებზე, თელავ-ახმეტის  
ქვეზონის ფერდობებზე და შემაღლებულ ადგილებში, აგრეთ-  
ვე გარე კახეთის კაჭრეთ-კაჭაბეთის ფერდობ ადგილებში.

### ვიზუალური განვითარების მიზანი


ვერმენტინო მცირედ გავრცელებული, მაღალხარისხოვა-  
ნი სატრანსპორტო, მსხვილმარცვლიანი სიმწიფის საგვიანო  
პერიოდის თეთრი სასუფრე ვაზის ჭიშია.

სპეციალურ ლიტერატურაში სხვა სახელშოდებით არ არის  
ცნობილი.

### ჭიშის ბოტანიკური აღწერა

ბოტანიკური აღწერა შესრულებულია მებაღეობის, მევენა-  
ხეობისა და მელინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის  
თელავის საცდელი სადგურის საკოლექციო ნაცვეთში.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა ყ ლ თ რ ტ ი. ახალგაზრდა ყლორტის  
წვერო (15—25 სმ) გვირგვინით შებუსულია სქელი აბლაბუ-  
დით, რომელსაც ირგვლივ მქვეთრი ვარდისფერი არშია აქვს  
შემოვლებული და მოთეთრო-მონაცრისფროა. პირველი  
ფოთოლი ორივე მხრიდან შებუსულია სქელი აბლაბუდით და  
მოთეთროა, რომელსაც ვარდისფერი არშია აქვს. მეორე ფო-



### ვერმენტინო.

თოლზე შებუსვა მცირდება, მოყვითალო-მონაცრისფრო იერით, ქვედა მხრიდან ვარდისფერია, მესამე ფოთოლი შებუსულია თხელი აბლაბუდით, მწვანე-მოყვითალო ფერისაა და გადაპჰრავს მოწითალო იერი.

ფოთლის ქვედა მხარე უფრო ინტენსიურადაა შებუსული და ვარდისფერი იერი დაპჰრავს. მეოთხე და მეხუთე ფოთლებზე მხოლოდ ძარღვების გასწვრივ აქვს სუსტი აბლაბუდისებრი შებუსვა, მწვანე-მოყვითალოა.

ლერო მწვანე და შეუბუსავია.

ერთწლიანი ჩქა. მისი ერთწლიანი ჩქები შემოგვა-  
მის დასასრულისათვის შეფერილია ყავისფრად, ერთდაჯურებულის  
მოყვითალო იერი. მუხლები უფრო ინტენსიურადაა შეფე-  
რილი.

ფოთოლი. ზრდადამთავრებული ფოთოლი საშუალო  
ზომისაა, მომრგვალებული ფორმის, იშვიათად გარდიგარდმო  
ოვალური, ხუთნაკვთიანი, ფოთოლის ზედაპირი ბადისებრ და-  
ნაოჭებულია.

ყუნწის ამონაკვთი დახურულია ვიწრო ელიფსისებრი  
ნასვრეტით.

ზედა ამონაკვთების სიღრმე ფოთოლის დანაკვთულობის  
შესაბამისად იცვლება. ხშირად საშუალო სიღრმისაა.

ამონაკვთები ღია და დახურულია. ღია ჩანგისებრი ფორ-  
მისაა და მომრგვალებულ ფუძიანი; დახურულ-კვერცხისებ-  
რი, წამახვილებული ფუძით და ცალი კბილით.

ქვედა ამონაკვთები ჩვეულებრივ უფრო პატარაა, ღია ან  
დახურული. ღია პარალელურგვერდებიანია და მომრგვალე-  
ბული ძირი აქვს, დახურული წამახვილებულია, ვიწრო ელიფ-  
სისებრი ნასვრეტით.

მთავარი ნაკვთები ბოლოვდება სამქუთხედისებრი ოდნავ  
ამობურცული გვერდებით და მომრგვალებული წვეროთი.  
გვერდითი კბილები ხერხისებრია.

ფოთოლის ქვედა მხარე შებუსულია ქეჩისებურად.

ფოთოლის ყუნწი მთავარ ძარღვზე მოკლეა.

ყვავილი ორსქე სიანია, მტევრიანა ოთხი ან ხუთია.  
მტევრიანათა ძაფის სიგრძის შეფარდება ბურტოს სიმაღლესთან  
უდრის 1,25.

მტევანი დიდია, სიგრძე 20, სიგანე 10 სმ. ცილინდრულ-  
კონუსისებრი, დატოტვილი, მტევნის ყუნწი 3—4 სმ სიგრძი-  
საა, ბალახისებრი, ფუძესთან მიმაგრების ადგილას გახევებუ-  
ლია.

მარცვალი საშუალოზე მსხვილია, სიგრძე 18, სიგანე  
17 მმ, მომრგვალო ან ოვალური, მწვანე-მოყვითალო, სრულ  
სიმწიფეში იღებს ყვითელ ფერს. მზის მხარეზე უჩნდება ყა-  
ვისფერი ლაქები. მარცვალი უხვად არის დაფარული სანთლო-  
სებრი ფიფქით.

მარცვლის კანი მკვრივია, რბილობი კნატუნა, წენიანი, მო სასიამოვნო, მარცვალში 2—3-მდე წილშა, იშვიათად ოთხი. წილში 2-3 გრამი გამოიყენება. სიგრძე 5—6, სიგანე 2 გრამი მომზადებული იყენება, ყავისფერი — მოწითალო იერით. ნისკარტი მოკლე, ბლაგვი წვეროთი. ქალაძა კვერცხისებრი ან ოვალური ფორმისაა და ჩაზნექილი. ღარტაფი მუცლის მხარეზე კარგადაა გამოსახული.

### აგრობიოლოგიური დახასიათება

სავეგეტაციო პერიოდი სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლივობა ცალკეული წლების მეტეოროლოგიური პირობების შესაბამისად მერყეობს 155-დან 186 დღემდე. ამის შესაბამისად ცვალებადობს აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც 3125,3 გრადუსიდან 3317,8 გრადუსამდე. საილუსტრაციო მოტანილია მისი ცალკეული ფენოლოგიური ფაზების მსელელობა.

ც ს რ ი ლ ი 20

### კერძო ფენოლოგიური ფაზები

ფაზების დროები	ცენტრული გენერაცია დაწყება	ცენტრულის გამარტინი	სამცირებელის დასაწყისი	სამცირებელის დასაწყისი	სტაციონარული სიმძიმე	დღეთი რიცხვი	ინტენსურის ტემპერატურის კუმულაცია
1955	23/IV	10.VI	17/III	10/X	171	3277,3	
1956	25/IV	16.VI	4/IX	10/X	169	3174,6	
1957	17/IV	8.VI	20/VIII	20/IX	157	3273,4	
1959	20/IV	10.VI	2 VIII	5/X	169	3280,5	
1960	26/IV	16.VI	2/IX	7/X	162	3177,4	
საშუალო	22/IX	13.VI	25/VIII	5/X	166	3240,4	

მოტანილი ცხრილიდან ჩანს, რომ საქმაოდ ცვალებადობს საწყისი ფაზა, კვირტის გაშლის დასაწყისი, მის შესაბამისად იცვლება აქტიურ ტემპერატურათა ჯამიც.

რეზის მომწიფების ხარისხი თელავის საცდელი

სადგურის პირობებში მისი ერთწლიანი რქები ყურძნის საფუძვლის მიზანით თავისუფლად ასწრებს მომწიფებას. ასევე სამარტინო მწიფდება ოდესაში, დერბენდში და სხვაგან.

ზრდის სიძლიერე, ჯიშს ახასიათებს ძლიერი ზრდა-განვითარება. მისი ერთწლიანი რქები სამ მეტრამდე აღწევს.

მოსავლიანობა განვითარება. ჯიში თელავის პირობებში დარგვიდან მეორე-მესამე წელს იძლევა მოსავლის პირველ ნიშნებს. სრულ მოსავლიანობაში შედის მეოთხე-მეხუთე წლიდან. ვერ-მენტინო მაღალმოსავლიანია, ჰექტარზე 50-დან 117,5 ცენტ-ნერამდე. მსხმოიარობის კოეფიციენტი 0,56-დან 1,2-მდე, მტევნის საშუალო წონა 220-დან 470 გრამამდეა. ძირის მოსავალი 1485-დან 3525 გრამამდე. მოგვყაჭს თელავის პირობებში წარმოებული დაკვირვების შედეგები მის ნაყოფიანობაზე. ნაყოფიანი რქები 79,6 პროცენტია, მტევნების რაოდენობა ერთ რქაზე 0,67, მტევნების რაოდენობა ერთ ნაყოფიან რქაზე 1,2, მტევნის საშუალო წონა 197 გრამია, ერთი რქის პროდუქტიულობა 236 გრამი.

ყვავილცვენა და წვრილმარცვლიანობა. ვერმენტინო ხასიათდება მცირე ყვავილცვენით და წვრილმარცვლიანობით.

თელავის საცდელი სადგურის პირობებში, ჩვენი მონაცემებით, ყვავილცვენა 25—31 პროცენტამდე მერყეობს, რაც დამოკიდებულია გარემო პირობებზე.

სოკოვან ავაღმყოფობათა მიმართ გამძლეობა. ვერმენტინო სხვა ჯიშებთან შედარებით კარგი გამძლეობით ხასიათდება.

### ჯიშის სამეურნეო-ტექნოლოგიური დახასიათება

ყურძნის მექანიკური თვისებისა და წენის ქიმიური შედეგებით მიხედვით მიეკუთვნება მაღალხარისხოვან სასუფრე ყურძებს. მოგვყავს ჩვენი დაკვირვების შედეგები. თელავის პირობებში მტევნის საშუალო წონა 333 გრამია. მარცვლების საშუალო რაოდენობა მტევნაში 80, მტევნის შემადგენელ ნაწილებიდან: კლერტი 2,92, კანი 7,88, წვენი და რბილობი 85,50, წიპჭა 3,67, 100 მარცვლის წონა 426 გრამი, ხოლო 100 წიპჭის წონა 7,3 გრამი.



მარცვლის ყუნწიდან მოწყვეტა და გაჭყლეტის წინამდებულებები ვობა დამოკიდებულია მარცვლის კანის სისქეზე, შემცულებულია ზომაზე, ფორმაზე, რბილობის კონსისტენციაზე და მის ანატომიურ აგებულებაზე, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მისი გადაზიდვის საქმეში. რაც უფრო მსხვილია მარცვალი, მით უფრო მეტი წინააღმდეგობის გაწევა შეუძლია და ტრანსპორტსაც კარგად იტანს. ჩვენი დაკვირვებით, წინააღმდეგობა გაჭყლეტაზე საშუალოდ 1800 გრამს უდრის, მოწყვეტაზე—250 გრამს. შედარებისათვის მოგვყავს „მაგარაჩის“ მევენახეობისა და მელვინეობის ინსტიტუტის დაკვირვების ცნობები. მარცვლის წინააღმდეგობა გაჭყლეტაზე 1668, ხოლო მოწყვეტაზე 262 გრამია.

ყურძნის წვნის ქიმიური შედგენილობა. ვერმენტინო ხასიათდება შაქრის დაგროვების დაბალი უნარით, ამის ნათელსაყოფად მოტანილია ჩვენი დაკვირვების მონაცემები, რომელიც წლების მიხედვით ცვალებადობს, საშუალოდ მისი შაქრიანობა 15—16 პროცენტს შორის მერყეობს, ხოლო მევავიანობა 4—6 პრომილეს შორის. როგორც ჩანს, ჯიში ხასიათდება დაბალი მაჩვენებლებით, მაგრამ სრულიად დამაკაყოფილებელია სუფრის ჯიშისათვის.

შაქრის დაგროვების მაღალი უნარით ხასიათდება „მაგარაჩის“ ოდესის ინსტიტუტისა და დერბენდის საცდელ სადგურში. „მაგარაჩის“ მევენახეობის ინსტიტუტის ცნობით მისი შაქრიანობა 23 პროცენტს აღწევს 8,7 პრომილე მევავიანობის დროს. ოდესის ინსტიტუტის ცნობით მისი შაქრიანობა 20,2 პროცენტია 6,3 პრომილე მევავიანობით, ხოლო დერბენდის საცდელ სადგურში შესაბამისად 20,9 და 5,3.

### ჯიშის საერთო შეფასება

ვერმენტინო მაღალხარისხოვანი, ტრანსპორტაბელური, ნაკლებად გავრცელებული საგვიანო სიმწიფის მსხვილმარცვლიანი სასუფრე ყურძნის ჯიშია. იძლევა საუკეთესო ღირსების სადესერტო ყურძენს.

საქართველოში გავრცელებულია სამეცნიერო დაწესებულებების საკოლეჯებით ნაკვეთში, აგრეთვე მებალეობის, მეცნიერების ხეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის თელავისა და ზემოხეთის საცდელ სადგურში.

ჯიშის დადებითი თვისებებია: მაღალმოსავლიანობა, სოკოვან ავადმყოფობათა მიმართ კარგი გამძლეობა და მაღალი ტრანსპორტულობა.

ჯიში მეტად საინტერესო და პერსპექტიულია კახეთის მევე-ნახეობის რაიონებში, რისთვისაც საჭიროა მისი გავრცელება: ნაფარეულის ქვეზონის შემაღლებულ, გურჯაან-მცკუჩნის ქვეზონის დაბლობ, შრომა-წინანდლის ქვეზონის ფერდობ და თელავ-ახმეტის ქვეზონის დაბლობ და შემაღლებულ აღგილებში.



ଶୁଣନ୍ତିରେ କାହାରେ ପାଇଁ ଆମରିବାରୁ କଥାରେ

ড. এ. কে. দেৱ, সংক্ষিপ্তভাবে প্রকাশন কোম্পানি, ১৯৫৪।

ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი  
II, 1934. სკრ 26 კურიობის მასალები, 1976.

А. М. Негруль. Виноградарство, 1952.

Д. С. Совзенес. Столовый виноград и термическая обработка его при температуре и хранение. Труды института т. II—1937.

Н. Н. Простосердов. Техническая характеристика винограда и продуктов его переработки. Амперография ССР, т. I—1946.

საქართველოს სსრ სასოფლ-სამეურნეო წარმოების განლაგება, სპეციალიზაცია და სოფლის მეურნეობის გაძლიერება, 1960, წიგნი I.

Ф. Б. Иванова. Халили белый. Ампелография СССР т. VI.

Ф. С. Комарова. Королева виноградников. Ампелография СССР т. III—1954.

М. П. Цербий. Мускат Гамбурский. Ампелография СССР, т. IV—1954.

С. Коржинский. Ампелография Крыма, 1911.

П. Т. Болгарев. К технической характеристике некоторых сортов винограда.

Труды Всесоюзного научно-исследовательского института виноделия и виноградарства «Магарач» т. I, 1947,

М. П. Цебрий. Карабурну. Ампелография СССР, т. IV, 1954.

## გ ი ნ ა რ ს ი

შესავალი	3
სასულრე ყურძნისაღმი წაყენებული მოთხოვნილებანი	5
სასულრე ყურძნის ჭიშების წარმოების სპეციფიკური თავისებურებანი	7
სასულრე ყურძნის კრეფა, დახარისხება და ყუთებში ჩაწყობა	8
კახეთის ბუნებრივი პირობების მოქლე დახასიათება	10
სასულრე ყურძნის ჭიშების განლაგება და დარაიონება	15
სასულრე ყურძნის ჭიშების სორტიმენტის გაუმჯობესების გზები	20
ქართული საღრეო	23
საბას მარგალიტი	27
ხალილი თეთრი	31
კარალევა ვინოგრადნიკოვ	37
შასლა თეთრი	42
ჩაუში	49
ბუდეშური წითელი	53
მარიაშ იანოში	59
კიროვაბადული სუფრის	64
კანური ცხენისძუძუ	71
პაშბურგის შუსკატი	77
ლედი დაუმს სიდლინგი	83
კარაბურნუ	89
პიროვანო № 83	97
გორულა	101
ჭურა უზუმი	106
პობედა	110
ვირმენტინო	114
გამოყენებული ლიტერატურა	121
შინაარსი	122

რედაქტორი თ. ცინცაძე  
მხატვარი ჭ. აფანასევი  
მხატვრული რედაქტორი კ. ტუხაშვილი  
ტექნიკური რედაქტორი ლ. ჭელაძე  
კორექტორი დ. ცინცაძე  
გამომუშები ნ. ჩხერიანი

ს. ბ. № 2066

ვადაცა წარმოებას 2.IV.81 წ. ხელმოწერილია. ღასაბეჭდად 14.V.82 წ.  
საბეჭდი ქაღალდი № 1. 84×1081/32. პირობითი ხაბეჭდი თაბახი 6,51.  
საალრ.-საგამომცემლო თაბახი 5.27. პირ. საღ. გატ. 6,82.  
უკ 12227. ტირაჟი 1000. შეკვ. № 33.  
ფასი 20 ქა.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი, მარგანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამსახურმის თბილისის № 4 სტამბა  
380060, შედებალაქის II კორპ.

Тбилисская типография № 4. Госкомиздата  
Грузинской ССР. Тбилиси 380060. Медгородок II квартал.



Нина Минаевна Каухнишвили

СТОЛОВЫЕ СОРТА ВИНОГРАДА В КАХЕТИ

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили, 5.

1982